


တေဂူဗျာနဲ့ လုပ်ဖော်



စက်မြန်မာရှိ

ဒုတိယပြည်သံဃာ



ဒေါက်၊ လွှေ့ခြင်း နှင့်
ဒုတိယပြည်သံဃာ

၂၁၈၀

2005-2012

თაიმურაზ ღლონი



თაიმურაზ
ღლონის
ფუნდაცია

ვაჟი, ლვილო და პროგლემატიკი

6 წლის დასახი

2005-2012



ქვევრის ფონდი

საქართველო
მიწისძიები



წინამდებარე კრებულში თავმოყრილია 2005-2012 წლების საქართველოს მეცნახეობა-მეღვინეობაში წარმოქმნილი უმწვავესი პრობლემებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერტილი, რომლებიც დროდადრო ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში. მკითხველი გაეცნობა საქართველოს მეღვინეობის მეცნახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მეცნიერთა უთანასწორო ბრძოლის პერიპეტიებს ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა ფატალური შედეგით დასრულდა – ძალმომზრეობით იქნა გაუქმებული არა მარტო დენ ეს ინსტიტუტი, არამედ მთელი აგრარული სამეცნიერო სფერო. მკითხველი ასევე გაეცნობა ტრადიციული მეცნახეობა-მეღვინეობის აღდგენისა და დაცვის საკითხისადმი მიძღვნილ მასალებს. აგრეთვე, ქართული სუფრისა და სადღეგრძელოს განმაქისჭერათა პასუხად გამოქვეყნებულ მასალებს. უარყოფით მოვლენებთან ერთად წიგნში მოხსენიებულია ამ წლებში ჩვენს მეცნახეობა-მეღვინეობაში მომხდარი დაღებითი, პოზიტიური მოვლენებიც! უპირველეს ყოვლისა ქართული ტრადიციული მეღვინეობის ქვევრისა და ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციული წესის აღდგენა და მისი დიდი საერთაშორისო აღიარება, ვაზისა და ღვინის 33-ე მსოფლიო კონგრესისა და ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარება.





თიბეასიტყვაობა



ვირფასო მკითხველო! ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი წლები შუქ-
-ჩრდილებით, უმძიმესი განცდებით, განწირულებამდე მისული
ყოფიერებით, სულიერ-ზნეობრივი შეჭირვებით, ამავე დროს მოლოდინითა
და იმედით იყო ადსავსე. მევენახეობა-მეღვინეობა ერთი მნიშვნელოვანი სფე-
-როთაგანია ჩვენი ყოფიერ-ცნობიერი არსობისა. ნიშნეულია ის, რომ მიუხედა-
-ვად უმძიმესი შეჭირვებისა, ნგრევისა და იავარქმნისა, იმედის ნაპერნკალი,
-ნათლის გამონაშუქი სწორედ მევენახეობისა და მეღვინეობის ფენიქსისებრ
-აღდგინების საწყისშივე ნათელჩენილია. გუშინდელი მრუმე ღამე ცისკრის
-იმედიანი ნათებით თენდება.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 2005-2012 წლებში ქართულ
მევენახეობა-მეღვინეობაში მომხდარი უმძიმესი მოვლენები ზოგჯერ ლო-
-გიკურ, ზოგჯერ კი ალოგიკურ გაგრძელებად მიგვაჩინა ათეული წლების
განმავლობაში პერმანენტულად მიმდინარე მოვლენებისა. ვითვალისწინებთ
მკითხველის ინტერესს და ამ პატარა წიგნში თავმოყრილი ფაქტობრივი მა-
-სალით აღვუდგენთ იმ რეალობას, რა სამწუხარო რეალობაშიც იმყოფებო-
-და ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობა, მისი სამეცნიერო სფერო და რა შედეგი
მოგვიტანა განუკითხაობამ და ძალმომრეობამ. ამასთანავე, საჭიროდ ვცა-
-ნით მკითხველისათვის შეგვეხსრებინა უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე
საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში მიმდინარე უმწვავესი პრობლემე-
-ბი, რაც ჩვენი აზრით, უკეთ წარმოაჩენს თვისებრივ კავშირს 2005-2012 წლებ-
-ში და წინარე იორასწლოვანი ისტორიის მანძილზე განვითარებულ მოვლენებს
შორის. ვფიქრობთ, წიგნში თავმოყრილი მასალები მეტ-ნაკლებად შეუქმ-
-ნის მკითხველს წარმოდგენას ჩვენს მევენახეობა-მეღვინეობაში მიმდინარე
ურყოფითსა თუ დადებით მოვლენებზე.

უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ქართულ მევენახეობა-მეღვინეო-
-ბას არაერთი კრიზისული მდგომარეობა ჰქონდა, ზოგჯერ კი კატასტროფის
პირასაც კი მდგარა ერთ მთლიან სხეულში შენივთებული ქართველი ერის
მატერიალური და სულიერი ცხოვრების მრავალმნიშვნელოვნად განმაპირო-
-ბებელი ეს ორი დარგი. განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი XIX საუკუნის
II ნახევარში ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაში წარმოჩენილ უმწვავეს
პრობლემატიკას, რაც წარმოშვა უპირატესად სოკოვანი დაავადებებისა შე-
-მოჭრამ საქართველოში, ამას კი ხელი შეუწყო აგრონომიული სამსახურის,

კერძოდ კი, მცენარეთა დაცვის სამსახურის დაბალმა დონემა განვლილმა კრიზისმა თავისი დიდი უარყოფითი კვალი დააჩნია ჩვენს მეცნახეობას. განადგურდა ვენახები (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) და ვაზის ქართული გენოფონდი. ამის დასტურად გურიის მაგალითით იქმარება თა-დაც ადგილობრივი წარმოშობის 59 ვაზის ჯიშის სამაცელოდ, დააჭადებებისა და მავნებლებისადმი მედეგმა ამერიკულმა ჰიბრიდმა – „ვიზაბელამ“ (*Vitis labrusca*) დამკვიდრა ადგილი.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მეცნახეობა-მეღვინეობისადმი და ზოგადად სოფლის მეურნეობისადმი წარმართულმა არასწორმა და არაჯანსაღმა პოლიტიკამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ვაზის ქართული გენოფონდისადმი უარყოფითი ტენდენციების წარმოჩენას, ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების დანეგვასა და გავრ-ცელებას.

XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებში იყო მცდელობა სახელმწიფოებრივ დონეზე ქვევრის, როგორც ღვინის დასაღუდებელი და დასავარგებელი ჭურჭლის, გაუქმებისა. მაგრამ ეს მზაკვრული მცდელობა ჩაიშალა მეღვინეობის დარგის სპეციალისტთა აქტიურობითა და შემართებით, ამ პროცესის აქტიური მონაწილე და ქვევრის დამცველი ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო გააფრთხებული ბრძოლა ქვევრის გაუქმებისათვის. ძალდატანებით ღვინის ქარხნებში მინით ამოავსეს ქვევრები, ანუ დამარხეს. რაც მრავალათასწლოვანი ისტორიის წაშლის ტოლფას ქმედებად მოიაზრება. ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავიანთ ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიპუმანურ ქმედებას იმ მოტივაციით ხსნიდნენ, თითქოსდა ქვევრი სიბინძურის წყარო იყო.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან განსაკუთრებულად თვალსაჩინო გახდა ვაზის პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდული ფორმების გავრცელება საქართველოს ზერებში, რაც შეფარულად და გეგმაზომიერად ხორციელდებოდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს რეალიზებული ბოროტგან ზრახვა იყო, დივერსია ქართული მეცნახეობა-მეღვინეობის მიმართ.

ქართული მეღვინეობის მაპროფილებელი მიმართულებებისადმი ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მეტროპოლიის ინტერესებისადმი ქართული მეღვინეობის ძალმომრეობრივმა დამორჩილებამ დაუკარგა ტრადიციული იერსახე ქართულ მეღვინეობას. საქართველო მაღალხარისხოვანი, უმაღლესი კატეგორიის ღვინოების მწარმოებელი რესპუბლიკიდან გადაიქცა გაუმაძლარი იაფეასიანმომხმარებლური რუსული ბაზრის შემაგრებული ღვინოებით მომმარაგებელ რეგიონად. ასე განსაჯეთ, 1990 წლისათვის შემაგრებული

ლვინოების ხვედრითი წილი ქართულ მელვინეობაში 75%-ს შეადგენდა ეს
ნამდვილი კატასტროფა იყო!

აღარაფერს ვამბობთ პოლიტიკურ ფორმაციათა გასაყარზე ქართულ
მევენახეობა-მელვინეობაში მიმდინარე დამანგრეველ პროცესებზე - რომელ
განადგურდა მევენახეობა-მელვინეობის სანედლეულო და სინამდინობრივი ბეჭა,
განადგურდა ვაზის ქართული გენოფონდის ამსახველი საკოლექტო ნაკვეთ
თეში და სადედე-სანერგები.

ყოველივე ზემოთქმული, თავისი უმძიმესი შედეგებით ვერ გაუტოლ-
დება იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რამაც სათავე დაუდო 2005 წლიდან
სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი, მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო
სფეროს ნგრევისა და იავარქმნის პროცესს. გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო
სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები თავიანთი საწარ-
მოო-კვლევითი ბაზებითურთ, უდიდეს დანაშაულად მიგვაჩნია სხვადახვა
სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების
(ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის, მიწათმოქმედების, მებალეობის, მევენახე-
ობისა და მელვინეობის და სხვათა) გაუქმება. მებალეობის, მევენახეობისა და
მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი წარმოადგენდა მსოფლიო
მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრს თავისი ექსპერიმენტული ბაზების ფარ-
თო ქსელით. ამ ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი შექმნილია ათეული
წლების მანძილზე ისეთი სახელგანთქმული მეცნიერების მიერ, როგორე-
ბიც იყვნენ სოლომონ ჩილოყაშვილი, სერგო დურმიშიძე, ნიკოლოზ ხომი-
ზურაშვილი, მაქსიმე რამიშვილი, დიმიტრი ტაბიძე, ნიკოლოზ ახვლედიანი,
გიორგი ბერიძე, ანდრო ლაშები და სხვები.

დღეს ეს ინსტიტუტი აღარ არსებობს, მის დანგრევას იმუამინდელმა ხე-
ლისუფლებამ შვილი წელი მოანდომა, 2005-დან 2012 წლამდე. ინსტიტუტს
ჯერ მთავარი კორპუსი წაართვეს, სადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტრო განთავსდა, შემდეგ კი გააუქმეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული და
სამეცნიერო მუზეუმი, გააპარტახეს ვაშლაჯვრის ხეხილისა და ვაზის ექსპერ-
იმენტული ბაზა, გაიყიდა თელავის მევენახეობისა და მელვინეობის საცდელი
სადგური. ინსტიტუტის თანამშრომლები იბრძოდნენ ინსტიტუტის შესანარ-
ჩუნებლად, არაერთგზის შეგროვდა ხელმოწერები და გაეგზავნა მიმართვე-
ბი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს და საქართველოს
პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ ეს ყოვე-
ლივე დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა, ძალადობამ იზეიმა.

მსოფლიო ბანკმა, რომელმაც წარმატებითი ინსტიტუციური რეფორმა
განახორციელა მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-

-კვლევით ინსტიტუტში, წერილით მიშართა საქართველოს შთავრობას თავი შეეკავებინათ ინსტიტუტის ხელყოფისაგან და სამინისტროსათვის სხვა შენობა გამოიძებნათ, მაგრამ ეს თხოვნაც ყურად არ იღო საქართველოს ხელი-სუფლებამ.

2005-2007 წლებში საქართველოს ხელისუფლებისადმი გაგზავნილი მიმართვები, რომლებსაც ხელს აწერენ საქართველოს მებადასის, მეცნიერებისა და მეცნიერებლის ინსტიტუტის მეცნიერები, ქვეყნდებოდა, იპტფებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. აგრეთვე, ვაქევეყნებდით საპროტესტო წერილებს როგორც ინსტიტუტის შენარჩუნების მოთხოვნით, ისე მევენახეობა-მეცნიერების მტკიცენეულ საკითხებზე.

საქართველოს მებადეობის, მევენახეობისა და მეცნიერების ინსტიტუტში 1989 წლიდან ინსტიტუტის იმუშამინდელი დირექტორის ბატონ ნოდარ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა „საქართველოს ვაზისა და ღვინის კოდექსის შემუშავების“ მიმართულებით. მართალია, იმხანად ყოვლად უმართავი პროცესები მიმდინარეობდა საქართველოს მევენახეობასა და მეცნიერებაში, მაგრამ აუცილებელი იყო მევენახეობისა და მეცნიერების სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება, რათა ეს დარგები სამომავლოდ განვითარების მართებულ გზაზე დამდგარიყო. მეტად წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა კანონპროექტის შემუშავებელი კომისიის მუშაობა, იმდენად, რამდენადაც ჩვენი საზოგადოება, სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი ვერ ეგუებოდა მევენახეობისა და მეცნიერების საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების ფარგლებში ქართული მევენახეობისა და მეცნიერების ნარმობის მოქცევას, მძლავრობდა სუბიექტივიზმისა და კერძო ნარმობითი ინტერესები, მაგრამ დიდი იყო ზენოლა პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის მხრიდან იმ პრინციპების დასათმობად, რაც კომისიის წევრებს მიაჩნდათ საჭიროდ კანონის სიცოცხლისუნარიანობის განსახორციელებლად. 1998 წელს პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“ რაც თავისთავად დიდი მოვლენა იყო, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ შემდგომში არ უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა კანონის სრულყოფისათვის. ვფიქრობთ შეგნებულად გაკეთდა ისე, რომ კანონს არ ემუშავა. თუმცა კანონის შემუშავებაში არაერთი მაღალი დონის სპეციალისტი ღებულობდა მონაწილეობას. შემდგომში დაიწყო ამ კანონის „გადამუშავება“ ცალკეულ დაინტერესებულ პირთა მიერ. პრაქტიკულად არ ითვალისწინებდნენ, ან ნაკლებად ითვალისწინებდნენ სპეციალისტთა შენიშვნებსა და წინადადებებს, კომისიურ მუშაობას დაესვა წერტილი.

სამწუხაროდ, იმხანად შეუძლებელი შეიქნა კანონში ისეთი მნიშვნელო-

ვანი სფეროს ასახვა, როგორიცაა ქვევრში კახური ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგია. რაც ჩვენი მეღვინეობის საიმაყენო წარმოადგენს მაშინ, როცა ევროპული კანონმდებლობა ითვალისწინებს ეროვნული თავისებურებების ასახვას ნებისმიერი ქვეყნის ვაზისა და ღვინის კანონში. თუკი იმუამინდელი საზოგადოება, სპეციალისტთა წრე მზად ჰორიული პრისტავების, ფრის სიტუაცია შეცვლილია, აღორძინებულია ქვევრში კახური ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგია და ვფიქრობთ, ახლადგრძელებული უარღამერტყმა ვაზისა და ღვინის კანონის სრულყოფის საკითხს აუცილებლად მიუბრუნდება.

ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის დაკინებისა და პრესტიუს შეღახვის მცდელობა დაფიქსირდა 1998 წელს, როცა საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“. უკვე დამტკიცებული კანონიდან, ვიდრე მას ხელს მოაწერდა საქართველოს პრეზიდენტი, ამოღებული იყო მნიშვნელოვანი ფორმულირება: „საქართველო განეკუთვნება ხარისხოვანი და მაღლახარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის ზონას, მევენახეობა-მეღვინეობა ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგია“. აქვე აღვნიშნავთ, რომ იმხანად საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი მიხეილ სააკაშვილი იყო. ივლისის დასაწყისში პრესაში გამოქვეყნდა კანონის ტექსტი, საიდანაც გახდა ცნობილი ამ დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ოპოზიციური პრესისა და ტელეკომპანია „იბერიის“ მხარდაჭერით წამოვიწყეთ საპროტესტო კამპანია. შედეგს ნაწილობრივ მივაღწიეთ, სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა „დამატების“ სახით აღადგინა კანონში გამოტოვებული წინადადებები, თუმცა არა თავდაპირველი ვარიანტით. საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ მევენახეობა-მეღვინეობა პრიორიტეტულ დარგად არ იქნა აღიარებული. ეს ლიტონი სიტყვები არ არის და რეალობაა, ამას გვიდასტურებს „საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია“ რომლის თანახმად მევენახეობა და მეღვინეობა არ არის საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი. სამწუხაროდ ეს „კონცეფცია“, დღემდე არ გაუქმდებულა. ამდენად იგი მოქმედი დოკუმენტია. ამ საკითხებს მკითხველი წიგნში მონიცებული მასალებით უფრო დეტალურად გაეცნობა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს გამოქვეყნებულ წერილებსა და გამოხმაურებებს გაზეთებში – „ახალი ერა“, „ბანკები და ფინანსები“ და „თვალთაი“. აგრეთვე, 2002 წელს გამოცემულ ჩვენს წიგნში – „ხმა მღალადებლისა“. აგრეთვე უურნალ „ვაზი და ღვინონ“-ში (2000 წ., №1-2).

მეღვინეობაში ფეხმოკიდებული თვითშემოქმედებითი საქმიანობის ფონზე სათავე დაიდო, ჩვენი აზრით, ერთმა არასასურველმა ტენდენციამ –

ევროპული არომატნარმომქმნელი საფუვრების მასშტაბურმა გამოყენებამ ამგვარი პრაქტიკა მიუღებლად მიგვაჩნია უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ევროპული საფუვრების გამოყენებით ჩვენს ლეინოებში გაყაგავთ ჯე-შურ მახასიათებელ გემოსა და არომატს და ამდენად ჭარტული მრავალფუროვანი ლეინოების პროდუქცია ერთგვარად ნიველირებულ, ე.წ. გლობლიზებულ ლეინოებად იქცევა, ეს სფეროც საქმიანობისა სასწრავორ მოწინავეს სამართლებრივ დარეგულირებას.

შეუძლებელია არ შევჩერდეთ ისეთ მტკიცნეულ საკითხზე, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო პროფილის კადრების საკითხი. იმას, რაც ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და მეცნიერების სფეროში შეუძლებელია რეფორმები ეწოდოს, ეს იყო გეგმაზომიერი ნგრევის პროცესი, რამაც აგრონომ-პრაქტიკოსთა და აგრონომ-მეცნიერთა კადრების მომზადების პროცესი მთლიანად მოშალა და დაანგრია. სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და მეცნიერების სისტემის მოშლამ მიგვიყვანა იმ შედეგამდე, რომ დღეს ჩვენს სოფლებში აღარ გვყავს კვალიფიციური აგრონომები, აგრონომიული სამსახური მთლიანად მოშლილია. დიდი წყვეტაა თაობათა შორის სოფლის მეურნეობის განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

ჯერ კიდევ **XIX** საუკუნის 80-იანი წლების მინურულს დაისვა საკითხი თელავში მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლებლის დაარსების შესახებ საცდელი სადგურითურთ. 1889 წელს სანტ-პეტერბურგში, მინათმოქმედების სახელმწიფო დეპარტამენტს გაეგზავნა მოთხოვნა ამ სასწავლებლისა და საცდელი სადგურის დაარსების თაობაზე. შედგენილი იყო სასწავლო პროგრამა დისციპლინების აღნიშვნით, საშტატო განრიგით. ეს იყო აუცილებლობით განპირობებული გადაწყვეტილება. მაგრამ როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში ფილოქსერის მასობრივად გავრცელების გამო შექმნილმა დიდმა კრიზისმა უპირატესი აქცენტი გადაიტანა საქარაში ვაზის სადედე-სანერგის მოწყობის აუცილებლობაზე, სადაც ჩინებული ქართველი აგრონომის ისტორიული ვაზის საძირების გამოცდილების ვაზის მყინვა ამერიკული ვაზის საძირების რამაც ისტონ შემდგომში საქართველოს ვენახები გადაშენებისაგან. 1901 წელს სანერგე გადაკეთდა საცდელ სადგურად, რომელმაც სათავე დაუდო ვაზის მეცნიერულ კვლევას. რაც შეეხება თელავის საცდელი სასწავლებლისა და საცდელი სადგურის დაარსების პროექტს, მისი განხორციელების მიზანშენონილობა დადასტურდა მოგვიანებით, კერძოდ კი იმით, რომ 1930 წელს თელავში დაარსდა მევენახეობისა და მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები. შემდგომში ეს ინსტიტუტი გადაკეთდა ამიერ-

კავკასიის, ხოლო შემდგომ საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, რომელიც 1953 წელს გადმოვიდა ობილისის გარეუბანში, ს. ვაშლაჯვარში. თელავში ჩამოყალიბდა მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელი სადგური. ინსტიტუტის დაქვემდებარებაში იყო საქართველოს საცდელი სადგური და დასაყრდენი პუნქტები საზღვრებლის სხვადასხვა რეგიონში (სამხრეთ ოსეთი, მესხეთი, კახეთი, სამცველო, აფხაზეთი, გურია და აჭარა), აგრეთვე ექსპერიმენტული ბაზები და მეურნეობაში (გალავანში და გორში).



ის, რომ საქართველოში აუცილებელი იყო მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არსებობა, კარგად ჰქონდათ გააზრებული რუსეთის იმპერიაში. ეს აუცილებლობა კარგად გაიაზრეს კომუნისტურ ეპოქაშიც, ეს იყო პროგრესული, გონივრულ და ლოგიკურ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება. ეს იყო სახელმწიფო ბრივად მართებული გადაწყვეტილება. რამდენად სავალალო და პარადოქსულია ის, რომ კოლონიური უდლის ქვეშ ყოფნისას შექმნილი მევენახეობისა და მეღვინეობის ცენტრი განადგურდა მაშინ, როცა საქართველომ გადააგდო კოლონიური უდელი და დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოიპოვა. საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საცდელი სადგურისა და დასაყრდენი პუნქტების განადგურება ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, როგორც ანტისახელმწიფო ბრივი და ანტიეროვნული ქმედება.

საბედნიეროდ, უკანასკნელი 3-4 ათეული წლის მანძილზე არსებული კრიზისებისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სასიცოთო ცვლილებები მოხდა ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაში. არ შეიძლება არ შევეხით რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას, უპირველესად მხედველობაში გვაქვს სასიკეთო ცვლილებები, რომელსაც უდაოდ მისცა ბიძგისა და კურტის მონასტრები, სადაც 2006 წელს აღდგენილ ათასნლოვან მარანში 2007 წელს ჰირველად დაყენდა კახური ღვინო უძველესი ტრადიციული ტექნილოგიური წესით გამოყენებით. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ქვევრის კახურმა ღვინომ გააოცა და აღაფრთოვანა არა მარტო დენ უცხოელი მეცნიერ-სპეციალისტები, სომელიები და რიგითი მომხმარებელი, არამედ ქართველი სპეციალისტები და ღვინის მოყვარულები. 2007 წელს აღავერდის მონასტრის მარანში დაყენებულმა ქვევრის კახურმა ღვინომ - „აღავერდის ტრადიციებმა“ 2010 წელს ლონდონში ჩატარებულ დეკანტერის დიდ საერთაშორისო კონკურსზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, რაც ამ ღვინის დიდ საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს.

აღავერდის მონასტრის ქვევრის თეთრ კახურ ღვინოს საერთაშორისო დეგუსტაციებზე მოპოვებული აქვს 6 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი.

2010 წელს საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო პალატამ აღავერდის მონასტრის მარანი დააჯილდოვა სპეციალური დიპლომით. ტრადიციული მეურნეობის ალორძინებისათვის განეული წვლილი აღსანიშნავად.



როცა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის შუქ-ჩრდილებზე ვსაუბრობთ არ შეიძლება არ შევეხოთ ორ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც უკანასკნელ ნლებში მოხდა ჩვენს სინამდვილეში. ვგულისხმობთ 2010 წელს თბილისში ჩატარებულ „ვაზისა და ღვინის **XXXIII** მსოფლიო კონგრესს“ და 2011 წელს ალავერდის მონასტერში ჩატარებულ „ქვევრის ღვინის | საერთაშორისო სიმპოზიუმს“. ამ ორმა მოვლენამ გარდამტეხი გავლენა მოახდინა ინტერესის გაღვივებაში ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის მიმართ, როგორც ცალკეული კორპორაციებისა და ფირმების მხრივ, ისე ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობაში. სასიხარულოა ის, რომ ახალგაზრდობამ გამოიჩინა განსაკუთრებული ენთუზიაზმი. გამრავლდა კერძო მცირე სანარჩოების რაოდენობაც და საგრძნობლად ამაღლდა ღვინოების, განსაკუთრებით კი ჯიშური ღვინოების ხარისხი.

საერთაშორისო მასშტაბით ალავერდის მონასტრის მარნის საქმიანობის მაღალი შეფასების დამადასტურებელი იყო 2011 წელს ალავერდის მონასტერში ჩატარებული „ქვევრის ღვინის | საერთაშორისო სიმპოზიუმი“ რომელმაც თავი მოუყარა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერ-სპეციალისტება და ექსპერტებს. ამ ღონისძიების ინიციატორი იყო „ქართული ღვინის კულტურის ცენტრთან“ ახლადშექმნილი „ქვევრის ფონდი“. სიმპოზიუმის მხარდამჭერები და ორგანიზატორები იყვნენ. აშშ საერთაშორისო განვითარების პროექტი – „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა“, „ასოციაცია ქართული ღვინი“ აპბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, „საქართველოს შემომყვან ტურ-ოპერატორთა ასოციაცია“, შპს „ხოხბის ცრემლები“. ქვევრისა და ქვევრის ღვინისადმი აღმრულმა დიდმა ინტერესმა დადებითი გავლენა მოახდინა საქართველოში ქვევრის ღვინის წარმოების გაფართოებისადმი. საგრძნობლად აინია ქართული ღვინის ხარისხობრივმა მაჩვენებელებმა. დიდია ინტერესი ვაზის ქართული გენოფონდისადმი, ვაზის უნიკალური ჯიშებისადმი და ჯიშობრივი ღვინოების დაყენებისადმი, ეს უდაოდ დადებითი მოვლენაა.

ზემოაღნიშნულთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა ქვევრის ღვინოების მნარმოებელთა რიცხვი, ხოლო ქვევრის ღვინი თანდათანიბით ჩამოყალიბდა როგორც განსაკუთრებული კატეგორია, რაც სავსებით კანონზომიერული და ლოგიკური მოვლენაა. სამწუხაროდ ამ დადებითი



კონტროლის პირობების დაცვით ხორციელდება ჯიშურად გარანტირებული, ფიტოსანიტარულად ჯანსაღი ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების საბაზისო და სერტიფიცირებული სარგავი მასალების გამრავლება. „ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის ეროვნული ცენტრი“ უახლოეს ხანში გადაკეცვა საერთაშორისო დონისა და მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევით ცენტრად, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ვაზისა და ხეხილის გენოფორმინის გამოკვლევა-შესწავლის საკითხებში; ქართული ღვინის სორტიმენტის გამდიდრებაში, საქართველოს რეგიონების მდიდარი გენოფორმინდის მრავალმხრივი გამოკვლევის საფუძველზე.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ვაზისა და ღვინის **XXXIII** მსოფლიო კონგრესის ჩატარება თბილისში 2010 წლის 20-25 ივნისს. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მსოფლიო კონგრესი მეორედ ჩატარდა. პირველად **X** მსოფლიო კონგრესი, თბილისში 1962 წელს გაიმართა. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა ღირსეულად წარდგა ამ დიდ მსოფლიო ფორუმზე. წარმომადგენლობითი დელეგაცია ესტუმრა საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, სადაც გაეცნენ აგროტექნიკისა და სელექციის განყოფილებების მუშაობას, ღვინის დაყენებისა და დავარგების პროცესებში ქართველი მეცნიერების მიერ მიღწეულ სიახლეებს.

ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ გამოჩენილმა პროფესორმა ბატონმა დოლმასომ დიდი აღფრთვოვანება გამოთქვა და მას უმაღლესი კლასის ინსტიტუტი უწოდა. სამწუხაროდ 2010 წელს თბილისში ჩატა-



რებული 33-ე მსოფლიო კონგრესის მონაწილეები სამეცნიერო კვლევით ინ-სტიტუტს არ გააკარეს, ინსტიტუტი თამაშებარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ ორი მსოფლიო მნიშვნელობის ფორუმის თბილისში ჩატარება მეტყველებს საქართველოს, როგორც ვაზისა და ლვინის უძველეს კულტურის ქვეყნის დიდ საერთაშორისო აღიარებაზე. ეს აღიარება უფრო რეალურის სტანდარტი, როცა უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ყურადღება ქართული ტრადიციული მელვინეობისადმი ერთობ გაიზარდა. სწორედ ამგვარი განხყობით ესტუმრნენ საქართველოს ვაზისა და ლვინის საერთაშორისო ორგანიზაციის – „O.I.V“-ს ხელმძღვანელ-ორგანიზატორები, კონგრესის დელეგატები და სტუმრები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მოლოდინი დიდი იყო. ამ ფონზე კონგრესის მონაწილეებისათვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა კონგრესის ოფიციალურ გახსნაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა, როცა მან პირდაპირ მიმართა ევროპელ მევენახეებსა და მელვინეებს: ჩვენ გურიაში გვაქვს ძალიან კარგი ვაზის ჯიში – ჩხავერი, ჩამოდით და გვასწავლეთ, როგორ დავაყენოთ კარგი ჩხავერის ღვინო, ჩამობრძანდით და მოუარეთ ჩვენს მევენახეობასა და მელვინეობას. გამოსვლაში ქართული მელვინეობის და-საქნინებლად სხვა აქცენტებიც იყო გაკეთებული. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა ქართული მევენახეობა-მელვი-ნეობის დისკრედიტაციისა მსოფლიოს თვალში. ამ განცხადებამ უსიამო გან-წყობა და ეჭვი წარმოშვა კონგრესის ორგანიზატორებსა და მონაწილეებში.




როცა პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნის მევენახეობა-მელვინეობას აგორიგად აკნინებს მსოფლიო წარმომადგენლების წინაშე, მესაძლოა, ეს გახდეს მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩაშლის მიზეზი. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა. მეორე დილით სესია გაიხსნა მოხსენებით: „ქართული ღვინის სატორია და ტრადიციული ტექნოლოგიები“ რომელშიც მიმოხილული იყო ქართული ღვინის 8000 წლიანი ისტორიის ძირითადი ეტაპები, საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის სპეციფიკური თავისებურებები, ქართული ვაზის მდიდარი გენოფონდი. უმაღლესი ხარისხის ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგიები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და გაუფანტა კონგრესის ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს წინა დღით მიღებული უსიამო ეჭვები ქართული მევენახეობა-მელვინეობის მდგომარეობაზე საქართველოში, ქართველ მევენახე-მელვინეთა ცოდნა-გამოცდილებაზე.

ვფიქრობთ, ეს მცირეოდენი ექსკურსი დაეხმარება მკითხველს 2005-2012 წლებში მომხდარი მოვლენების ამსახველ პუბლიკაციებში განხილული უმწვავესი პრობლემატიკის გააზრება-გაცნობიერებაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს მასალები ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აზრის კონცენტრირებას და მობილიზებას აგრარული პრობლემატიკის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

P.S. მკითხველი ნუ დაგვძრახავს, ზოგიერთი მოვლენისა თუ ფაქტის, სხვადასხვა დროის პუბლიკაციებში განმეორებითი მოხსენებისათვის, რამეთუ, მათი მოხმობა კონკრეტული მოცემულობით იყო ხოლმე განპირობებული.



ქართველი
გიგანტობის



უთანასწორო პრძოლა ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის იცყვება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
მინისტრის მიერ განხორციელებული შენიშვნები



004 წლის შემოდგომიდან გაჩნდა მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მრულებრივის ინსტიტუტის მთავარ კორპუსს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო წაიღებდა. ჩენთვის, ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და მეცნიერებისათვის ყოვლად მოულოდნელი, თითქმის შეუძლებელი და აღსრულებელი ამბავი გახლდათ. ვერ წარმოგვედგინა, როგორ და რა მექანიზმებით უნდა განხორციელებულიყო სამინისტროს მიერ მთავარი შენობის მითვისება. ერთხანად ეს ხმები არარეალურად და განუხორციელებლად გვეჩვენებოდა, რამეთუ ვთვლიდით, რომ ვერავინ შეძედავდა ესოდენ დიდი ტრადიციების, მსოფლიოში ცნობილ სამეცნიერო ცენტრს ამგვარ ქმედებას.

ჩვენს ამ ოპტიმისმს ამაგრებდა ის გარემოებაც, რომ 2003 წლიდან ინსტიტუტში წარმატებით ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის მიერ ხელშეწყობილი და დაფინანსებული ინსტიტუციური რეფორმა და ვერ წარმოგვედგინა, რომ ვინმე, უფრო სწორედ კი, საქართველოს ხელისუფლება მხარს არ დაუჭერდა რეფორმატორულ გარდაქმნებს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში. აქვე აღვნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: მსოფლიო ბანკს განზრახული ჰქონდა, აგრარული მეცნიერების ყველა სფეროში განეხორციელებინა ინსტიტუციური რეფორმა, ასე მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ეს ინსტიტუციური რეფორმა საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში წარმატებული აღმოჩნდებოდა. არჩევანი კი ამ ინსტიტუტზე გაკეთდა იმდენად, რამდენადაც ის იყო ფლაგმანი ქართული აგრარული მეცნიერებისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს ოპტიმიზმს და თავდაჯერებას საფუძველი ჰქონდა, მაგრამ თანდათანობით გაძლიერდა საეჭვო ხმები ინსტიტუტის შენობაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემოსვლის თაობაზე. თანდათანობით ცხადი გახდა ფარული თუ აშკარა ზენოლა ინსტიტუტის ხელმძღვანელობაზე. მალევე გაცხადდა, რომ ინსტიტუტის შენობის წალება იყო საქართველოს ხელისუფლების მიზანი და გადაწყვეტილება. ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებდით, არ გვჯეროდა, რომ საბოლოო მიზანი იყო ინსტიტუტის დაშლა და იაგარქმნა.

გადაწყვეტილება, ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლებისათვის კოლექტიური განცხადებით მიგვემართა.



2005 წლის 5 ნოემბერს, შევადგინეთ განცხადების ტექსტი, და მეორე დღესვე ინსტიტუტში სამეცნიერო საბჭოს ტრადიციულ შეკრებაზე გავაცა- ნით საბჭოს წევრებს. გადაწყდა ხელმოწერების შეგროვება.

უცემ გვატყობინებენ, რომ ინსტიტუტში შემოსულდა ტელეკუმპანია „რუსთავი-2“-ის გადამლები ჯგუფი. ყოველგვარი ზითანარი შეტყობისე- ბის გარეშე. ეს ამბავი ცველას ცუდად გვენიშნა, ინსტიტუტის ფირვეტორმა გვთხოვა ჩავსულიყავით და შევვედროდით ტელეკომპანიის წარმომადგენ- ლებს და გაგვერკვია, რა მიზნით იყვნენ მოსული უზრნალისტები. გავემარ- თეთ და თან წავიყოლეთ ერთობლივი განცხადების ხელმოსაწერი ტექსტი. მოვცემენა, რომ უზრნალისტები კეთილგანწყობით არ იყვნენ მოსული.

ვინაიდან არცუ იშვიათად გვესმოდა ინსტიტუტის კოლექტივის საქმია- ნობის განმაქიქებელი გამონათქვამები სხვადასხვა მხრიდან, რაც ინსტიტუ- ტის საწინააღმდეგო შავ პიარკამპანიად აღიქმებოდა. ვინაიდან ისმოდა ხმე- ბი, რომ ინსტიტუტში უსაქმურობაა დასადგურებული და თანამშრომლები სამსახურში არ დადიან, ალბათ, ტელეურნალისტებს ორშაბათს, დილით ადრე, მეტი მაკომპრომეტირებელი მასალების ვიდეოფირზე აღეჭდა შეეძ- ლებოდათ, არადა, ინსტიტუტის კოლექტივი დილიდანვე სამუშაო რეჟიმში იმყოფებოდა. სასწრაფოდ გავრცელდა „რუსთავი-2“-ის ტელეურნალისტე- ბის სტუმრობის ამბავი და ინსტიტუტის წინაზორ თეთრხალათიანი მეცნიერ- თანამშრომლებით გაივსო. ტელეურნალისტებს გამოვეკითხეთ მოსვლის მიზანი და წარვუდგინეთ ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთობლივი საპრო- ტესტო განცხადება. ოპერატორმა დაგვაფიქსირა ჩვენ განცხადებით ხელში და მცირე განმარტებითი საუბრის შემდეგ გვთხოვეს, ავსულიყავით შენობაში და იქ გაგრძელებულიყო ჩვენი საუბარი. შევიკრიბეთ ინსტიტუტის ბიბლიო- თეკის ფართო დარბაზში, სადაც უზრნალისტებმა ვიდეოფირზე დააფიქსირეს განცხადებაზე ხელმოწერების პროცესი. აგრეთვე, აიღეს ინტერვიუ ინსტი- ტუტის რამდენიმე მეცნიერ-თანამშრომლისაგან. ინტერვიუს მიცემისას ჩვენ მკაფიოდ და მკაცრად გამოეხატეთ პოზიცია და მოვითხოვეთ, შენცვეტილიყო ინსტიტუტის ძირითადი შენობის წართმევისათვის დაწყებული კამპანია, რომ ჩვენ უკან არ დავიხევდით და ვიბრძოლებდით ბოლომდე. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა გააზრებული ის, რომ ეს იყო ინსტიტუტის გაუქმებისა და იავარქმ- ნისათვის გადადგმული პირველი წაბიჯი.

გადაწყვიტეთ, ტელეურნალისტებისათვის გვეჩენებინა ინსტიტუტის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმი და ინსტიტუტის ღვი- ნის მარანი მდიდარი კოლექციითურთ, რომლებიც 1962 წელს ვაზისა და ღვი- ნის X საერთაშორისო კონგრესის წინ იყო აშენებული. მუზეუმისა და მარნის

დათვალიერებისას მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, პჩსნა-განმარტებითმა საუბარმა ჩვენდა სასიკეთოდ შეცვალა მათი განწყობა. ისინი აღფრთოვანებული დარჩნენ ყოველივე ნანახითა და გაგონილით და გვთხოვეს, ამ გავჩერებულიყავით და გვებრძოლა ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის, როგორც დავინახეთ, მათში მამულიშვილურმა, პატრიოტულმა განცდამ გაიღვიძა.

ხელმოწერილი განცხადების ტექსტი წარვადგინდა „გარეთ აღიტეთ-ტურული საქართველო”-ს რედაქციაში. რედაქციამ მხარი დაგვიჭირა და გამოაქვეყნა ეს განცხადება.

გთავაზობთ, ერთობლივი განცხადების ტექსტს ხელმოწერებითურთ, აგრეთვე, სხვა საპროტესტო წერილებს, რომლებიც ქვეყნდებოდა და ეგზავნებოდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და საქართველოს პარლამენტის თამჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს.

ნინასწარვე დავძენთ, რომ არცერთ ჩვენს კოლექტიურ, ოფიციალურ განცხადებაზე და საპროტესტო წერილებზე არავის უპასუხია და არ გაგვსაუბრებია.

მივმართეთ მსოფლიო ბანეს. მსოფლიო ბანეი ყურადღებით გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას დახმარების თაობაზე, რამეთუ მსოფლიო ბანეი იყო ინსტიტუტში მიმდინარე ინსტიტუციური რეფორმის ინიციატორი და დამფურნანსებელი. მალე საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანეისაგან მიიღო საშუამდგომლო წერილი, სადაც მსოფლიო ბანეი მიმართავდა მას თხოვნით, რათა ინსტიტუტისათვის ხელი არ ეხლოთ და სამინისტროსათვის სხვა შენობა გამოეძებნათ. აქვე გთავაზობთ ამ მომართვის ტექსტს და მის ქართულ თარგმანს, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ყურად არ იღო ეს შუამდგომლობა, ისიც დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.



საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვიწეობის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა,

ასპირანტ-მაძიებელთა

და სამეურნეო დარგის მუშაკთა ერთობლივი

კურსოვის პირდოშის განცხადება

თითოეულ ჩვენთაგანს სიამაყით გვავსებს იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ვემსახურებით ჩვენი ქვეყნის მატერიალური და სულიერ-ზნეობრივი ცხოვ-რების მნიშვნელოვან განმაპირობებელ ეროვნულ დარგებს – მევენახოებას, მეღვიწეობასა და მეხილეობას, მიუხედავად ჩვენი არსებობის მეტად მნირი მატერიალურ-ყოფითი პირობებისა.

ჩვენ ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ვართ მემკვიდრენი იმ ფესვებძლიერი ცნობიერებისა, რომელიც მარადებამს ფხიზლობდა და ქარ-თულ ცაზე შემოჭრილ საავდრო და ავისმომასწავებელ ღრუბელს შემართული და მკლავმომარჯვებული ხდებოდა.

დღეს შავი ღრუბელი ჩამოსწოლია თავს დიდ ტაძარს. ქართული აგრა-რული მეცნიერებისა, საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვი-ნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და მას იავარქმნით ემუქრებიან. ვინ შემორეკა ეს ავბედითი ღრუბელი უძველესი მეცნიერული კერის თავზე? ჩვენს ხალხში კარგად არის გაცნობიერებული მტერ-მოყვარის ცნება. ამი-ტომ თამაბად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ავბედითი ღრუბელი მოყვრისგან არ იქნება შემორეკილი. მაშ, ვინაა მტერი და ვინ მოყვარე? ჩვენ მხოლოდ ფაქტებსა და მოვლენებს წარმოვაჩენთ, იმის განსჯა კი, ვინ მტერია და ვინ მოყვარე, იმათთვის მიგვინდვია, ვისაც ამ განცხადებით მივმართავთ.

საუკუნეზე მეტი ისტორიის მქონე ინსტიტუტი ერთადერთი სამეცნიერო ცენტრია ქვეყანაში, რომელიც ახორციელებს აგრარულ სექტორში მაპროფი-ლებელი დარგების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვას. რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ინ-სტიტუციური რეფორმისათვის საცდელ მოდელად შერჩეულ იქნა საქართვე-ლოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებალეობის, მევენახ-ობისა და მეღვიწეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი როგორც წარმა-ტებულად გამორჩეული სამეცნიერო ცენტრი მთელს ყოფილ საბჭოურ სივრ-ცეში.

საქართველოს მთავრობასთან იურიდიული შეთანხმების საფუძველზე
მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ფინანსაურ და ტექნიკურ მხარდაჭერას მე-
ბაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტისათვის, რაც შეადგენს
2,0 მლნ აშშ დოლარს. თანხის თითქმის ერთი მეოთხედი ჩრდილი რეგიონის ინ-
სტიტუტის მთავარი შენობის რეაბილიტაციაში და სხვა ძირითად სამუალე-
ბებში. მოხდა ინსტიტუტის კომპიუტერიზაცია და თრიამეტრიული საკომუნიკა-
ციონ ქსელით აღჭურვა, ინგლისური ენის სწავლების ორგანიზაცია. შემდეგი
მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინსტიტუტის განახლებისათვის იქნება თანამედროვე
ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენა, რაც გამოიყენება შერჩეულ, მა-
ღალპრიორიტეტულ კვლევით სფეროებში ინვესტიციის ნაწილი გამოყოფი-
ლია ინსტიტუტის ინსტიტუციური მოწყობისათვის მართვის სტრუქტურის
გაუმჯობესებისათვის. ადამიანური რესურსების განვითარებისათვის და სა-
ერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებისათვის.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს
საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციას – ბიუჯეტის თანხების ეტაპობრივად
შემცირებას ადგილობრივი სპეცსახსრების, გრანტების მოზიდვის ხარჯზე.

მსოფლიო ბანკი კმაყოფილია ინსტიტუციური რეფორმის შედეგე-
ბით. რაც ხორციელდება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინ-
სტიტუტის, როგორც საცდელი მოდელის მაგალითზე და ასევე მადლიერია
საქართველოს მთავრობისა აღნიშნული პროცესის მუდმივი მხარდაჭერი-
სათვის. რეფორმის მოცემული კონცეფცია სამომავლოდ გამიზნულია მთ-
ლიანი სასოფლო-სამეურნეო კვლევითი სისტემისათვის.

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიცია
ქართველ აგრარიკოს-სპეციალისტთა ევროპისა და რუსეთის ცნობილ სამე-
ცნიერო ცენტრებთან ურთიერთობისა დღესაც წარმატებით გრძელდება და
ახალ შინაარსს იძენს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაფართოვდა ინსტიტუტის საერ-
თაშორისო კონტაქტები. მცენარის გენეტიკური რესურსების საერთაშორი-
სო ინსტიტუტის (IPGRI) მხარდაჭერითა და თანადგომით ინსტიტუტში ხორ-
ციელდება სამწლიანი ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა – „ეავეასიისა
და შავი ზღვის რეგიონებში ვაზის ტექნიკური რესურსების კონსერვაცია და
მდგრადი განვითარება”.

მოლეკულური გენეტიკისა და ამპელოგრაფიული ანალიზის თანამე-
დროვე მეთოდების გამოყენებით იტალიაში შესწავლილია 150 ქართული აბო-
რიგენული ვაზის ჯიში. IPGRI—ის კოორდინატორად კავკასიისა და შავი ზღვის
აუზის ქვეყნებში არჩეულია ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერი.

საერთაშორისო ინსტიტუტის ფინანსური დახმარებით ინსტიტუტის ვაშლაჯვრის ექსპერიმენტულ ბაზაზე გაშენდა აბორიგენული ვაზის ჯიშების კოლექცია 293 ვაზის ჯიშითა და ფორმით. მიმდინარეობს ვაშლაჯვრის კოლექციის შევსება.

ინსტიტუტის თანამშრომელთა ხელმძღვანელობით აღდგენელია თანამედროვე ტიპის სანერგე მეურნეობა ყვარელში, სადაც შესძლებელია 700-800 ათასი ცალი ნერგის წარმოება.

რამდენიმე ფერმერულ მეურნეობაში დანერგილია ვაზის ნამყენი ნერგის დაჩქარებული წესით გამოყვანის თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგია (კახეთი, იმერეთი, ქართლი, გურია).

გაშენებულია გენეტიკისა და სელექციის თანამედროვე მოთხოვნით გამოყვანილი ატმის 50-ზე მეტი, ვაშლის 12, მსხლის 5, ბლის 7, ალუბლის – 3 ჯიში და სხვა კულტურების ჰიბრიდული ჯიშები. კაკლის, თხილის, ნუშის, ბრონეულის და კაკლოვან და მშრალი სუბტროპიკული კულტურების კლონური სელექციით გამოვლენილი 30-ზე მეტი უხვმოსავლიანი ჯიში, კომშის 10 ჯიში.

ქვეყნისათვის და შესაბამისად კვლევისათვისაც ურთულეს პერიოდში ინსტიტუტმა შეძლო – შეენარჩუნებინა ქმედითუნარიანობა, არ დაეკარგა ღირსეული მემკვიდრეობა, შეევსო და გაემდიდრებინა იგი. სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა მევენახეობისა და მეღვინეობის რეაბილიტაციისა და განვითარების კონცეფციები, „კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ”, შეიქმნა ახალი ტექნოლოგიები, საინიციაციო წინადაღებები და სხვა.

ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, აგრეთვე, ყურძნის ღვინის სამკურნალო-პროფილაქტიკური და დიეტური თვისებების გამოკვლევა. მუშავდება პროგრამა – „ღვინო და ჯანმრთელობა”. შექმნილია სუფრის მშრალი წითელი ღვინო გულსისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, წარმატებით მიმდინარეობს მისი კლინიკური გამოცდა.

ინსტიტუტს მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი ჰყავს. 180 თანამშრომლიდან 14 მეცნიერებათა დოქტორი, 76 მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა აკადემიის 5 წევრი და წევრ-კორესპონდენტია. 1995-2005 წლებში ინსტიტუტში დაცულია 6 სადოქტორო და 33 საკანდიდატო დისერტაცია.

სამეცნიერო-კვლევითი დანესებულებების სახელმწიფო ატესტაციის შედეგების მიხედვით, ინსტიტუტი საუკეთესო აღმოჩნდა აგრარული სფეროს კვლევით დაწესებულებებს შორის, მან უმაღლესი შეფასება – 4,5 ქულა დაიმ-სახურა.

ინსტიტუტში სრული დატვირთვით ფუნქციონირებს სამდარგოვანი

საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭო.

საქართველოს მეცნიერება-მედვინეობის, კერძოდ, მებალეობის, მეცნიერებისა და მეცნიერების ინსტიტუტის მაღალი აუტორიტეტის დადასტურება გახლდათ 1962 წელს ქ. თბილისში ვაზისა და ლვინის X საერთაშორისო კონგრესის ჩატარება, აგრეთვე 1965 წელს ქ. თბილისში ლვინობშის საერთაშორისო დეფუსტაცია-კონკურსის მონიკობა. ინსტიტუტში შეიქმნა დაინის ექსპერიმენტული მარანი კოლექციითურთ, ვაზისა და ლვინის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი – ერთადერთი დარგობრივი მუზეუმი ჩვენს ქვეყანაში, სადაც ამავე დროს თავმოყრილია ინსტიტუტის მიერ ათეული წლების განმავლობაში მიღწეული შედეგები. მარანის ენოთეკის თაროები ინახავენ უნიკალურ 40-ზე მეტი წლის ქართულ დვინოებს.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტით მოწყობილი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის თაროები ინახავენ ძველ, იშვიათ გამოცემებსა და თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურას სხვადასხვა ენაზე.

უკანასკნელ ხანს ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე წამოიქრაფირია პრობლემატური საკითხი – სოფლის მეურნეობის სამინისტროს განთავსების შესახებ ინსტიტუტის ძირითად კორპუსში, ეს მოარყული ნათქვამი საკმაოდ დიდხანს ვრცელდებოდა, რაც გამართლდა კიდეც. ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან მოვლენილმა პირებმა განახორციელეს შენობისა და მიმდინარე ტერიტორიის დეტალური დათვალიერება-ფოტოგრაფირება, გენგეგმის კოპირება და სხვა.

არასამართლებრივია ა.ნ. 17 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილი-თხოვნა იმის თაობაზე, რომ მას უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცეს მებალეობის, მეცნიერებისა და მეცნიერების ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები და მიმაგრებული მინის ნაკვეთი.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა სამართლებრივი არგუმენტი გააჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვისი ქონების მოთხოვნისას, როცა ინსტიტუტს არავითარი ფუნქციონალურ-სტრუქტურული დამოკიდებულება არ გააჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან? როცა არაფერს ეკითხებიან ქონების ჭეშმარიტ მფლობელს და ამ ქონების მითვისებას ცდილობენ, რა შეიძლება ენოდოს ამგავრ ქმედებას?

უნებლივ იბადება კითხვა: რამ განაპირობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს არჩევანი და სურვილი – დაიმკვიდროს ადგილსამყოფელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში, მაშინ, როცა დედაქალაქში

არაერთი გამოთავისუფლებული ფართის მოძიება შეიძლება? ეს ყველაფერი კეთდება ისე, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა არაფრეს ფიქრობს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მომავალზე, მეცნიერებზე, ასპრონანტებსა და მაძიებლებზე, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ რეზიტორის ზუდზე.

რას ფიქრობს და რა აზრისა მსოფლიო ბანკის წელმძღვანელობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცილინდრის მოგვაქვს ამონარიდი საქართველოს მთავრობისადმი მსოფლიო ბანკის მიერ გამოგზავნილი წერილიდან:

„მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის შენობათა ექსპროპრაცია ქვეყანას ზიანს მეტს მოუტანს, ვიდრე სარგებელს. აღნიშნული ინსტიტუტისათვის მიმდინარე საინვესტიციო პროგრამის შეწყვეტა იქნება უსამართლო დანაკარგი უკვე დახარჯული რესურსებისა, რაც გამიზნული იყო ამ ინსტიტუტის შესაძლებლობების გაზრდისათვის, რომელიც ემსახურება საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებას.

გთხოვთ, რომ მოძებნოთ სხვა ადგილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს განთავსებისათვის, რათა ხელი არ შეეშალოს რეფორმის პროგრამის წარმატებით დასრულებას. მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. საცდელი მოდელის მაგალითის გათვალისწინებით ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, დაგეხმაროთ მეცნიერების ორგანიზაციისა და მართვის სფეროს რესტრუქტურიზაციის საკითხებში”.

ჩვენ არ გვსურს ქვეყნის შიგნით მტრის იარლიყი მივაკრათ ვინმეს, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ მოყვარულ ქმედებად არ ჩაითვლება ინსტიტუტის შენობის ბაზებითურთ ექსპროპრაცია, ამ შემთხვევაში მოყვარე არა ქვეყნის შიგნით, არამედ ოკეანისგაღმიდან მოგვევლინა. ნონსენსია: შინაური მომხდურისაგან გარეული გვიფარავდეს.

გარეული კაცი უფრო უნდა ხედავდეს საზრუნავსა და გასაჭირს, თუ შიანური?

მაშინ, როცა მსოფლიო ბანკი მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს თავისთავადობის შენარჩუნებაში, რეფორმის წარმატებით განხორციელებასა და საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებაში, ბუნებრივად იბადება კითხვა: საქართველოში ვის აძლევს ხელს ინსტიტუტისათვის საძირკვლის გამოშლა, ქართული აგრარული მეცნიერების ფლაგმანის დაშლა-განადგურება?

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი კარგად ვაცნობიერებთ, რომ ვართ მემკვიდრენი საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუ-

ტის დიდი ტრადიციების შემქმნელების – სოლომონ ჩოლოყაშვილის, ნიკო-ლოზ ხომიზურაშვილის, დიმიტრი ტაბიძის, მაქსიმე რამიშვილის, ნიკოლოზ ახვლედიანის, სერგი დურმიშიძის, გიორგი ბერიძის, ანდრო ლაშეს და სხვა ქართველ აგრარიკოს-მეცნიერთა. კარგად ვაცნობიერებთ იმას, რომ იწატე-ტუტის ხელყოფა, ინსტიტუტის ადგილსამყოფელის მოშპა ან თურდაც ხვა ადგილას გადატანა არის არა მხოლოდ უარყოფა და თავიწყება ჩვენი შოთარე-ბის ნაშრომ-ნაღვანისა, არამედ ქართული აგრარული შეცნიერების დამცრო-ბა-დაკნინების, საბოლოოდ კი მისი იავარქმნის მცდელობის დასაწყისი, ბარ-ბაროსული ქმედება, რომელსაც მოჰყვება სამომავლოდაც გამოუსწორებელი და დამლუკველი შედეგები.

ჩვენი წინა თაობების დიდი პატრიოტიზმით, ცოდნითა და რუდუნებით, მათთან ერთად ჩვენი მრავალნლიანი შრომითა და უძილო ღამეებითაა შექმ-ნილი ინსტიტუტის სამეცნიერო-საწარმოო ბაზა, თითოეული ძირი ხე და ვაზი, ამ დიდ მონაპოვარს ყოველმხრივ დავიცავთ ხელყოფისაგან, მომავალ თაობებს არ მოვუშლით ამ დიდ მონაპოვარს, ეს ჩვენი მამულიშვილური და მოქალაქეობრივი ვალია.

მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს ხელისუფლე-ბას, საქართველოს პარლამენტს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული აგრარული მეცნიერების, მეხილეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის მო-მავალი, ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეწყდეს რეფორმის გზაზე მდგარი საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია მისი შენობის ექსპროპრიაციის მიზნით და მოგვეცეს მშვიდი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის საშუალება.

ხელისმომწერნი:

1. გ. გ. გ. გ.
2. გ. გ. გ. გ.
3. გ. გ. გ. გ.
4. გ. გ. გ. გ.
5. გ. გ. გ. გ.
6. გ. გ. გ. გ.
7. გ. გ. გ. გ.
8. გ. გ. გ. გ.
9. გ. გ. გ. გ.

1. გ. გ. გ. გ.
2. გ. გ. გ. გ.
3. გ. გ. გ. გ.
4. გ. გ. გ. გ.
5. გ. გ. გ. გ.
6. გ. გ. გ. გ.
7. გ. გ. გ. გ.
8. გ. გ. გ. გ.

ა. მუჭათა ბო
 გ. ჭრილ
 გამოწვევა
 გ. მარტინ
 ხილი 20 სა წ.
 ხილი 1 ლიტრ
 კუნძული ბუბნი
 ინგები კონფიდენციალური
 ისეულა ფილტრები
 კუნძული ფილტრ
 ცვალი ფილტრ
 ნივთ მოხატვა
 ნივთ ეტერფიზა

გ. მუჭათა
 გ. ჭრილ
 გ. მარტინ
 ხილი ბუბნი
 კუნძული ფილტრ
 ცვალი ფილტრ
 ცვალი ფილტრ
 ნივთ მოხატვა
 ნივთ ეტერფიზა

გ. მუჭათა ცოდნული
 ი. მუჭათა
 გ. მუჭათა

ა. მუჭათა
 გ. მუჭათა
 გ. მუჭათა
 გ. მუჭათა
 გ. მუჭათა

გ. მუჭათა

ა. მარტინ
 გ. მუჭათა
 გ. მუჭათა

გ. მუჭათა

6 ნოემბერი, 2005 წელი

გამოქვეყნებულია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“
 2005 წლის 18 ნოემბერი, №41 (3561)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

ბ-6. ირაკლი ჩოგოვაძეს

19 ოქტომბერი, 2005

საკითხი: სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადატანა

ალტერნატიულ ადგილზე

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს მონახოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განთავსებისათვის სხვა შენობა და ამასთან დაკავშირებით მივიღეთ ინფორმაცია, რომ არჩევანი შეჩერებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის შენობაზე, რამაც გამოიწვია ჩვენი შემფრთხება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვსურს გაცნობოთ შემდეგი:

რამდენიმე წლის წინ, საქართველოს მეცნიერთა და მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინსტიტუციური რეფორმისათვის, საცდელ მოდელად შერჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერთებათა აკადემიის მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტი. მევენახეობა და მეხილეობა საქართველოსათვის პრიორიტეტულ დარგებს წარმოადგენდა და სწორედ აღნიშნული ინსტიტუტი გამოიჩინა მრავალი ათეული წლების გამოცდილებით პრიორიტეტულ სფეროებში.

საქართველოს მთავრობასთან იურიდიული შეთანხმების საფუძველზე, მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტისათვის, რაც შეადგენს 2 მილიონ აშშ დოლარს. თანხის თითქმის 1/4 უკვე ინვესტირებულია ინსტიტუტის მთავარი შენობის რეაბილიტაციაში და სხვა ძირითად საშუალებებში. მოხდა ინსტიტუტის კომპიუტერიზაცია და თანამედროვე საკომუნიკაციო ქსელით აღჭურვა. შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინსტიტუტის განახლებისათვის იქნება თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენა, რაც გამოიყენება შერჩეულ მაღალპრიორიტეტულ კვლევით სფეროებში, კერძოდ ვაზისა და ხეხილის გენეტიკაში, ბიოქიმიაში, სელექციაში, ჯიშთა სელექციაში, გამრავლებაში, კულტივაციაში, აგრეთვე ხილის გადამუშავებისა და მეღვინეობის ტექნოლოგიებში. ინვესტიციის ნაწილი გამოყოფილია ინსტიტუტის ინსტიტუციური მოწყობისათვის, მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, ადამიანური რესურსების განვითარებისათვის და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებისათვის.

მსოფლიო ბანკი კმაყოფილია ინტიტუციური რეფორმის შედეგებით, რაც ხორციელდება მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის, როგორც საცდელი მოდელის მაგალითზე და ასევე მადლიერი საქართველოს მთავრობისა აღნიშნული პროცესის მუდმივი მხარდაჭერისაუკის ჩვენთვის ცნობილია, რომ რეფორმის მოცემული კონცეფცია სამომავლოდ გამიზნულია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო კვლევოთი სრულისათვის.

მსოფლიო ბანკისათვის ცნობილია საქართველოს მთავრობის სამომავლო გეგმები, რაც მოიცავს დიდ ცვლილებებს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ეს კი ზეგავლენას მოახდენს მეცნიერებათა აკადემიებსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ინსტიტუტებზეც. ცვლილებებს განიცდის მათი რაოდენობა, იურიდიული სტატუსი და მანდატი. ჩვენ გვესმის რომ ამ პროცესის ნაწილი შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინსტიტუტების ოპტიმიზაციასაც. გვინდა ავღნიშნოთ, რომ მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტისათვის შენობათა ექსპრო-პრიაცია ქვეყანას ზიანს მეტად მოუტონს ვიდრე სარგებელს. აღნიშნული ინსტიტუტისათვის მიმდინარე საინვესტიციო პროგრამის შენყვეტა იქნება უსამართლო დანაკარგი უკვე დახარჯული რესურსებისა, რაც გამიზნული იყო იმ ინსტიტუტის შესაძლებლობების გაზრდისათვის, რომელიც ემსახურება საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებას.

გთხოვთ, რომ მოძებნოთ სხვა ადგილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს განთავსებისათვის, რათა ხელი არ შეეშალოს რეფორმის პროგრამის წარმატებით დასრულებას მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტში. საცდელი მოდელის მაგალითის გათვალისწინებით ჩვენ მოხარული ვიქნებით დაგეხმაროთ მეცნიერების ორგანიზაციისა და მართვის სფეროს რესტრუქტურიზაციის საკითხებში.

პატივისცემით,

ვან როი საუთვორთი

ქვეყნის მენეჯერი საქართველოში

ნ ე რ ი ლ ი ს ა ს ლ ი გ ა ე გ ზ ა ვ ნ ა თ:

ალექსი ალექსიშვილი, ფინანსთა მინისტრი;

მიხეილ სვიმონიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი;

ალექსანდრე ლომაია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

გიორგი ხევაბშვილი, პარლამენტის აგრარულ საკოხთა კომიტეტის ხელმძღვანელი;

შოთა ჭალაგანიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი

WORLD BANK OFFICE TBILISI
5A, 1st Drive, Chavchavadze Ave, Georgia
Tel: 91 30 96, Fax: 91 34 78

105/180



მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა
თბილისი ქავშავის გზაზე, 1 ჩანა ვა
ტელ: 91 30 96, ფაქს: 91 34 78

საქართველო
მინისტრი

Irakli Chogovadze
Minister
Ministry of Economic
Development of Georgia

October 19, 2005

Dear Mr. Chogovadze,

Re: Expected Office Move of the Ministry of Agriculture

We understand that the Government is considering to move the Ministry of Agriculture from its current building to an alternative location. Further we understand that the preferred option for the move are the premises of the Scientific Research Institute of Horticulture, Viticulture and Oenology (IHVO) of the Georgian Academy of Agricultural Science. We are deeply concerned by this news and would like to bring to your attention the following:

A few years ago IHVO has been chosen by the Georgian scholars and authorities as a model for piloting institutional reform of agricultural scientific-research facilities. The rationale for picking this particular institute had been conventional understanding that viticulture and horticulture are priority fields for Georgian agriculture and that IHVO maintains one of the clear leaders among Georgia's research institutions that have been sharing common hardships of the country's public sector for almost two decades.


Based on a legal agreement with the Government of Georgia, the World Bank is providing financial and technical assistance to IHVO, worth about 2 million USD. Almost ¼ of this allocation has already been invested in rehabilitation of a run-down building of IHVO and installation of basic utilities. The Institute is also computerized and able to run modern electronic communication networks. One important next step in upgrading IHVO's capacity is to deliver a full set of modern laboratory equipment, that will be installed in the renovated premises and used for the selected top priority research areas in the fields of vine and fruit genetics, biochemistry, breeding, variety selection, propagation, cultivation, as well as improvement of fruit processing and winemaking technologies. Part of the investment has been allocated for restructuring of IHVO's institutional set-up, modernizing its management pattern, developing of human resources and reinforcing international scientific relations.

So far the World Bank has been satisfied with the outcomes of the ongoing pilot institutional reform model carried out in IHVO and with the Government's continued support to this process. We are also aware, that the concept of this reform is intended for replication throughout the agricultural research system.

The World Bank is fully aware of the Government's forthcoming plans to introduce substantial changes in the field of higher education and science, that may have implications for the academies of science and individual institutes under them, including changes in their number, legal status and mandate. We understand that optimization in the use of the State-owned property by these institutions may be a part of this process. Having this said, we would like to emphasize, that picking IHVO for expropriation of the occupied premises would certainly bring about more harm than benefit for the country. Cutting the ongoing investment program for IHVO would be an unjustified waste of the already spent resources for the capacity building of this institution, that serves a clear priority field of Georgia's economy and is currently one of the most potent research facilities of the nation.

We ask that you find another site for the Ministry of Agriculture so that the reform program in IHVO can be successfully completed. We would be happy to assist you in extrapolating lessons learned from this pilot exercise and in applying them to your plans for major restructuring in the fields of organization and management of science.

Sincerely,



Van Roy Southworth
Country Manager for Georgia

Cc: Aleksi Aleksishvili, Minister of Finance
Mikheil Svanishvili, Minister of Agriculture
Aleksandre Lomaia, Minister of Education and Science
Giorgi Kheviashvili, Head of the Agrarian Committee of the Parliament
Shota Chalaganidze, Vice President of the Academy of Agricultural Science

სელისუფლების მხარდაჭირის მოღონიშვილი



ეიძლება ვიფიქროთ, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა საპროტესტო სტონერილს მოჰყვა გამოხმაურება საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. ინსტიტუტს ეწვივნენ პარლამენტის წევრები, მაგ შორის ბაზონი მიხეილ მაჭავარიანი და ზურაბ ტყემალაძე. პარლამენტარებმა დაათვალიერეს ინსტიტუტის საკვლევი ლაბორატორიები, მუზეუმი, მარანი, შეგვხვდნენ და გაგვესაუბრნენ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს და შთაბეჭდილებებით დატვირთულები, ერთგვარი „მდუმარე თანადგომით“ დაგვემვიდობნენ. მაგრამ მცირე იმედი მაინც გვჩებოდა, რომ შესაძლოა, საქმე ჩვენს სასიკეთოდ შემობრუნებულიყო.

გამოხდა ხანი, მაგრამ ვითარება თანდათან იძაბებოდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან, კერძოდ, მინისტრ მ. სვიმონიშვილისა და მინისტრის მოადგილის – დეკანონიძისაგან გახშირდა თხოვნები და შემოთავაზებები იმის თაობაზე, რომ მთავარი კორპუსის ერთი სართული, ან რამდენიმე ოთახი დათმობოდა სამინისტროს. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე განვიხილეთ ეს წინადადებები, მაგრამ სამეცნიერო საბჭომ გამოთქვა კატეგორიული უარი ამ წინადადების მიღებაზე, რამეთუ ცხადი იყო შეფარული მცდელობა ინსტიტუტის მთავარი შენობის დასაუფლებლად, გადავწყვიტეთ, კვლავ შეგვეგროვებინა ხელმოწერები და მიგვემართა წერილით საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ საკაშვილისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯომარისათვის – ნინო ბურჯანაძისათვის, ასეც მოხდა 2006 წლის 5 იანვრით დათარიღებული მიმართვის წერილი ხელმოწერებითურთ ჩაბარდა ადრესატებს. აქვე გთავაზობთ ამ წერილს.



საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარებელი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს
ბეჭედი მისამართი

ბატონი მიხეილ! ქალბატონი ნინო!

ხელმეორედ მოგმართავთ, რათა დაიცვათ იავარქმნისა და განადგურების საშიშროებისაგან საქართველოს აგრარული მეცნიერების ფლაგმანის — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მეცნიერებებისა და მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამგვარი საშიშროება რეალური გახდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღისრულებს დაუინებულ სურვილს — განთავსდეს ამ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითად კორპუსში, რაც ყოვლად უარგუმენტო და დაუსაბუთებელია. ყოვლად ულოგიკო და გაუმართლებელია კვლევითი ორგანიზაციისა და ადმინისტრაციულ-აღმასრულებელი დაწესებულების ერთ პატარა, ოთხსართულიან შენობაში ფუნქციონირება მკვეთრად განსხვავებული ფუნქციების გამო.

მებაღეობის, მეცნიერებისა და მეცნიერების ინსტიტუტი წარმატებული ინსტიტუტობის რეფორმის პროცესშია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ თვითნებურად შეაჩერა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული და ხელშეწყობილი პროგრამა, რითაც ფაქტიურად შეაჩერა აგრარული მეცნიერების წარმატებული რეფორმის პროცესი. ამ მომენტს სამინისტრო იყენებს ინსტიტუტის კოლექტივზე ზენოლის იარაღად.

საქართველოს პარლამენტმა შეისწავლა გასული წლის ნოემბრის ბოლოს ინსტიტუტის კოლექტივის მიერ თქვენს მიმართ მოწერილი კოლექტიური წერილის მოთხოვნები და სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა, რომ ინსტიტუტის შენობაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს განთავსება ზიანის მომტანი იქნებოდა სამდარგოვანი სამეცნიერო ცენტრისათვის და მიზანშეწონილად მიიჩნია სამინისტროსათვის სხვა შენობის გამოყოფა. ამგვარივე დასკვნა გამოიტანა მსოფლიო ბანკმაც საქართველოს მთავრობისათვის გამოგზავნილ წერილში.

საქართველოს მებაღეობის, მეცნიერებისა და მეცნიერების ინსტიტუ-

ტის მეცნიერები, ასპირანტები, მაძიებლები და სამუშაონეო დარგების მუშავები მოგმართავთ კატეგორიული თხოვნით, რათა დროულად შეაჩეროთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუინებული მოთხოვნა ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების და ბაზების ხელში ჩაგდებისა და ამით იხსხათ საჯაროგვერცისა-მეცნიერო ცენტრისა და მთლიანად, საქართველოს აგრარული მეცნიერების მომავალი ივარქმნისა და განადგურებისაგან.

5 იანვარი 2006 წელი ხელისმომწერნი:

1. flag
 2. scissors
 3. guitar
 4. eraser
 5. pen
 6. pencil
 7. key
 8. eraser
 9. pen
 10. pencil
 11. eraser
 12. key
 13. eraser
 14. pen
 15. pencil
 16. eraser
 17. key
 18. eraser
 19. pen
 20. pencil
 21. eraser
 22. key
 23. eraser
 24. pen
 25. pencil
 26. eraser
 27. key
 28. eraser
 29. pen
 30. pencil

g. Տղման
 h. Խորություն
 i. Առաջ քայլություն
 j. Առաջ քայլություն
 k. Հայոց
 l. Հայոց
 m. Հայոց
 n. Արարատ
 o. Հայոց
 p. Հայոց
 q. Հայոց
 r. Հայոց
 s. Հայոց
 t. Հայոց
 u. Հայոց
 v. Հայոց
 w. Հայոց
 x. Հայոց
 y. Հայոց
 z. Հայոց

1. 123456789
2. 123456789
3. 123456789
4. 123456789
5. 123456789
6. 123456789
7. 123456789
8. 123456789
9. 123456789
10. 123456789
11. 123456789
12. 123456789
13. 123456789
14. 123456789
15. 123456789
16. 123456789
17. 123456789
18. 123456789
19. 123456789
20. 123456789
21. 123456789
22. 123456789
23. 123456789
24. 123456789
25. 123456789
26. 123456789
27. 123456789
28. 123456789
29. 123456789
30. 123456789

31. 123456789
32. 123456789
33. 123456789
34. 123456789
35. 123456789
36. 123456789
37. 123456789
38. 123456789
39. 123456789
40. 123456789
41. 123456789
42. 123456789
43. 123456789
44. 123456789
45. 123456789
46. 123456789
47. 123456789
48. 123456789
49. 123456789
50. 123456789
51. 123456789
52. 123456789
53. 123456789
54. 123456789
55. 123456789
56. 123456789
57. 123456789
58. 123456789
59. 123456789
60. 123456789
61. 123456789
62. 123456789
63. 123456789
64. 123456789
65. 123456789
66. 123456789
67. 123456789
68. 123456789
69. 123456789
70. 123456789
71. 123456789
72. 123456789
73. 123456789
74. 123456789
75. 123456789
76. 123456789
77. 123456789
78. 123456789
79. 123456789
80. 123456789
81. 123456789
82. 123456789
83. 123456789
84. 123456789
85. 123456789
86. 123456789
87. 123456789
88. 123456789
89. 123456789
90. 123456789
91. 123456789
92. 123456789
93. 123456789
94. 123456789
95. 123456789
96. 123456789
97. 123456789
98. 123456789
99. 123456789
100. 123456789

პრძოლა გრძელდება



იდევ ერთი საპროტესტო წერილის გახმაურების შემდეგ - საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი მიხეილ მაჭავარიანი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბატონი მიხეილ გვამონიშვილი ცნოველინისტუტის მისამართისა და სვიმონიშვილისაგან. მათ ერთგვარად თავი აარიდეს აღშფოთებული ინსტიტუტის თანამშრომელთა მძაფრ შეკითხვებს, თუმცა დირექტორის კაბინეტიდან გამოსულმა მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა შეკრებილებს: „დამშვიდდით, ნუ ლელავთ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ“ - ი. ამ განცხადებამ თითქოს დაგვამშვიდა, მაგრამ ამგვარი დამამედებელი მომართვა სრულ გარანტიად მაინც ვერ იქნა აღქმული. როგორც შემდგომში გრძელებულმა მოვლენებმა დაგვანახა, ეს აღმოჩნდა ცრუ დაპირებად, პარლამენტის თავმჯდომარის, თუნდაც აგრარული კომიტეტის მხრიდან არავინ გამოხმაურებია ინსტიტუტის პრობლემატიკას, მეცნიერთა მოთხოვნებს გულშემატკიცურული ტონითაც კი არავინ გამოხმაურებია. ამასთანავე, უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ხშირდებოდა ხმები იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უპირობოდ წაიღებდა ინსტიტუტის მთავარ შენობას და ჩვენ მოგვიწევდა იქვე, მარნის გვერდით საპროექტო ინსტიტუტის შენობაში გადაბარება. ვფიქრობდით, რომ ეს იქნებოდა და ეს. მაინც გვქონდა იმედი, რომ ინსტიტუტი შეინარჩუნებდა მუზეუმს, მარანს, ესქპერიმენტულ ბაზებს, საცდელ სადგურებს, ვაზის ქართულ გენოფონდს კოლექციის სახით, როგორც კი დავინახეთ, რომ ეს ასე არ მოხდებოდა და სიტუაცია უფრო და უფრო მძიმდებოდა, გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ მიგვემართა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისათვის. ეს იყო 2006 წლის ოქტომბერი. მიმართვის ტექსტი გამოაქვეყნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ - მ, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა ჩვენს უთანასწორო ბრძოლაში.

როგორც აღმოჩნდა, ჩვენმა შეურყეველმა და პრინციპულმა პოზიციამ ძლიერ გააღიზიანა საქართველოს ხელისუფლება. როცა დაინახეს, რომ მეცნიერები ნებით არ დათმობდა ინსტიტუტის ძირითად კორპუსს, ხელისუფლების რეაცეცია გახდა აგრძელი, რაც საბოლოოდ დასრულდა იმით, რომ პარასკევ დღეს, საღამოთი, როცა ინსტიტუტის სამუშაო საათები ის იყო თავ-

დებოდა, დაუდგენელი პირები შემოიჭრნენ მთავარ კორპუსში და მუქარით
მოთხოვეს, ჯერ კიდევ შემორჩენილ თანამშრომლებს, დაეცალათ ოთახები,
ეს ხდებოდა მეოთხე სართულზე, მეხილეობის განყოფილების კუთვნილ ოთა-
ხებში. როცა თანამშრომელთა წინააღმდეგობა დაინახეს, დაიწყეს მუქარა,
წინააღმდეგობის შემთხვევაში ისინი მზად იყვნენ ფანჯრებიდან გადაეყროთ
მაგიდები, კარადები და სხვა ინვენტარი. მათ სწრაფად გამოყარეს აცვის
დერეფანში და დაიწყეს კედლების ბურღვა და წინასწარ შედგენილი გეგმის
განხორციელება. ასე დაიწყო ინსტიტუტის ნგრევისა და იავარქმნის პროცესი.



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

გაფონი პრეზიდენტი!
ერთობლივი თავმჯდომარე!

უკვე მესამედ მოგმართავთ კატეგორიული თხოვნით – დაესვას წერტილი და შეწყდეს საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნგრევისა და იავარქმნის პროცესი. ეს ტრაგედია მხოლოდ ამ ტრადიციული და უძველესი სამეცნიერო დაწესებულების პრობლემა არ არის. ეს ნეგატიური პროცესი მოასწავებს მთელი ქართული აგრონომიული მეცნიერების განადგურებას.

თქვენთვის ეს საკითხი ცნობილი და არახალია. განზრახულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოყვანა საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში და ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტულ ბაზებს, ქართული ვაზის კოლექციას, სამეცნიერო-საწარმოო დაწინულების ღვინის მარანს, ხეხილის, ვაზისა და ღვინის მუზეუმს, მევენახეობისა და მეხილეობის საპროექტო ორგანიზაციას. მაშინ, როცა საქართველოს აგრარულ სფეროში პირველად წარმატებით წარმატებით ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ ხელშეწყობილი და დაფინანსებული პროგრამა ინსტიტუციური რეფორმისა, რაც სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

განა ალოგიკური არ არის სამინისტროს, ამ აღმასრულებელი და ორგანიზაციული სტრუქტურის შემოყვანა და დაფუძნება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ადგილსამყოფელში. განა შეთავსებადია ეს ამ ორი, რადიკალურად განსხვავებული ფუნქციების მქონე სტრუქტურის თანაცხოვრება? ხომ ცხადზე ცხადია, რომ ეს გამოიწვევს ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ კი, სამეცნიერო დაწესებულების შევიწროებასა და საბოლოოდ გაქრობას. განა რა უჭირს სახელმწიფოს, იმისა რომ ხელისუფლებამ შესაფერისი განთავსების ადგილი ვერ მოუძებნოს სამინისტროს და ამით თავიდან აიცილოს საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტის ნგრევა?

თუ გარდაუვალია სამინისტროს გადმოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენ ვთავაზობთ 3 – სართულიან ცალკე მდგომ კორპუსს, რომელიც შესატერისი რემონტის შემდეგ სრულიად დააქმაყოფილებს სამინისტროს მოთხოვნებს. მართალია ამ შენობაში განთავსებულია ინსტიტუტის პაზაზე არსებული სასწავლო ინსტიტუტი, მაგრამ მათ გამოენახებათ აღგილი განთავსებისათვის. რაზედაც ჩვენ გვქონდა სამინისტროსთან სიტყვები შეთანხმება.

ინსტიტუტის ძირითად შენობაში ამავე დროს განთავსებული კომპიუტერულად აღჭურვილი დარგობრივი, უნიკალური ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი საერთაშორისო კონფერენციების ჩასატარებლად.

ინსტიტუტის რეფორმების პროცესს წარმართავენ მსოფლიო ბანკი და გენოფონდის საერთაშორისო ორგანიზაცია – „IPGRI”, რომელთა დაფინანსებითა და მხარდაჭერით ჩატარდა ინსტიტუტის ძირითადი კორპუსის სრული რემონტი, შეიქმნა ქართული ვაზის კოლექცია, ინსტიტუტში შემოდის კვლევის თანამედროვე დონის საანალიზო აპარატურა, რაც გათვლილია ინსტიტუტის ძირითად შენობაში განთავსებისათვის, სამინისტრო კი ამ პროცესს ყოველმხრივ აფერხებს და სასიკვდილო განსაცდელს უზრადგებს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები განვიცდით ზენოლას იმ აზრისას, რომ ინსტიტუტის შენობა-ნაგებობები ექსპერიმენტული ბაზებით, მარნითა და მუზეუმით უნდა გადაეცეს სამინისტროს. ამ შემთხვევაში რჩებათ კი მეცნიერებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვის საშუალება და პირობები? ამ მზაკვრული გეგმის განხორციელება საბოლოოდ მოაკვდინებს აგრარულ მეცნიერებას.

მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უშუალო მონაწილეობით 2010 წლს ინსტიტუტში შეთანხმებულია ჩატარდეს მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესი, რასაც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში სხვა, უფრო ამაღლებული და პრესტიული რეზონანსი უნდა ჰქონდეს. ამ დიდი საერთაშორისო ფორუმის მთავარი მასპინძელი, უნდა იყოს საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტები.

მომავალი წლიდან დაგეგმილია ამ ინსტიტუტის ბაზაზე ღვინის, შამპანურისა და კონიაკის დიდი საერთაშორისო დეგუსტაციის ჩატარება, რომლის მთავარი მასპინძელი ასევე მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტები უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის უმაღლეს დონეზე ჩატარება შესაძლებელი იქნება იმ რეფორმების ხელშეწყობითა და დახმარებით, რომლებიც ხორციელდება დღევანდლამდე მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში.

როგორც თქვენთვის ცნობილია რუსეთმა გაატარა პოლიტიკური ღონი-

სძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკურ დაუძლეურებას. ამ დროს მებალეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის დარგების განვითარების მეცნიერული საფუძვლების მორყევა და დისკრედიტაცია რუსეთის ნისქვილზე ასხამს წყალს, რაც დაუშვებელია.

ჩვენ, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები და სპეციალისტები მოგმართავთ კატეგორიული თხოვნით, რათა აღვერთოთ უნას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მცდელობა, მოუხებნოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განთავსების შესაფერისი ადგილი და მოგვცეთ საშუალება უშფოთველი და მშვიდი შემოქმედებითი საქმიანობისა.

საქართველოს პარლამენტმა ადრე სათანადოდ დაუჭირა მხარი ჩვენს მოთხოვნას ინსტიტუტის თავისთავადობის შენარჩუნების მიზნით, ჩვენ ახლაც გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი გაითვალისწინებენ ინსტიტუტის, როგორც უძველესი აგრარული სამეცნიერო დაწესებულების მაღალი რეპუტაციისა და სტატუსის შენარჩუნების და დაცვის გარდაუვალ აუცილებლობას და დაიცავს მის ხელშეუხებლობას.

საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერთა, სპეციალისტთა და სამეურნეო მუშაკთა სახელით:

ა. დავით
ბ. შემახუ
თ. ქართლ
მ. დახილა
გ. რე
ე. ჭერი
ჭ. გილია
ე. გილია
ე. გილია
ა. გილია
გ. გილია
ე. გილია
ე. გილია
ა. გილია
გ. გილია
ე. გილია

გ. გილია
ე. გილია
ა. გილია
გ. გილია
ე. გილია
ე. გილია
ა. გილია
ე. გილია
ე. გილია
ა. გილია
ე. გილია
ა. გილია
ე. გილია

m. յուն
ա. մահմադ
շ. սահման

m. աննա
1. քաջազնուն
3. քաջազնուն
6. քաջազնուն
9. զելինիկ
h. գևոնչաց
o. զենահանց
1. ինչ
2. ինչ
6. անուն
3. տեսակ

6. յուն
շ. սահման
6. աննա
2. քաջազնուն
1. Քաջազնուն
2. աննա
6. զելինիկ
6. զելինիկ
1. զելինիկ

m. ինչ
e. օնոմատ
e. ինչ
3. սպասարժություն
6. բժիշկական
6. յուն
e. յուն

24.10.06.

Բաձարյան Սայարտական Արքօնադյենքի յանցուղարկած
დա Սայարտական Արձամենքի մուսակցություն
3 նոյեմբեր, 2006 թ. №39 (3603)

ძალამომრეობა იმარჯვებას

3

აშ, ასე! ძალადობას ვერ გადაურჩა ვერც ინსტიტუტის მთავრობის კურსი, ვერც ინსტიტუტის ვაშლავევრის ექსპერიმენტული ბაზა ვაზის ქართული გენოფონდის ამსახველი კოლექცია ამ ბაზაზე ვწარახო და ხემილი 2008 წლის ნოემბერში გაჩერება ბარბაროსულად, ვერაგულად, მზაყვრულად. 2009 ნელს შეფარულად გაიყიდა თელავის საცდელი სადგურის შენობა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიითვისა ვაზისა და ღვინის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმის შენობა. მალე ინსტიტუტს გაუუქმეს ავტონომიური სტატუსი. ყოველივე ამას თან სდევდა თანამშრომელთა არაერთგზისი შემცირება, ასე, რომ მეთოდურად მიმდინარეობდა ინსტიტუტის თანდათანობითი შევიწროების, დასუსტებისა და გაუქმების პროცესი. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უძრავ-მოძრავი ქონება შეიერთა საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა, ყოფილი ინსტიტუტის ისედაც შეთხელებული სამეცნიერო კონტიგენტი კიდევ უფრო გაიცხრილა თანამშრომელთა ნაწილი აიყვანეს აგრარული უნივერსიტეტში ხელშეკრულებით, უნივერსიტეტს გადაეცა ყოფილი ინსტიტუტის ლაბორატორიული მოწყობილობები, საკვლევი აპარატურა, ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც შექმნილი იყო მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და იყო აღჭურვილი კვლევის თანამედროვე აპარატურით. ასევე, გენეტიკური კვლევის ლაბორატორია. ასე და ამგვარად შვიდწლიანი უთანასწორო ბრძოლა დასრულდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სრული განადგურებით საქართველოში, მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი და უპირველესი კულტურის ქვეყანაში, არსებობა შეწყვიტა მევენახეობის, მეღვინეობის და მეზილეობის მსოფლიოში ცნობილმა დიდმა სამეცნიერო ცენტრმა. მოხდა ყოვლად დაუჯერებელი, მოულოდნელი ალოგიკური რამ ... და ეს იყო ნება საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლებისა.



გაუქმებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული
და სამეცნიერო მუზეუმი უნდა აღდგეს



აქართველოს სოფლის მეურნეობა და კერძოდ, მევენახეობა და მელ-ვინეობა დღეს სავალალო მდგომერეობაშია. ეს იმდენად ცხადია, რომ შემოკამათების სურვილიც კი არავის გაუჩნდება. იმათ, ვისაც საწინა-აღმდევო აზრი გაუჩნდება, შევახსენებთ, რომ ჩვენ ვნერთ ქართულ მევენა-ხეობა-მელვინეობაზე და არა მის სახესხვაობაზე. რაც იყო გუშინ, დღეს აღარ გვაქვს. უკანასკნელი ათწლეულების მოვლენებმა თანდათანობით წაუშალა ტრადიციული იერასახე ქართულ მევენახეობა-მელვინეობას და არა გვვინა, რომ ჩვენ დღეს საერთაშორისო არენაზე გასვლის ღირსნი ვიყოთ, ანდა გაგვაჩნდეს ამის თავი. მაშ, რას ეყრდნობოდა მევენახეობისა და მელვინეობის საერთაშორისო ორგანიზაცია „O.I.V.”, როცა საერთაშორისო კონგრესის ჩატარების ადგილად საქართველოს ირჩევდა? კონგრესის ჩატარება თბილისში 2010 წლის ივნისშია გადაწყვეტილი. ეს გადაწყვეტილება მაშინ იქნა მიღებული, როცა საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს საკუთარი სახლიდან აძევებდენ და ეზო-კარს ართმევდნენ, პირებდნენ ვაზისა და ღვინის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმის გაუქმებას.

ჩვენი სათქმელი უფრო დამაჯერებელი და ნათელსაჩენი გახდება, თუკი გავისხენებთ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ თბილისში ჩატარებულ ვაზისა და ღვინის **X** საერთაშორისო კონგრესს, მის შედეგებს და ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას საპირზონედ წავუყენებთ.

მევენახეობისა და მელვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის – „O.I.V.” გადაწყვეტილებით 1962 წელს **X** მსოფლიო კონგრესის ჩატარების ადგილად შერჩეულ იქნა თბილისი. მსოფლიოს მევენახეთა და მელვინეთა ამ დიდ ფორუმს კარგად მომზადებული შეხვდა საქართველოს იმუამინდელი ხელისუფლება, ვინაიდნ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართული მევენახეობა-მელვინეობის უძველესი და მაღალი კულტურის ღირსეულად წარმოჩენის აუცილებლობა. საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიაზე, ვაშლაჯვარში, აგებულ იქნა ღვინის ექსპერიმენტული მარანი კოლექციითურთ და ვაზისა და ღვინის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმი; ქართული ეთნოგრა-

ფიული ყოფის ამსახველი კუთხები. მუზეუმში იყო 5 დარბაზი. პირველ ორ დარბაზში წარმოდგენილი იყო ისტორიული ნაწილი, ხოლო 3 დარბაზში მეზოლეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში მეცნიერული მიღწევები, თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების ამსახველი მსარებლი.

უდავოა ის, რომ მართებული იყო საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, ინსტიტუტი, ლვინის მარანი და ვაზისა და ლვინის მუზეუმი ერთ მთლიან კომპლექსად წარმოდგინათ, ამდენად, ინსტიტუტში მოსული სტუმრები შეძლებდნენ გასცნობოდნენ ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიას და დაეჭიშნივებინათ ქართული ლვინო.

1962 წლის 13 სექტემბერს საქართველოს მთავრობის სასახლეზე ქართულ და უცხო ენებზე გაკრულმა ტრანსპარანტებმა ამცნეს ქვეყანას კონგრესის დაწყება. კონფერენციის გახსნისას მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა პარონმა პიერ ლერუამ ხაზი გაუსვა იმ მოსაზრებებს, რომელთაც განაპირობეს X საერთაშორისო კონგრესის ჩატარება საქართველოში. მან აღნიშნა, რომ ქვეყანა რომელმაც შემოინახა მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციები, ლირსია დიდი პატივისცემისა.

ერთობ მრავლისმეტყველია ბარონ პიერ ლერუას ეს სიტყვები. მაშასადამე, პატივისცემისა და დაფასების ლირსი მაშინ ხარ, როცა თავად სცემ პატივს საკუთარ ტრადიციებს, ინახავ მას და უფრთხოლდები. დღეს, როცა ჩვენ აგრე დაუდევრად ვექცევით ჩვენს ძირძველ ტრადიციებს, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების საკითხი თვითდინებაზე მიგვიშვია არამც და არამც არ ვიქნებით პატივისცემის და ყურადღების ლირი დანარჩენი მსოფლიოსათვის.

როგორ გაუმართლა მოლოდინი საქართველომ **X** კონგრესის ორგანიზატორებსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ ცნობილ მევენახეებსა და მეღვინეებს, რამდენად ადექვატური იყო ქართული სინამდვილე ბარონ ლერუასეული შეფასებისა?

კონგრესის საკონფერენციო მუშაობის დამთავრების შემდეგ სტუმრები ეწვივნენ საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სადაც გაეცნენ მევენახეობის აგროტექნიკისა და სელექციის განყოფილებების მუშაობას, ლვინის დამზადება-დავარგების პროცესში ქართველი მეცნიერების მიერ აღმოჩენილ სიახლეებს, ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ გამოჩენილმა იტალიელმა პროფესორმა ბატონმა დოლმასომ დიდი აღფროვანება გამოხატა და მას უმაღლესი კლასის ინსტიტუტი უწოდა. საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მაღალი საერთაშორისო პრესტიული იმითაც იყო განპირობებული, რომ მას ჰქონდა ექსპერიმენტული ბაზების ფართო ქსელი, რაც

განაპირობებდა ლრმა კვლევების წარმართვას მეხილეობისა და მეცნიაზეობის აგროტექნიკისა და სელექციის, ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის მცენარეთა დაცვის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, მედიცინურის დარგებში. კონგრესის მონაცილეებმა იმოგზაურეს კაზეთში, დათვალიურების ჩვენი ბალ-ვენახები და ღვინის ქარხნები, ყველა მონაცილე პონტიაკული მეცნიახეობის მაღალ კულტურას. ღვინის დაყენება-დაცარგებას სრულყოფით ტექნოლოგიას და ჩვენი ღვინოების მაღალ ღირსებას. საერთაშორისო მეცნიახეობისა და მეღვინეობის ბიუროს ვიცე პრეზიდენტმა ბატონმა პიერ ფარიდამ განაცხადა, რომ „ჩვენ ვნახეთ ბევრი რამ ჩვენთვის მისაბაძი. ქართველ მეღვინეებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი მიღწევებით.“ სტუმრებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს ქართული სუფრის ნითელი სამარკო და ორდინარული ღვინოების მაღალი ღირსებები, სპეციალისტებმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცეს კახური მწვანისაგან დაყენებულ სუფრის ნაზ ღვინოებს და განაცხადეს, რომ მათ ვერ წარმოედგინათ თუ ადგილობრივი ჯიშის ყურძნისაგან შეიძლებოდა დამზადებულიყო საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასეთი მაღალი კლასის ღვინოები.

უცხოელმა მეცნიერებმა ვერ დამალეს თავიანთი აღფრთოვანება ჩვენი კონიაკის წარმოების დათვალიერება-დეგუსტაციის შემდეგ.

კონგრესის დამაგვივრგვნებელი აკორდი იყო თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში მოწყობილი ცქრიალა სუფრის ღვინოების დეგუსტაცია. ჯერ თვით ქარხანამ მოახდინა სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება და ჩვენი ღვინოების იმ მრავალფეროვნებამ, რომლითაც ამაყოს ჩვენი ქვეყნის მეღვინეობა.

ბარონმა პიერ ლერუამ შეაჯამა კონგრესის მუშაობა და ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას უსურვა მაღლა ეჭიროთ და ამრავლონ ჩვენი უძველესი დარგების მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციები.

თბილისის X მსოფლიო კონგრესს სათანადო გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოს მევენახე-მეღვინეთა წრეებში, მაღალი რეპუტაციის დადასტურაბად უნდა მივიჩნიოთ სამიოდე წლის შემდეგ, 1965 წელს ღვინისა და კონიაკის საერთაშორისო კონკურსის გამართვა თბილისში.

აი, რა შთაბეჭდილებებით მოდის დღეს მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში. 48 წელი აცილებს 2010 წლის თბილისის კონგრესს 1962 წლის X კონგრესისაგან. როგორ გაამართლა საქართველომ ბარონ პიერ ლერუას კეთილი სურვილები? დავიცავით და გავიმართლეთ ჩვენი უძველესი ტრადიციები უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე? სამწუხაროდ, ჩვენ პასუხიც არ მოგვეძებნება ამ ერთგვარად რიტორიკულად ქცეულ კითხვაზე!

მევენახეთა და მეღვინეთა X მსოფლიო კონგრესის ჩატარებიდან 48 წლის გასვლის შემდეგ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ გადაწყვიტა მორიგი მსოფლიო კონგრესის ჩატარება კულავ თბილისში 2010 წლის ივნისში. დღეს საქართველო აღიარებულია კულტურული მუსიკულ-ობა-მეღვინეობის აკვნად, ამდენად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არჩევანის კულავ თბილისში გაკეთება მეტად პრესტიული მოვლენაა ჩვენთა ქვეყნისათვის. მსოფლიო კონგრესის ჩატარებამდე წელინადზე ოდნავ მეტი დარჩა. როგორ ემზადება საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა, არის კი მზაობა კონგრესის ღირსეულად, სათანადო დონეზე ჩასატარებლად? ადექვატურია თუ არა დღევანდელი ხელისუფლების ქმედებები XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისის ხელისუფლების ქმედებებისა? არამცუ ადექვატური, არამედ კარდინალურად საპირისიორო! თუკი კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაარსა ვაზისა და ღვინის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმი, გააძლიერა ინსტიტუტის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზები, დღევანდელმა ხელისუფლებამ ჩამოართვა ინსტიტუტს უძრავი ქონება, გააუქმა მუზეუმი, ჩამოართვა და გაყიდა ვაშლაჯვრის ექსპერიმენტული ბაზა, ვაზის ქართული გენოფონდის ამსახველი კოლექცია, გაიყიდა თელავის საცდელი სადგური, ეს უძველესი დაწესებულება. ამ ბაზების განადგურება ინსტიტუტისათვის სასიცოცხლო არტერიების გადაჭრის ტოლფასია. დაწყებულია მეცნიერების დევალვირების პროცესი მეცნიერების დამცრობა და დაკინება ლამის სახელმწიფო პოლიტიკად იქცეს.

მკითხველს შესაძლოა ჩამუქებულ ფერებში მოეჩვენოს ყოველივე ზემოთქმული და ერთგვარად შემოგვწყრეს კიდეც, მაგრამ დაგვერნმუნეთ, რომ რეალური მდგომარეობა უფრო მეტად სავალალოა, ვიდრე ზემოთ მოტანილი ჩამონათვალიდან შეიძლება დანახახოს მკითხველმა. მკითხველს, შესაძლოა ამგვარი კითხვაც გაუჩნდეს: ეგბის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი მუზეუმის შენობის ნაღება სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო განპირობებული? ამგვარი კითხვის დაშსმელს უყოფელი ვუპასუხებთ: განა არსებობს მეტად მნიშვნელოვანი საბაზი ან მიზეზი რა მოტივაციით უნდა გაამართლოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მუზეუმის გაუქმება და ორსართულანი, მცირე ზომის ნაგებობის მიტაცება რა სახელმწიფოებრივი ინტერესით უნდა იყოს გამოწვეული ამგვარი ქმედება? მუზეუმი ეროვნული საგანძურის შემახველია, მით უფრო, როცა ვაზისა და ღვინის მუზეუმი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის 8000 წლოვანი ისტორიის ამსახველი იყო. სახელმწიფოებრიობისა რა მოგახსენოთ და მუზეუმის იავარებმა და აღგვა პირისაგან მინისა ნამდვილად ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნუ-

ლი ქმედებაა. კარგად უნდა გვახსოვდეს რომ ჩვენ დაგვჭირდება რამდენ-იმე ათეული წელი იმისათვის, რომ აღვადგინოთ ის, რაც დავანგრიეთ ჩვენი უთაურობით თუ სხვათა ნებით.

კიდევ ერთხელ ისმის კითხვა: როგორ ვხვდებით 2010 წლის გაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესს? ეს კითხვა რიტორიკულად ზუ-მოეჩერება ვინმეს, ქართველმა საზოგადოებამ არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რამდენად მზად ვართ კონგრესის ღირსეულად ჩასატარებლად? მზადაა ჩვენი ხელისუფლება კონგრესის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის? ვფიქრობთ, რომ არა! რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? კერძოდ ის, რომ ხელისუფლებამ მხოლოდ დაანგრია და არაფერი აუშენებია. ისტორიისადმი, მეცნიერებისადმი უდიერი დამოკიდებულებით ანმყო მოსწყვიტა წარსულს და ამით დღევანდელობა უშინაარსო და უსახო რეალობად აქცია. ამგვარ რეალობას კი აღმშენებლობა და განვითარება არ მოსდევს, მომავლის პორიზონტი კი სქელი ბურუსითაა მოცული.

ვგრძნობთ მეითხველთა ინტერესს და ჩვენც ვსვამთ კითხვას: მაინც რაში გამოიყენა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყოფილი ისტორიულ-ეთნო-გრაფიული და სამეცნიერო მუზეუმის მიტაცებული შენობა? არაფერში, დღეს ყოფილი მუზეუმის შენობა მაგიდების, კარადებისა და სკამების საწყობადაა გამოყენებული, უფრო მძაფრად თუ ვიტყვით, აქ შეყრილია ყველაფერი, რაც კი ამ მომენტისთვის არ ესაჭიროებათ. გაგიკვირდათ? ეს გასაკვირი კი არა, აღმაშფოთებელია, ყოვლად დაუშვებელია!

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კეთილის ნების შემთხვევაში შეუძლია დააყენოს საკითხი მუზეუმის შენობის კვლავ ინსტიტუტის გამგებლობაში გადაცემის თაობაზე და ყოველი ღონე იხმაროს, როგორც სამართლებრივ-ორგანიზაციული, ისე ფინანსური, ვაზისა და ღვინის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმის აღსაღენად. საამისო მზაობა თუ იქნა სამინისტროს მხრიდან, საკითხი უმოკლეს დროში მოგვარდება და ეს იქნება 2010 წლის მსოფლიო კონგრესისათვის რეალური მზადებისაკენ გადადგმული პირველი და სერიოზული ნაბიჯი.

აღვადგინოთ ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმი! ჩამოვირცხოთ დიდი სირცხვილი წარსულისა და მომავლის ნინაშე!

გამოქვეყნებულია გაზეთ „ბანკები და ფინანსებში“
2009 წლის 7-13 აპრილი, №12 (188)

„ვითარდა შიგო ვაზისა“*



ატონი ლევან ფრუიძე ერთი წარჩინებული წარმომადგენერატორის ქრისტიან ელ მამულიშვილთა მიმდევრობრივი ცხოვანი და სისახ, რომელსაც ჟერმარიტად შესტკივა გული ქართული ვაზისა და ღვიანისა უაღრესად შეჭრვა ეტულ მდგომარეობაზე და თავისი მართალი სიტყვით გამუდმებით იღწვის ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის ღრმა ჩიხიდან გამოსაყვანად, მაგრამ ხომ გსმენიათ, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

ჩვენი ყოფიერება-ცნობიერების მნიშვნელოვნად განმაპირობებელი სფერო- მევენახეობა-მეღვინეობა ზოგადეროვნული კრიზისის უპირველეს გამომხატველ სიმპტომად შეიძლება მივიჩნიოთ.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი 12-13 წელიწადი დიდი ღამეა ქართული მევენახეობა-მეღვინეობისათვის. ესეც ხომ თქმულა ჩვენში, ქურდას რა უნდა და პნელი ღამეო. ჰოდა, დადგა დრო ბელზებელთა აყვავებისა, ხანა ყალბისმქმნელთა, ავისმქმნელთა, ავისმთქმელთა, ავაზაკოა და დამაკუცვართა. მკითხველს შეიძლება მკაცრად მოეჩვენოს ტონი ამგვარი მსჯელობისა, მაგრამ საქმეში მცირედ ჩახედული კაციც ეკ დაგვერწმუნება, რომ ვითარება უფრო მძიმე და საგალალოა, საქმე ეხება არა იმდენად დღევანდელ სიტუაციას, არამედ ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის ხვალინდელ დღეს, პერსპექტივას, ანუ ჩვენი ყოფიერება-ცნობიერების მომავალს, რამეთუ ვენახი და ღვინო თავისი ღრმა სიმბოლიკითა და შსოფლგაგებით განსაზღვრავდა ჩვენი აზროვნებისა და ცხოვრების წესს, ანუ დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „კარგად ზედმოქმედებდა აქაური გლეხეკაციობის სულისა და ხორცის მოძრაობაზე“.

რა გველის ხვალ, თუკი ასე გაგრძელდა? პასუხი ალბათ ძალიან მოკლე და მკაცრი იქნება — კატასტროფა!

რა უნდა ვიღონოთ?

არსებობს ორგვარი მიდგომა მევენახეობა-მეღვინეობის დარგისადმი: სახელმწიფო ორგანიზაციის და საზოგადოებრივი. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის მიდგომა ნულის ტოლია, თუ უფრო ქვემოთ არ გადახრილა. ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივს, ის სუსტია. იმდენად სუსტი, რომ ცალკეულმა პიროვნებებმა რაოდენ მოახიანად არ უნდა შესძახონ — „გამოფხიზლდით, ვიღუპებითო“, საზოგადოების შუბლზე ოდნავადაც არ შეტკიცდება გაუხეშებული ძარღვი.

ჩვენ სახელმწიფო ორგანიზაციის მიდგომის არარსებობას შევეხეთ. მკითხველმა

* გამოხმაურება ლევან ფრუიძის წერილზე „ვაზი და ღვინო საქართველოში“

რომ უფრო ნათლად გაიაზროს სათქმელი, ზემოაღნიშნულის დასტურად ორ სახელმწიფოებრივ დოკუმენტს დაგისახელებთ: „საქართველოს აგრარული კონცეფცია“ და „საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“.

„საქართველოს აგრარული კონცეფციის“ შედგენა და ფინანსურის უსწრებდა კანონს „ვაზისა და ღვინის შესახებ“.

სამწუხაროდ, და ჩვენდა სავალალოდ, „კონცეფცია“ მეცნიერება-მეცნიერებას არ განიხილავს როგორც პრიორიტეტულ დარგს საქართველოს ეკონომიკისას, არამედ იგი მიჩნეულია პერსპექტიული განვითარების შედეგად მისაღწევ პრიორიტეტად. მკითხველი ალბათ გაოცდება და აღმფოთდება ამ ალოგიკური ფორმულირების გამო, მაგრამ პატივცემულო მკითხველო, მარტოდენ ქაღალდზე დატანილი ფორმულირება არ გეგონოს, იგი თურმე სახელმწიფოებრივი პილიტიკის დონემდე აცვანილი ნონსენსია! კონცეფციას თან ერთვის საქართველოს ან უკვე ყოფილი პრეზიდენტის — ე.შევარდნაძის ავტოგრაფიანი შესავალი, რის ძალითაც „კონცეფცია“ ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტია. და ეს ხდება საქართველოში, ვაზისა და ღვინის საქვეყნოდ აღიარებულ სამშობლოში.

საქართველოს პარლამენტმა 1998 წელს დაამტკიცა „კანონპროექტი ვაზისა და ღვინის შესახებ“, სადაც პრეზიდენტის პირველივე აპზაცში აღნიშნული იყო, რომ „მეცნიერება-მედიცინება ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგია. მაგრამ მოხდა ყოვლად შეუწყნარებელი რამ: ე.შევარდნაძის ხელმოწერილი და გამოკვეყნებულ კანონში ნინადადება პრიორიტეტულობის შესახებ ფარულად ამოიღეს. საბედნიეროდ, იმჟამინდელმა ოპოზიციურმა პრეზამ და ტელევიზიამ მხარი დაუჭირა მეცნიერთა პრაქტიკოს სპეციალისტთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლთა კატეგორიულ მოთხოვნას. პრიორიტეტულობის აღდგენის თაობაზე, და სექტემბრის სხდომაზე აღდგა წინადადება მეცნიერება-მედიცინების პრიორიტეტულობის შესახებ, მაგრამ შინაარსი და მიმართულება დარჩა იდენტური „აგრარული კონცეფციისა“ მეცნიერება-მედიცინების პრიორიტეტულობა საქართველოში მომავლის პერსპექტივია და არა სადღეისო რეალობა!!! მოკლედ რომ ვთქვათ, კანონი პარმონიაში იქნა მოყვანილი საქართველოს აგრარულ კონცეფციასთან. ამგვარი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული პოზიციის დაფიქსირების უმაღლია წერილით მივმართეთ ე.შევარდანძეს, რათა დაუყოვნებლივ გასწორებულიყო დაშვებული შეცდომა თუ მზაკვრულად შეფარული ქმედება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოთხოვნა დარჩა „ხმად მღალადებლისა“. შემდგომ წლებში არც „FAO“-ს პროგრამით მომუშავე კანონის ცვლილებებისა და დამატებების შემმუშავებელმა ჯგუფმა არ გაითვალისწინა კატეგორიული და სამართლია-

ნი მოთხოვნა პარლამენტის მიერ 1998 წლის გაზაფხულზე დამტკიციბული კანონის ტექსტის აღდგენის თაობაზე, მევენახეობა-მეღვინეობის როგორც პრიორიტეტული დარგის დადასტურების შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის გაცნობიერებას მრავალრი ერთად დერთული კურ დასკვნამდე — დღესდღეობით მევენახეობა-მეღვინეობა საქაოთველოში არ არის ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დროი, ამდენად, ამ დარგებისადმი სახელმწიფო ბრივი მიდგომაც არ არსებობს. ეს ყოველწლიურად თვალნათლივ დასტურდება რთველის სეზონზე მევენახეთა ინტერესების უგულვებელყოფით, რაც ჩანასახშივე ახშობს მევენახეობის აღდგენისა და განვითარების ყოველგვარ სურვილს ისედაც უმნეოდ დარჩენილ მევენახებმი. ამ სავალალო რეალობის შედეგად ქართული მევენახეობა-მეღვინეობა ღრმა შეკვეთი იმყოფება.

რაც შეეხება საზოგადოებრივ პოზიციასა და ცნობიერებას, ის, როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, ჯეროვნად მინელებულია.

ბატონ ლევან ფრუიძის ნერილი კიდევ ერთი მძაფრი შეძახილია როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების ეითორული მდგომარეობიდან თუ საღა-თას ძილისაგან გამოსაყვანად, მაგრამ ნათქვამია: „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“.

ქართველი საზოგადოების ინდიფერენტიზმი მევენახეობა-მეღვინეობისა, და ზოგადად, საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემატიკი-სადმი ცხადზე ცხადია, არადა, ქართველი საზოგადოების არსებით ნანილს ხომ ქართველი მეცნიერები, ინტელიგენცია შეადგენს. რა იწვევს ესოდენ აუტანელ დუმილს ქართველი საზოგადოების მონინავე ნანილისა? ბატონი ლ. ფრუიძის საყვედურები ქართველ მეცნიერთა მიმართ ერთი შეხედვით გა-საგებია, მაგრამ ეს გასაგებია მარტოოდენ საზოგადოების არაინფორმირებულობის ზღვრამდე იმ მეტად საჭირო მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობის შესახებ, რასაც ქართველი მევენახე-მეღვინე მეცნიერები ეწვეიან ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ფეხზე დასაყენებლად და გადასარჩენად. უკანასკნელი 15-16 წლის მანძილზე მეცნიერთა მიმართ გამოთქმული საყვედუ-რები მისაღებია იმდენად, რამდენადაც მათი საინტერესო მუშაობის შედეგები საზოგადოების ოვალყურადღე ვერ წვდება. ამ შემთხვევაში მიზეზი ორია: სახელმწიფოებრივი უყურადღებობა მეცნიერებისადმი, მეცნიერული საქმია-ნობისადმი და ინდიფერენტიზმში გარდამავალი გულგატებილობა მეცნიერთა. მეცნიერულ კვლევებს, მეცნიერთა საქმიანობას სჭირდება გახმოვანება, საზოგადოებისათვის ნათელჩენა და რასაკვირველია, გვერდში დგომა ხელი-სუფლებისა და საზოგადოების მხრიდან.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა „საქართველოს ვაზისა ჲა ლუის უოტსქესის შესაქმნელად. ინსტიტუტში მოწვეულ იყვნენ მეცნიერები და პრაქტიკონი სპეციალისტები სხვადასხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან იურისტის მონაბილეობით. ეს ხანგრძლივი პროცესი დასრულდა 1998 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ კანონის დამტკიცებით.

სამწუხაროდ, სამეცნიერო სფეროს ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს ისე მოაჩვენოს საზოგადოებას საქმის მდგომარეობა, რომ თითქოს კანონი არ შემუშავებულა მეცნიერთა მონაბილეობით. პასუხაუცემლობა ამგვარ უპასუხისმგებლო განცხადებებზე იწვევს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ერთგვარი წეგატიური დამოკიდებულების დანერგვას საზოგადოების ცნობიერებაში. მეცნიერისაგან ამგვარი სუბიექტივიზმის და ამბიციების გამოჩენა ყოვლად მიუღებელია.

სამწუხაროდ, ჩვენში კარგა ხანია, უგულვებელჲოვეს ის ჭეშმარიტი გაგება, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს.“ პროფესიონალიზმისა და პროფესიონალთა უგულვებელყოფა გახდა ნიშანი ჩვენებული ცხოვრების ასპარეზისა. მევენახე-მეღვინეთა გამოცდილებას არად დაგიდევენ, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ათეული წლებით დაგროვებულ ცოდნა-გამოცდილება ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. სამწუხაროდ, ზოგიერთმა ფერმერმა მწარედ იწვნია ამგვარი უგულვებელყოფის ფასი საკუთარ ჯიბეზე. ეს ეხება როგორც სავენახე ადგილებისა და ვაზის ჯიშების შერჩევის, ისე ვაზის აგროტექნიკოსთა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიას, მიღებული პროდუქციის ხარისხს.

როცა 2004 წლის სეზონზე უმწვავესი კრიზისით ჩატარდა რთველი, როცა საზეიმო და სადღესასწაულო არაფერი ჰქონდა ჩვენს უაღრესად შეჭირვებულ მევენახებს, კახეთში, მირზაანში ტარდება ვაზის დღესასწაული, რაზედაც იხარჯება სოლიდური სახელმწიფო სახსრები. ამ ღონისძიებას ატარებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, მეცნიერ-მევენახე-მეღვინეთა და პრაქტიკოს სპეციალისტთა გვერდის ავლით. ვის სტირდება ამგვარი პომპეზურობა, რა იყო მიზანი სახელმწიფო ფულის უმიზნო ხარჯვისა, რას მოველიდით და რა მივიღეთ ყოველივე ამისაგან? საზოგადოებაში ბუნებრივად გაჩნდება კითხვა: სად არიან მეცნიერ-სპეციალისტები, რატომ არავინ იღებს ხმას ამ უსამანო თავნებობაზე აინტერესებს პი ვინმეს მეცნიერის აზრი, მისი ავტორიტეტული სიტყვა?

საზოგადოებრივი ინდიცერენტიზმი აგრარული მეცნიერების, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემატიკის მიმართ ერთი მხრივ გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ქართული მედია არასათანადოდ აშუქებს ამ დარგების სატკივარს, ამ მოვლენის ახსნა უნდა ვეძებოთ ალბათ ისევ თახედომიულებრივი და საზოგადოებრივი მიდგომების სისუსტეში ისე, რომ ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა ნაშრომ-ნაღვანი საზოგადოებისათვის დაუნახვა.

ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა — მევენახეთა და მეღვინეთა წვლილზე მევენახეობა-მეღვინეობის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბება-სრულყოფაში ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და აქ აღარ შევჩერდებით. ამჯერად შევეხებით იმ დადებით ძრებს, რომლებიც დაიწყო და წარმატებით ვითარდება 2000 წლიდან დღემდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ხორციელდება რეფორმა მსოფლიო ბანკის პროგრამის მიხედვით — მევენახეობისა და მეზოლეობის აღდგენა-განვითარების მიმართულებით, რაშიც ინსტიტუტთან ერთად მონაბილეობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრები. ეს შეეხო როგორც ორგანიზაციულ-სტრუქტურულ, ისე სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლების თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებით ჩამოყალიბებას.

პირველი რიგის ამოცანად დაისახა და ხორციელდება ქართული ვაზისა და ხეხილის გენოფონდის აღდგენა, ლვინის დაყენების, ტრადიციული ტექნილოგიების აღდგენა-სრულყოფა, ლვინის ახალი მარკების შექმნა. ქართული ვაზის ველური და კულტურული ვაზის ფორმათა გამოვლენა ექსპედიციური მუშაობის საფუძვლებზე.

მსოფლიო ბანკის პროგრამით გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება თელავის საცდელ სადგურში 1980-იან წლებში გაშენებული ვაზის აბორიგენული ჯიშების კოლექციაში. საქართველოს საცდელ სადგურში შენდება ვაზის ახალი კოლექცია, საგარეჯოს რაიონის ს. ჩალაუბანში გაშენებულია სადედე-სარეპროდუქციო ნაკვეთი.

მცენარის გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ინსტიტუტის (IPGRI) მხარდაჭერითა და თანადგომით ინსტიტუტში ხორციელდება 3-წლიანი საერთაშორისო პროგრამა — „კავკასიისა და შავი ზღვის აუზის რეგიონებში ვაზის გენეტიკური რესურსების კონსერვაცია და მდგრადი განვითარება“. მოლექულური გენეტიკისა და ამპელოგრაფიული ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით იტალიაში შესწავლილია 150 ქართული აბორიგენული ვაზის

ჯიში. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტის (IPGRI) კოორდინატორად კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის არჩეულია ქართველი მეცნიერი – დავით მალრაძე – საქართველოს მებალეობის, მევრიახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. პროექტის მიზანია ვაზის ადგილობრივი გენოფონდის შესწავლა, აღდგენა და შენარჩუნება, შათა შემდგომი გამოყენებით მევრიახეობის განვითარებას საქმეში.

საერთაშორისო ინსტიტუტის ფინანსური დახმარებით ინსტიტუტის ვაშლაჯვრის ექსპერიმენტულ პაზაზე გაშენდა აბორიგენული ვაზის ჯიშების კოლექცია 293 ვაზის ჯიშითა და ფორმით. მიმდინარეობს ვაშლაჯვრის კოლექციის შესვება.

საქართველო ფლობს კულტურული ვაზის ჯიშების და ველური ფორმების უმდიდრეს ფონდს. მათი ამპელოგრაფიულ და გენეტიკურ შესწავლას აქვს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ მიმართულებით ინსტიტუტი ღრმა და ინტენსიურ მეცნიერულ საქამიანობას ეწევა.

საქართველოს მებალეობის, მევრიახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერთა უშუალო ხელმძღვანელობით აღდგენილია თანამედროვე ტიპის სანერგე მეურნეობა ყვარელში. სადაც შესაძლებელია 700-800 ათასი ცალი ნამყენი ნერგის ნარმოება. საზღვარგარეთიდან შემოტანილი სერთიფიცირებული სარგავი მასალით გაშენებულია ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადედე 4 ჰა-ზე.

გაშენებული ვაზის სტანდარტული და უნიკალური ჯიშები კლონების (საფერავი, მწვანე კახური, ქისი, ხიხვი, მცვივანი კახური და სხვა) სანამყენეთა სადედები. აღდგენილია გადაშენების პირას მისული რამდენიმე ვაზის ჯიში (უსახელოური, ჩხავერი და სხვა).

ვაზის ჯიშების სანამყენეთა სადედები გაშენებულია ლეჩხუმში (ცაგერი, ოყურეში), გურიაში (საჭამიასერი, ჩოხატაური).

მრავალ ფერმერულ მეურნეობაში დანერგილია ვაზის ნამყენი ნერგის დაჩქარებული წესით გამოყვანის თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიები (კახეთი, იმერეთი, ქართლი, გურია).

საქართველოს მებალეობის, მევრიახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტმა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო მუშაობა ადგილწარმოშობის გეოგრაფიული დასახელების კონტროლდაქვემდებარებული ღვინოების, ნარმოების სამართლებრივი და მეცნიერული საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის. ამჟამად კი ამ მიმართულებით გაფორმდა ხელშეკრულება მევრიახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტი – „სამტრესტთან“. მუშაობა გრძელდება მარალხარისხოვანი და უნიკალური სუფრის ღვინოების

მომცემი მიკროზონების შესასწავლად თანამედროვე მოთხოვნების ფონებზე, მათი პერსპექტიული არეალის გაფართოებისა და ახალი მიკროზონების გა- მოსავლენად. ამის საშუალებას ჩვენი ბუნებრივი პოტენციალი და ვაზის მდ- იდარი გენოფონდი იძლევა და ყოველივე ამას გონივრული გამოყენება უნდა.

ეს გახლავთ ერთობ ძუნნი და მცირე ექსკურსი ქართულ მუციკერთი დაუღალავი, თითქმის დაუფინანსებელი, ენთუზიაზმით ჩატარებული სამე- ცნიერო საქმიანობის უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე.

სამნუხაროდ, პრესისა თუ ელექტრონული მედიის საშუალებით საზო- გადოებას მიენოდება არასწორი ინტერპრეტაცია ამა თუ იმ სახელმწიფოე- ბრივი მნიშვნელობის დოკუმენტებში მოტანილი ფრიად სერიოზული მიდგო- მებისა. ასე, მაგალითად, ტელეკომპანია – „კავკასიის“ ეთერით გამოსული „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ასოციაციის პრეზიდენტი აცხა- დებს, რომ თურმე საქართველოს კანონში ვაზისა და ღვინის შესახებ“ მევენა- ხეობა-მელვინეობა მიჩნეულია ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად. ღმერთმა ქანას, ბატონებო, რომ მართლაც ასე იყოს. მომიტევოს ასოციაციის პრეზიდენტმა, მაგრამ მას გამორჩა ის იურიდიული ნიუანსური დატვირთვა, რომელიც მზაკვრული შეფარვითაა ჩადებული ფორმულირებაში დარგის დღევანდელი პრიორიტეტულობის შესახებ. კანონში ჩადებული ნორმა კი გუ- ლისხმობს მევენახეობა-მელვინეობის პრიორიტეტულობას პერსპექტივაში. ამგვარ მცდარ ინტერპრეტაციას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, თვით დარგის სპეციალისტებიც კი, რამეთუ ჩვენში ერთობ დაბალია იურიდიულ- სამართლებრივი ცოდნის დონე და არაიურისატმა შესაძლოა, ვერ აღიქვას ყვე- ლა ცალკეულ შემთხვევაში იურიდიულ ნორმათა უმცირესი ნიუანსები.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფალსიფიკაციის წინა- აღმდეგ ბრძოლა ერთიანი პრობლემატიკიდან ამოგლეჯილად, განკერძოე- ბულად არ უნდა განვიხილოთ. ამ მავნე მოვლენის აღმოფხვრა იქნება თანამ- დევი შედეგი სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი, მევენახეობა-მელვინეობის სახელმწიფო პრიორიტეტად აღიარებისა და მართებული პოლიტიკის ჩამოყ- ალიბებისა, რასაც თან მოჰყვება კანონის ამოქმედება, დეკლარირების საყო- ველთაოდ მიღებული წესის დანერგვა-განხორციელება როგორც ნერგის, ისე ყურძნისა და ღვინის მნარმობელთათვის.

ბატონი ლევან ფრუიძე თავის წერილში შეეხო ვაზისა და ღვინის მუ- ზეუმის შექმნის საჭიროებას. სხვათა შორის, მსჯელობა ამ თემის ირგვლივ რამდენიმე წელია არსებობს. მაგრამ არავის ახსენდება, რომ ამგვარი მუ- ზეუმი კარგა ხანია ფუნქციონირებს საქართველოს მებალეობის, მევენახე- ობისა და მელვინეობის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ვაშლაჯვარში. გვაქვს კი

დღეს ამგვარი ფუფუნების საშუალება, რომ დედაქალაქში ვაზისა და ლანის ორი მუზეუმი გვქონდეს, ანკი მისაღებია საზოგადოდ ამგვარი რამ? თუკი ამ გაჭირვებული ქვეყნის ბიუჯეტიდან ახალი მუზეუმის ასაშენებლად უნდა გამოიყოს სახსრები, ხომ არ აჯობებდა, დაგვეხარჯა სახსრები არსებული მუზეუმის გასაახლებლად და ქცეულიყო ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალად, რომლის ფუნქციონირება ინსტიტუტის ტერიტორიაზე მიზანშენონილი იქნებოდა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქვე არსებობს ლვინის ექსპერიმენტული მარანი, ყურძნის მიმღები გადამამუშავებელი და ლვინის დასადუღებელი განყოფილებებით, ქვევრებითა და ენოთეკით, სადეგუსტაციო დარბაზით, სადაც შეიძლება დვინის დაჭაშნივება. ყოველივე ეს წარმოადგენს დამთვალიერებლებისათვის მეტად მიმზიდველ ერთიან კომპლექსს – მუზეუმთან ერთად.

იცვლებიან დრონი, ხელისუფალნი, მაგრამ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება არ ხდება, არადა, სახელმწიფო-ბრივი მიდგომის აღიარება სოფლის მეურნეობისადმი იქნებოდა მძლავრი დასაწყისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩიხიდან გამოსაყვანად. XIX საუკუნის სამოციანელთა მაგალითი ჩვენი ინტელიგენციისათვის მისაბაძი უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. როგორ მოიქცეოდნენ დღეს ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვა ქართველი მოღვაწენი ისევე, როგორც მოიქცნენ საუკუნეების წინ. პუბლიცისტის კალამს მოიმარჯვებდნენ და გვერდში დაუდგებოდნენ ჩვენს უაღრესად შექირვებულ სოფელს ურიცხვი პრობლემებით.

სამწუხაროდ, აწინდელმა ქართველმა ინტელიგენციამ დაკარგა საზოგადოებრივი ცნობიერების იმპულსი და ცხოვრებისეული თუ შემოქმედისეული ინტერესების ვიწრო ჩარჩოებში ჩაიკეტა. ამგვარი მიდგომის შედეგი დაღად აზის ჩვენს საზოგადო ყოფას.

ათეულ წელზე მეტია (აღარაფერს ვამბობთ კომუნისტური რეჟიმის პერიოდზე) ქართველ ეკონომისტებს არ შეუქმნიათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ტრადიციული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღდგენა – განვითარების რეალური კონცეფცია და პროგრამა. რას მივაწეროთ ეს სავალალო მდგომარეობა.

ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა უნდა გადაიხედოს და სამართლებრივ-პროფესიული შეფასება, მიეცეს საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, და აღდგეს მევენახეობა-მეღვინეობის პრიორიტეტულობის ამ-სახველი ფორმულირება 1998 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონის ტექსტის მიხედვით.

ალბათ მავანი და მავანი იკითხავს: განა სახელმწიფო ობრიც მიღვომას არ გამოხატავს ის ფაქტი, რომ მევენახეობა-მეღვინეობით სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტი აფინანსებს და მონაწილეობს პროგრამის – ადგილ-ნარმოშობის გეოგრაფიული დასახელების კონტროლზე მდებარებოლა ღვინოების სამართლებრივი, მეცნიერული და სამუშაოს-საფუძვლების შექმნაში? კეთილი, მაგრამ რა ვუყოფ ცხად რეალობას – რო სახელმწიფო ორგანიზაციის დოკუმენტს კონცეფციასა და კანონს, რომლებიც დღესაც სამოქმედო და სახელმძღვანელო დოკუმენტებად ითვლება.

ჩვენს ცნობიერებაში ღრმადა გამჯდარი ის ჭეშმარიტი აზრი, რომ მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი არსებობის მამოძრავებელი დარგებია. ამდენად გვიჩირს შეგუება იმ აზრთან, რომ მევენახეობა-მეღვინეობა შეიძლება არ იყოს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი. მაგრამ სამწუხაროდ რეალობა ხომ თავისთავად ნომსენსია! ჩვენი სურვილი და განწყობა ამ შემთხვევაში რეალობას დასცილდა. დროა, თუ დაგვიანებული არა, გავიაზროთ რეალური სიტუაცია, თუ არადა ხვალ ალბათ, ძალზედ გვიან იქნება თითზე კენანი.

ერთი არსებითი თვისება აქვს ვაზსა: ჭიგოს თუ არ შეუყენებ, წელში გამართვა უჭირს. კნინდება. ჭიგოშედგმული ვაზი კი გალალდება, ტანს აიყრის და მზისკენ ისნრაფის წელგამართული, თავადაც ლალობს და კაცსაც სიხარულითა და ბარაქით ავსებს. ჰოდა კაციც ვაზისთვის ჭიგოა, მის გვერდში მდგომი და წელში გამართველი.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ, ვიდრე თითოეული ჩვენგანი, ვიდრე სახელმწიფო ხელისუფლებითურთ ჭიგოებივით მხარში არ შევუდგებით ჩვენს მარჩენალ და მასაზრდოებელ ვაზს, ჩვენი ხსნა და გადარჩენა შეუძლებელი იქნება, ჩვენც და მთელი ქვეყნაც ვაზისებრ დაკნინდება. უვაზოდ დავრჩებით და ბოგანოდ ვიქცევით. აკი გვახსენებს ვახტანგ VI „სამართლის წიგნი“: „... ვენახის მქონე გლეხს ბოგანო არა ქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს“.

ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ „ვენახი ღვთის ცნებათა აღსრულების წიაღია“ (წმინდა იოანე ოქროპირი), სადაც მხოლოდ დიდის კდემით, მართალი გულითა და საქმით უნდა შევდომდეთ.

გამოქვეყნებულია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“
2005 წლის 15 აპრილი

რუსეთის ილიასკენ მიგვახედა ანუ ჩართული მაღვინეობის დიდი ღამე გრძელება

ყველაფერი თრისტონიქერქოვეთ
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის
გალაკტიონი



ავანსა და მავენს შეიძლება გაუკვირდეს წერილის სათაურის ამგვარად ჩამოყალიბება და გვარიანად შეგვრისხოს: რა დროს ბეჭელ ლამეზეა ლაპარაკი, როცა ქართული მეღვინეობა აღმავლობის გზაზეა. არაერთი წარმატებაც აქვსო მოპოვებული. შევეცდებით, ვუჩვენოთ მკითხველს ის მიზეზები, რამაც მოგვცა საფუძველი ამგვარი მკაცრი განაჩენის გამოტანისა.

თავდაპირველად ალბათ უპრიანი იქნება – გავიხსენოთ **XIX** საუკუნის | ნახევრიდან საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის წინააღმდეგ წარმართული პერმანენტული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის ბრძოლები, რამაც **XX** საუკუნეში, განსაკუთრებით კი 50-იანი წლების მიწურულიდან იჩინა თავი უმწვავესი ფორმით.

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტი გ. ლენცი დასახლდა კახეთში რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების დავალებით, მას უნდა გაეშენებინა კახეთში ვაზის ევროპული ჯიშები ადგილობრივი ვაზის ჯიშების სანაცვლოდ, ვინაიდან როგორც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, ისე მცენარეთა კულტურული სახეობები ველურად იყო მიჩნეული. გ. ლენცმა 28 ევროპული ჯიში გამოსცადა და საბოლოოდ, 1846 წელს დაწერა: საქართველოში, კერძოდ, კახეთში აზრი არ ჰქონდა ევროპული ჯიშის შემოტანას და გავრცელებას, ვინაიდან ადგილობრივი ჯიშები: რქანითელი, საფერავი, კახური მწვანე, ხიხვი და მცვივანი უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევა, ვიდრე ევროპული ჯიშებით. ეს იყო ქართული ვაზისა და ქართველი მევენახის პირველი გამარჯვება უთანასწორო ბრძოლაში!

კავკასიის მთავარმართებელმა მიხეილ ვორონცოვმა ყირიმიდან 680 ათასი ევროპული ვაზის ნერგი შემოიტანა საქართველოში და გლეხობაში უფასოდ დაარიგა. მაგრამ ამ მზაკვრული ქმედებითაც საიმპერატორო კარი სანადელს ვერ ეწია. მაგრამ თესლეულის, ნერგებისა და საერთოდ მცენარეთა ინტენსიურ შემოტანას საქართველოში **XIX** საუკუნის | ნახევარში მოჰყვა მავრებელ-დაავადებათა შემოტანა და გავრცელება, რასაც უმძიმესი შედეგი

მოჰყვა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, გურიასა და სამეგრელოში. ამ ფონზე ყირიმიდან შემოიტენეს და გურიაში დაამკვიდრეს ამერიკული ჰიბრიდი – იზაბელა (ადესა), რომელიც შედეგი იყო მავნებელ-დაზადებათა მიმართ. ეს მოვლენა გარკვეული მიზანდასახულობით განხორცილდა და მრავალგზისი მოქმედების ნადმის როლი შეასრულა **XX** საჟურნალის გამავლობაშიც. 50-იანი წლების ბოლოდან დაწყებულმა სოჭლის შეურნეობის კოლონიური სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროცესზეც. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში მზის დაბნელების პროცესი. მონოკულტურად იქცა აღმოსავლეთ საქართველოში რქანითელი, დასავლეთში კი – ცოლიკოური. რამაც გამოიწვია უნიკალური ვაზის ჯიშების – საფერავის, კახური მწვანის, ხიხვის, კახური მცვივანის, ციცქას, კრახუნას და სხვა ჯიშების ფართობების შემცირება. წარმოიშვა სავენახე ფართობების გაზრდის ტენდენცია ძირითადად რქანითელისა და ცოლიკოურის ბაზაზე, რაც ყოვლად დაუსაბუთებელი და მიზანშეუწონელი იყო. მაგრამ ამას მოითხოვდა მეტროპოლიის ინტერესები. ყოველივე ამან გამოიწვია დისბალანსი ქართულ მეღვინეობაში. თანდათან გამოიდევნა წარმოებებიდან მუხის ტარა, რაც აუცილებელი იყო მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების წარმოებისათვის. სანაცვლოდ დაამკიდრეს რკინა-ტეტონისა და რკინის მომინანქრებული ცისტერნები, უარყოფილ იქნა სამარკო ღვინოების დაყენების ტრადიციული, აპროპირებული ტექნოლოგიები, რამაც დაუკარგა ისტორიული სახე ქართულ მეღვინეობას. ტრადიციული ღვინის ქარხნები ნავთობბაზის ტერიტორიას დაემსგავსა, როგორც სამქროები ისე ეზო-კარმიდამო გაივსო ცისტერნებით, რომლებშიც ფალსიფიცირებული შემაგრებული ღვინოები მზადდებოდა მეტროპოლიის ინტერესების დასაქმაყოფილებლად. 80-იანი წლების ბოლოსათვის შემაგრებული ღვინოების დამზადების ხვედრით წილი საქართველოს მეღვინეობაში 75%-ს შეადგენდა. ეს ჩვენი მეღვინეობისათვის კატასტროფის ტოლფასი იყო.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო და 70-იანი წლების ბოლოდან ორგანიზებულად იწყეს შაქრით სავსე ტომრების შეტანა ღვინის ქარხნებში ღამდამობით, დილით კი ქარხანაში მისულ მუშებს შაქარ-წყლით სავსე ცისტერნები ხვდებოდათ! ამგვარმა უკუღმართობამ, თქვენ წარმოიდგინეთ, დღეც კი დააღამა და ასე დაისადგურა ქართულ მეღვინეობაში მრუმე ღამემ!

ბრძოლა ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის წინააღმდეგ არაერთი ფრონტით მიმდინარეობდა. ამჯერად ვენახების აჩეხვის დამლუპველ მოვლენაზე მოგახსენებთ.

როცა მომხდური მტერი ვენახს აგიჩებავს და ამით გიხმობს ეკონომიკური სიძლიერის წყაროს სათავეს, ყველაფერს იღონებ ვენახის ფენიქსის სისტემისადგენად, მაგრამ როცა ხელოვნურად, მზაკვრული ეკონომიკური პერკეტის გამოყენებით იქამდე მიგიყვანენ, რომ საკუთარი ხელით ჩიტებავ ვენახს, ეს უკვე კატასტროფის ტოლფასია. ასე მოხდა **XX** საუკუნის 70-80-იან ნალექში. იყო თუ არა გამოსავალი ამ დამდუპველი ტენდენციიდან? დაინ, ყოველი შესასყიდვი ფასის გაზრდა 50 კაპიკიდან 1 მანეთამდე ვაზის აჩეცვს პროცესს შეაჩერებდა, მაგრამ ეს არ მოხდა, უფრო მეტიც: ამ სტრიქონების ავტორს 1983 წელს საქართველო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში წარდგენილი პრობლემატური, ვრცელი წერილის გაცნობის შემდეგ კატეგორიულად გამოუცხადეს – არაფერი ეთქვა ყურძნის შესასყიდვი ფასის გაზრდის თაობაზე. მაგრამ სამი ათეული წლის შემდეგ, დღეს კვლავ დაიწყო ვაზის გაუფასურების კამპანია. შედეგმაც არ დააყოვნა. კახეთში სევეგამნარებულმა ერთერთმა მევენახემ (ღმერთმა ჰქინას, რომ სხვაგან აღარ განმეორდეს!) აჩეხა საკუთარი ვენახი. დღეს ყურძნის შესასყიდვი ფასის დაწევამ ხელოვნურმა, ნაძალადევმა, ყოვლად გაუმართლებელმა გადაწყვეტილებამ (თუ დროულად არ შეჩერდა!), შეიძლება კვლავ ვენახის მასობრივი აჩეხვა გამოიწვიოს. დღევანდელი გადაწყვეტილება ყურძნის შესასყიდვი ფასის დაწევისა თავისი შინაარსითა და მოსალოდნელი შედეგიანობით იგივეა, რაც იყო გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ყურძნის ხელოვნურად გაუფასურების მოვლენასთან.

ბნელა? – იკითხავს აღშფოთებული მკითხველი, დიახ, იმხანად ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ცის კაბადონზე წყვდიადი იყო ჩამონალილი, მას შემდგომ არც განათებულა.

ისევ იზაპელას (ადგესას) თემას მივუბრუნდეთ, აკი ავლნიშნავდით, იზაპელის პრობლემა მრავალჯერადი გამოყენების ნაღმად იყო ჩადებული ჩვენს მევენახეობა-მეღვინეობაში. დასტურიც სახეზეა: 70-იანი წლების შუახანებში ძლიერთა ამა ქვეყნისათა წიაღში კვლავ აღმოცენდა იდეა იზაპელას მილიონი ცალი ნერგის ორგანიზებულად დამზადებისა და შეტანისა კახეთის ზვრებში. თურმე ფხიზლად თუ ხარ, უკუნ ღამეშიაც შეიძლება კარგად გაარჩიო თეთრი შავისაგან და აი, პატრიოტი მეცნიერ-სპეციალისტების პროტესტმა ეს ვერაგული განზრახვა იმხანად სისრულეში ვერ მოაყვანინა ბოროტგანმზრახველებს. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა და ახლა სხვაგვარი ხრიკებით მაინც მოახერხეს იზაპელასა და პირდაპირნარმოებული ჰიპორიდული ფორმების გავრცელება მთელი საქართველოს მასშტაბით. განა ბნელი ღამე არ არის, როცა პირდაპირნარმოებულ ვაზის ჰიპორიდულ ფორმებს ხან საფერავს, ხან კაბერნეს და

ხან კი ალექსანდროულს უწოდებენ? როცა გარშემო უკუნია, აღბათ უკუნი გონიერაშიაც იმკვიდრებს ადგილს. ასე გასინჯეთ, ჩვენს საზოგადოებრივი, პარლამენტის წევრებს შორის და თვით მეცნიერ სპეციალისტთა შორისაც არა ერთხელ გაიგონებთ: რას ერჩით პირდაპირმარტობებულ პერიოდებს იმავე ლას, დირბულას, რას უწუნებთ ამ ღვინოებსო?

იზაბელას განუწყვეტელი მოქმედების ნაომი კოდეს ერთხელ აფეთქდა 1990 წელს, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ყურძნის შესასყიდი ფასების ახალი პრეისკურანტი, რომლის თანახმადაც, იზაბელას შესასყიდი ფასი გაზრდილი იყო 35 კაპიკიდან 1 მანეთამდე და თითქმის გაუტოლდა საფერავის, ალექსანდროულისა და ალადასტურის შესასყიდ ფასებს. როგორ ფიქრობ მკითხველო შემთხვევით იყო ეს ყოველივე?

განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ კახური ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგია, რომელიც დღეს იგნორირებულია, რასაც წინ უძლოდა რამდენიმე ათწლეულიანი ფარული თუ ღია ბრძოლა ქვევრის წინააღმდეგ. ქვევრის გამოყენების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლაც პერმანენტურ ხასიათს ატარებდა და ფაქტიურად მიმართული იყო ტრადიციული, ორიგინალური კახური ტიპის ღვინის წარმოების შეზღუდვისა და საბოლოოდ გაქრობისკენ. კახური ტიპის ღვინო დღეს აღარ მზადდება (იშვიათი კერძო ინიციატივების გარდა), კახური ტიპის ღვინო გამოიჩინევა დიეტური და სამკურნალო თვისებებით, ამ მხრივ ეს ტექნოლოგია უნიკალურია მთელს მსოფლიოში. პრაფესორ მ. გერასიმოვს კარგად ესმოდა კახური ტიპის ღვინის მნიშვნელობა და ამიტომაც მოითხოვდა მისი წარმოების გაფართოებას, იგი არ უჭირდა მხარს ყოფილი საუფლისნულო მამულების მცდელობას – გაეფართოებინათ ევროპული ტიპის ღვინოების წარმოება. ტრადიციული კახური ტიპის ღვინო იყო სახე და ღირსება ქართული მეღვინეობისა, მაგრამ ეს ღირსება დღეს ლამის დაკარგული გვაქვს.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ძლიერ მოიკიდა ფეხი უცხოელ მეღვინე-სპეციალისტთა (საფრანგეთიდან, გერმანიდან, ავსტრალიიდან და სხვ.) მოწვევის პრაქტიკამ. არის ერთობლივი სანარმოები უცხოელთა მონაწილეობით. რასაც დადებით მოვლენებთან ერთად ის უარყოფითი მომენტიც ახლავს თან, რომ მხედველობაში არ არის ხოლმე მიღებული ვაზის ენდემური ჯიშების პოტენციური შესაძლებლობები და თავისებურებები, შემოაქვთ ტკბილის დამწმენდი საშუალებები, უცხოური სადუღარი საფუვერები, 1994-96 წლებში კახეთში, აკურის ღვინის ქარხანაში მოვლინებული იყო მეღვინე-სპეციალისტი, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი, რომელსაც უნდა ესწავლებინა ქართველი მეღვინეებისათვის, თუ როგორ

დაგვეუწინებინა საფერავის ღვინო. როგორც მასთან შეხვედრისას გამოირკვა, მან არ იცოდა საფერავის ჯიშის, სამეურნეო-ტექნოლოგიური მახასრაოებლების შესახებ და ამავე დროს საფერავის ტკბილის დასადუღებლად ხმარობდა ფრანგულ საფუარს. მოკლედ მოგახსენებთ, მან ფერ დაუყოჩა ჩევნთვის მოსაწონი საფერავი და ფიასკო განიცადა. და ვერც დაჟუნებდა, ვინაიდან არ გაითვალისწინა ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და თაცისტერურებანი. ეს მაგალითი მრავლისმეტყველი და დამაფიქრებელი უნდა იყოს ჩევნთვისაც და უცხოელებისთვისაც. ვაზის ქართული გენოფონდი უნიკალურია მთელს მსოფლიოში, ვაზის ქართული სტანდარტულ ჯიშებს ანალოგი არ მოეპოვება მთელს მსოფლიოში, ამდენად, მათთან შეხებისას უცილობლად უნდა იქნას გათვალისწინებული ადგილობრივი წეს-ჩვეულებები, როგორც ვაზის აგროტექნიკის, ისე ღვინის დაყენების სფეროში.

ჰოდა, 80-იან წლების მრუმე ლამეში მიწით ამოაგსეს ქვევრები მასობრივად და ამას არავინ ამჩნევს და ეწინააღმდეგება, განა უკუნი ლამე არ არის ჩვენს გარშემო და ჩვენს ცნობიერებაში?

ახლა ყბადალებული ფალსიფიკაციის შესახებ. რუსეთმა მართლაც მიგვახედა ილიასაკენ, რომელიც გვიქადაგებდა საუკუნეზე მეტი ხნის წინ: ქართული მელვინეობის გზა არ არის ყალბი ღვინოების კეთება, ჩვენი ღვინო მართალი ღვინოა და თუ გსურთ, რომ ჩვენებურმა ღვინომ რუსეთის ბაზარზე ევროპულ ღვინოს გზა დააცლევინოს, სწორედ ამგვარი მართალი ღვინო უნდა წავუყენოთ პირში და ჩვენი გამარჯვება უეჭველია. ცხადზე ცხადია, რომ რუსეთმა პოლიტიკური მიზნით გამოიყენა ფალსიფიკირებული ღვინის თემა, თორემ თავადაც კარგად უწყოდა რომ სწორედ მისისივე შეკვეთითა და სურვილით დაიწყო და გაფართოვდა ღვინის ფალსიფიკაცია საქართველოში. მაშინ, როცა რუსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საკმაო წარმატებით შეოულობდნენ ფულს მკვდარი სულების საშუალებით, საქართველოში ულვაშის ღერს თამასუქის ძალა და ფასი ჰქონდა. საფრანგეთსა და გერმანიაში წარმოშობილი ღვინის ფალსიფიკაციის მეთოდები სწორედ რუსეთის გზით შემოუიდა და დამკვიდრდა ჩვენში. თუმცა ზემოთქმული როდი გამორიცხავს ჩვენს სიგლახესა და დანაშაულს.

თითქოს ჩვენში დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, მაგრამ რეალურად რაც ხდება ფალსიფიკაციის ხელშემწყობია და არა პირიქით. მიზეზთა მიზეზი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებაში უნდა ვეძიოთ. კანონი იმისათვის იქმნება, რომ მას საზოგადოების ყველა წევრი, განურჩევლად ცენზისა, თანამდებობისა და სოციალური მდგომარეობისა, უსიტყვოდ დაემორჩილოს. როცა კანონში ვაზისა და

ლვინის შესახებ დამატებები და ცვლილებები შეაქვთ, ისე როგორც მენამჟ-
თა ინტერესებს ერგება და არა პირიქით, ლაპარაკი ფალსიფიკაციის ნინააღ-
მდეგ რეალურ ბრძოლაზე – ზედმეტია. როგორც იტყვიან აქ წრე შეკრულია.

ლვინის ფალსიფიკაცია მარტოოდენ შაქარ-შულისა და კანონით აურმა-
ლული ინგრედიენტების გამოყენებით როდი მიიღონება. ფალსიფიკირებუ-
ლია ის ლვინოც, რომელიც დამზადებულია სხვადასხვან ვაზის ჯიშის უკრძნის
შერევით და ატარებს ერთი რომელიმე ჯიშის სახელს, აგრეთვე ის ლვინოც,
რომელიც დამზადებულია არასტანდარტული ვაზის ჯიშების და პირდაპირ
მნარმოებელი ჰიბრიდული ფორმების ყურძნისაგან, ან მათი ნანილობრივი
შერევით სტანდარტული ვაზის ჯიშის ყურძნისან, ასევე ფალსიფიკირებუ-
ლია ტექნოლოგიური ინსტრუქციის დარღვევით დამზადებული ლვინი. თამა-
მად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი ლვინობი, მცირე და საბედ-
ნიერო გამოხაკლისების გარდა, ზემოაღნიშნულ კატეგორიებს განეკუთვნება.

ზემოაღნიშნული სამწუხარო ტენდენციის ხელშემწყობია დაბალი პრო-
ფესიონალიზმი, ან უფრო სწორად, არაპროფესიონალიზმი. ჩამოყალიბებუ-
ლია ერთგვარი უნდობლობისა და იგნორირების ატმოსფერო ძველი კადრე-
ბის, გამოცდილი პროფესიონალებისა და მეცნიერების მიმართ. არაპროფე-
სიონალიზმის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება 2006 წელს საქართველოს
სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ეკონომიკური პრო-
გრამის რუბრიკით ფერმერთათვის გამოცემული აგროკალენდარი, სადაც
შავით თეთრზე აღნიშნულია, რომ ყურძენი და ხილი ითესება და ირგვება, ეს
ალბათ შეცდომაა, იტყვის მავანი. არა, ბატონებო, ეს შეცდომა არ არის, ეს
უცოდინარობა! ყურძენი და ხილი რომ იქმევა და არა ითესება ან ირგვება,
თითოეულმა ყმანვილმაც კი იცის. მართლა ბნელა? – იკითხავს გაოცებული
მეითხველი.

მეღვინეობა თავისი არსით კონსერვატული ბუნებისაა, ეს განსაკუთრე-
ბით ქართული მეღვინეობის მიმართ ითქმის. პროფესიონალი მეღვინის ჩა-
მოყალიბებას წლები სჭირდება, ვერც ასტატი მეღვინე დადგები და ვერც ჭაშ-
ნაგირად ვერ ჩამოყალიბდები, თუ წლების გამოცდილება არ დაიუწვევე. რო-
გორ გაარჩიოს ახალგაზრდა მეღვინემ როგორია ნინაანდლური, გურჯაანული,
ანაგური, მუკუზნური, კარდანახული, ტიბაანური, სვირული, ატენური, ხიდი-
სთავური, მუხრანული ლვინობი, თუ თავად არ ეზიარა და გაიცნობიერა ამ
უნიკალური ლვინოების დაყენებისა და ფორმირების საიდუმლოებები. როცა
სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიისათვის დეგუსტატორთა კადრებს არ-
ჩევს, უპრიანი იქნებოდა, ყური დაეგდო გამოცდილი მეღვინე სპეციალისტე-
ბისა და მეცნიერებისათვის, მიეწვია ისინი ამ კომისიაში.

მაინც ბნელა მზით გაბრწყინებულ საქართველოში? – იკითხავს მავანი და მავანი. ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ მზით გაბრწყინებულ ქვეყანაში ბნელა! ვერაფერს ვერ ვხედავთ, არაფერი არ ვვესმის! სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მსოფლიოში სახელგანთქმულ საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლებითი ინსტიტუტის დასახელებიდან თავდაპირველად ამოიღეს სიტყვებმა: „სამეცნიერო კვლევითი, რაც ინსტიტუტის ფუნქციის შეკეცას უნდა მოასწავებდეს. მერე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ინსტიტუტს ჩამოართვა უძრავი ქონება და მისამართიც კი. ინსტიტუტი ჰაერშია გამოვიდებული. ინსტიტუტის ძირითადი კორპუსი დამხმარე ნაგებობითა და ეზო კარ-მიდამოთი ინსტიტუტის მეცნიერთა ინტერესთა გაუთვალისწინებლად რბილად რომ ვთქვათ, მიაჟუთვნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ექსპერიმენტული მარანი, მეხილეობა-მევენახეობის ვაშლაჯვრის ბაზა, ვაზის ქართული გენოფონდის კოლექციითურთ, ყოფილი საპროექტო ინსტიტუტის სამსართულიანი შენობა, რომელშიც დღეს ინსტიტუტის თანამშრომელთა თითქმის ნახევარია განთავსებული ინსტიტუტის ბალანსზე არ ირიცხება. რამდენიმე ლაბორატორია დარჩა განსათვალებელი. ინსტიტუტის ამ არანორმალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს იმის ფიქრი, რომ დღეს თუ არა ხვალ შეიძლება სულ ერთიანად აუკრან გუდა-ნაბადი. რაც ინსტიტუტის წლობით გამოზრდილი და ჩამოყალიბებული კადრების განთესვასა და მთლიანად ინსტიტუტის დანგრევას მოასწავებს. გააუქმეს ქვეყანაში ერთადერთი დარგობრივი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც საქართველოს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ამსახველი 8000 – წლოვანი ისტორია და ინსტიტუტის მიღწევები იყო ასახული, მოტივს არ იკითხავთ? თურმე ამ მასალებს ისტორიული ღირებულება არ გააჩინათ. და ეს ხდება საქართველოში – დღეს უკვე საქვეყნოდ აღიარებულ მევენახეობისა და მეღვინეობის სამშობლოში! არ ბნელა, ბატონებო საქართველოში? მაშინ გაახილეთ თვალები, კარგად დაინახეთ ყოველივე და გამოთქვით თქვენი აღშფოთება ამგვარი დამაქცევარი ქმედებების გამო!

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას არეგულირებს და წარმართავს ქვეყნის ხელისუფლება, ეს მისი ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. მევენახეობა-მეღვინეობა კი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. ეს ჭეშმარიტება ჩვენში იგნორირებულია. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება თვითდინებაზეა მიშვებული. არ არსებობს სახელმწიფოებრივი პროგრამა, დოკუმენტი სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა. ან კი როგორ იქნება, როცა მევენახეობა-მეღვინეობა

ეცონომიკის პრიორიტეტულ დარგად არ არის მიჩნეული სადღესაოდ. ეცონომიკური განვითარების სამინისტრო არ უნდა ზრუნავდეს სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მევენახობა-მელვინეობის დარგის განვითარებისათვის? საჭიროა ეს ზრუნვა და რაში მულავნდება? იქნებ იმაში რომ ფრთხოებს ჰქონდება ერთული აგრონომიული მეცნიერების ფლაგმანს – საქართველოს მეცნიერების, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კოლეგია. ნუთუ არ უნდა გვახსოვდეს ის ჭეშმარიტება, რომ არც ერთი დარგის განვითარება არც ერთ ქვეყანაში მეცნიერების განვითარების გარეშე არ ხდება?

ალბათ, მავანნი დაგვძრახავენ: უკანასკნელ ხანს ქართულმა ლვინოებმა არაერთი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს საერთაშორისო კონკურსებზე. რატომ არ აფასებთ ამას, ეს ხომ ნინსვლაა! რასაკვირველია ვაფასებთ ქართული ლვინის ალიარებას და გამარჯვებას, გვიხარია, მაგრამ ეს ხომ ეპიზოდური მოვლენებია, რაც არ ქმნის სახელმწიფო პოლიტიკას. მევენახეობა-მელვინეობის მიმართებით, ეს უფრო ფირრია და არა საქმე, საქმე კი მევენახეობა-მელვინეობის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა იქნება.

საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის ისტორიისა და დღევანდელობის პრობლემატიკა ტაბუდადებულია ქართული პრესისა და ელექტრონული მედიისათვის, მაშინ როცა დიდის ხალისით ეთმობა დრო საზღვარგარეთის ქვეყნების მევენახეობა-მელვინეობის გაშუქებას. ეს რაღად უნდა გვიკვირდეს, როცა საქართველოში მევენახეობა-მელვინეობა სახელმწიფოებრივ დონეზე არ არის ალიარებული ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად. საბუთი გნებავთ? ინებეთ: „საქართველოს აგრარული კონცეფცია“ და „საქართველოს კანონი ვაზისა და ლვინის შესახებ“. ამ დოკუმენტებში მევენახეობა-მელვინეობა შორეული პერსპექტივის პრიორიტეტებად არის დასახული! ეს ხდება საქართველოში, მევენახეობა-მელვინეობის საქვეყნოდ ალიარებულ სამშობლოში. კიდევ იტყვით, არ ბნელა საქართველოშიო? ბნელა ბატონებო, ბნელა, ვერავინ ვერაფერს ვერ ხედავს, ვერაფერს ვერ ამჩნევს, უკუნი ლამება!

ქ. ლონდონში ლვინის ქალაქის – „ვინოპოლისის“ გახსნის ცერემონიას ქართული დელეგაციაც ესწრებოდა. „ვინოპოლისის“ პირველი პავილიონი საქართველოს დაეთმო, როგორც ლვინის სამშობლოს აკი პავილიონზეც მაოთავსეს წარნერა – „საქართველო – ლვინის აკვანი“. ჩვენდა გასაოცრად და სამწუხაროდ, ერთ-ერთი წამყვანი ქართული ტელეკომპანიის უურნალისტებმა უარი თქვეს გადაეღოთ პავილიონის გახსნის პროცესი, როცა ძალიან საინტერესოდ მოწყობილ ექსპოზიციაზე ყურძნით სავსე გიდელი ეშვებოდა. იმ მოტივით, რომ თითქოს აქ მნიშვნელოვანი არაფერი იყო. ხოლო ტელეკომ-

პანიამ საქართველოს მაყურებელს ძალიან მწირი, ალბათ, სულ ერთნუთანი ინფორმაცია მიაწოდა ჩვენი ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. გასაკვირია არა , ძვირფასო მკითხველო? მაგრამ ტაბუდადებული არ ყოფილა მევენახეობა-მეღვინეობის თემა საქართველოში, მაგალითად, ტაბუახესნილია ჩვენება იმისა, თუ როგორ იკრიფება ჟურნალი თავსხმა წეი-მაში და როგორ იჭყლიტება ნაწვიმარი ყურძენი რეზნის ჩექმებით გრიგანტურ საწნახელში. ვის გაუგონია წვიმაში ყურძნის კრეფა და ნაწვიმარი ყურძნის გადამუშავება?

ბატონებო, ყოველივე ამას ხომ მსოფლიო უყურებს, ეს ხომ ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დისკრედიტაცია მსოფლიოს წინაშე! ვინ დაგი-ჯერებს ამის შემდეგ, რომ ქართული ღვინო უმაღლესი ხარისხისაა!?

სამაგიეროდ ტაბუახესნილია ჩვენება იმისაც, თუ როგორ ისხამენ ქა-რთველები ხახაში ღვინოს კრამიტებით, ლამპის შუშებით, თოფის ლულებით და ყოველივე ამ უგვანობის ჩვენება ტელევიზიით ხდება შობის წმინდა დღეე-ბში, როცა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია I აქვეყნებს მნიშვნელოვან საშობაო ეპისტოლებს და გვმოძ-ღვრავს ქართული სუფრის ტრადიციების შენარჩუნების აუცილებლობაზე.

ქართული არყისა და ღვინის კომპანიის (G.W.S) ქართველმა მესვეურებმა, რომლებიც იმხანად ხელმძღვანელობდნენ კომპანიას, პატრიოტული საქმე განახორციელეს: კომპანიის დაფინანსებით მომზადდა და გამოიცა მნიშ-ვნელოვანი კრებული-ალბომი „ღვინო, ვაზი და ქართველები“ ხუთ ენაზე. მაღლობა მის ავტორებსა და კომპანიას. მაგრამ მოხდა მიუღებელი რამ: კომპანიას ამჟამად ფრანგები განაგებენ და ზემოთ მოხსენებული ალბომის გავრცელებას ტაბუ დაადეს, ქართველსა თუ უცხოელ მკითხველს საშუალება არა აქვს, შეიძინოს ეს ალბომი. ბნელა? იკოთხავს გაოცებული მეითხველი. დიახ! ბნელა, ბატონებო! რა მოტივაციით არის განპირობებული ფრანგების ეს ქმედება? პასუხის მოძიება მკითხველისთვის მიგვინდვია!

ყოველივე თქმულის შემდეგ იბადება კითხვა: გააკეთებს კი უცხოელი სპეციალისტი ჩვენს სასიკეთო საქმეს? რატომძაც საეჭვოა! ქართული საქმე ქართველმა უნდა აკეთოს!

ცნობიერებითმა სიპრეზემ ისტორიულ მეხსიერებასაც დააფინა დავი-წყების გაუმჯვირვალე ნისლი. დღეს ერთობ გვაკლია ტექნოლოგიური აზ-როგნება, გვაკლია ციციშვილების, თარხნიშვილების, გაბაშვილების, კან-დელაკების, მგალობლიშვილების, მოდებაძეების, ბერიძეების პროფესიული ცნობიერება, მრნამსი და შეუვალი პატიოსნება. დღეს გვიჭირს იმის გაც-ნობიერება, რომ ღვინო მარტომდენ ეკონომიკური შემოსავლის წყარო არ

არის, იგია სახე, სიმბოლო და პრესტიუზი ჩვენი სამშობლოსი რომელიც დღეს უკვე საერთაშორისო დადასტურებით, აღიარებულია მევენახეობის აკვანდ.

ახლა რამდენიმე სიტყვა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი გარემოების გამო. გაზეთ „რეზონანსი“ -ს ცნობით მსოფლიო ჰანიკას ასტრიდ ბრწეულ ზენა ზიდენტს ბატონ რობერტ ბ. ზოელიქ განუცხადებია: მე არ შემაჩინაო საქართველო განვითარებად ქვეყნად. არიქა, ბატონები! უკან მოვაწყდინოთ ამას საქართველოს ხელისუფლებას და დავაჯეროთ, რომ დიდი შეცდომა და დანაშაული იყო საქართველოს განვითარებად ქვეყნანათა რიგში ჩაყენება! საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ინტელექტუალური პოტენციალი, მატერიალური თუ სულიერი კულტურა ყოველთვის იძლეოდა საქართველოს განვითარებულ, ძლიერ ქვეყნად ჩამოყალიბების წინაპირობებს, მაგრამ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში (განსაკუთრებით!) ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო. დღეს, როცა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით ვიმყოფებით მსოფლიოს გარემოცვაში, თითქოს ეროვნული განვითარების ყველა პირობა უნდა იყოს შექმნილი, მაგრამ სამწუხაროდ, რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს. განა პნელით არ არის მოცული უკანასკნელი 15 წელიწადი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა.

თუკი ყველაფერი დავანგრიეთ, მოვშალეთ, გავყიდეთ, ეს ქვეყანა აღარ იქნება, არც განვითარებული, არც განვითარებადი, არამედ იქნება ტერიტორია, სადაც ვისაც რა მოესურვება, იმას გააკეთებს. ჯერჯერობით, სწორედ აქეთკენ მივდივართ!

ამ წერილის მიზანი როდია, ქართველ მკითხველს კიდევ უფრო დაუბნელოს და დაუმძიმოს ცხოვრება, არამედ გამოაფხილოს და დაანახოს, რომ ამგვარიყოფა სამუდამო ბნელების დამკვიდრების საწინდარია. ხელჩაქენეულნი არ უნდა ვიყვნეთ. ჩვენ არაერთი ჭეშმარიტი პროფესიონალი, მევენახეობა-მეღვინეობის ნამდვილი გულშემატკივარი გვყავს, რომლებიც იღწვიან კიდეც ქართული ვაზისა და ტრადიციული ტექნოლოგიების გადასარჩენად, მაგრამ ისინი მრუმე ღამეში არ ჩანან, არცთუ ბეკრინი არიან, მაგრამ ერთიც რომ გვყავდეს ჭეშმარიტი მამულიშვილი, ეს უკევ გადარჩენის ნიშანსვეტად უნდა მივიჩნიოთ. გამოდით მამულიშვილნო, სადა ხართ, სად მოიაზრებით, გამოთქვით თქვენი პროფესიული აზრი, აანთეთ ჩირალდანი და გაანათეთ უკუნი, რამეთუ რაიც თქვენ ნათელი გგონიათ ალბათ, იგი ნათელი წკვარამია, ბნელი ღამეა!

გამოქვეყნებულია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“
2007 წლის 12 თებერვალი

გადაქაცილი ოკეანისგაღმალი კოლეგისადგი
ანუ

ვის აპლევს ხელს ქართული
ლვინის პრიორიტატულობის შუალყურფაზე კულტურული
პირდაპირობები



ს წერილი ალბათ, არც კი დაიწერებოდა, რომ არა გაზეთ „მარანში“
ამა წლის 2 დეკემბერს გამოქვეყნებული ბატონ ერკპარდ ზუპის
სტატია, რომელიც ეძღვნება 2011 წლის 15-18 სექტემბერს ალავერდის მონ-
ასტროში ჩატარებულ ქვევრის ღვინის | საერთაშორისო სიმპოზიუმს და იქ
მიღებულ შთაბეჭდილებებს. როგორც ვხედავთ, ბატონი ე. ზუპი მონანილე
ყოფილა ამ სიმპოზიუმისა და მას, როგორც ე. ნ. ღვინის მწერალს გაუჩნდა
სურვილი, გაეცნო სიმპოზიუმის დღეებში მიღებული შთაბეჭდილებები ფარ-
თო მკითხველისათვის, მან ხომ ეს მასალა გერმანულ ენაზე ინტერნეტში
განათავსა. ვთვლით, რომ ჩვენი გაზეთის რედაქცია მართებულად მოიქცა,
როცა გადაწყვიტა, გამოექვეყნებინა ბატონ ზუპის წერილის ქართული თარგ-
მანი. მიგვაჩნია, რომ გამოპასუხება ამ წერილზე აუცილებელია, ვეცდებით,
მკითხველს განუუმარტოთ, თუ რამდენად კეთილგანწყობილი, ობიექტური და
რეალურია ხშირ შემთხვევაში მის მიერ მოწოდებული დასკვნები და შეხედ-
ულებები.



ბატონ ზუპის წერილი იწყება შეძახილით: „არა, საქართველო არ არის ღვინის აკვანი!“ ეს გახლავთ გადაძახილი ევროპიდან ოკეანისგაღმელი კოლე- გის – ბატონ მაკოვერნისადმი, რომელმაც სიმპოზიუმზე წაჟითხულ 40 წუთიან მოხსენებას ორჭოფული სათაური გაუკეთა: „ქვევრის დვინო – 8000. წლიდანი- ისტორია?“ საკითხის ამგვარად დაყენება ქვეტექსტით მოაწიგებს ჩიტ დამტ- კიცებას, რომ საქართველო არ არის ღვინის აკვანი. როგორც ვრედავთ, ბა- ტონ ზუპს „სიცხადე“ შეაქვს ბატონ მაკოვერნის მიერ დასმულ კითხვაში და უდასტურებს მას: „არა, საქართველო არ არის ღვინის აკვანი. რას ეყრდნობა ბატონი ზუპი, როცა ამგვარ კატეგორიული და მენტორული ტონით აღსავსე „დასკვნას“ აკეთებს? ბატონი ზუპი მიკითხველს განუმარტავს, რომ სიმპოზი- უმზე დისკუსიების ძირითადი თემა არა ქვევრის ღვინო, არამედ ღვინის წარმო- შობის საკითხი იყოო. მაგრამ, სამწუხაროდ, მეტად დატვირთული სამუშაო რე- უმის, მცირე დროის გამო დისკუსიები არ შედგა, თუ არ ჩავთვლით ცალკეული მოხსენებების გამო წამოჭრილ და დასმულ კითხვების ნაწილს და მასზე მეტ- წარმოშობის გაცემულ ან სრულებითაც გაუცემელ პასუხებს.

ბატონი ზუპი გვერდს უვლის ქართველ ავტორთა მიერ წაკითხულ მოხ- სენებებს და საუბრობს მხოლოდ მაკოვერნის, ფერანინისა და სესილია დი- ასის მიერ განხილულ საკითხებზე, ქვევრისა და ქართული (კახური) ღვინის დაყენების ტრადიციული წესის თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე.

ბატონ ზუპს შეეძლო ჩართულიყო „დისკუსიებში“ როგორც თავადვე წერს და აშკარად გამოეთქვა თავისი უარყოფითი ან დადებითი შეხედულე- ბები სიმპოზიუმის მონაწილე მასპინძლებისა და სტუმრების წინაშე, ეს უფრო კოლეგიალური და მისასალმებელი ფორმა იქნებოდა. პასუხებსაც იქვე მი- იღებდა მისთვის საინტერესო კითხვებზე, მაგრამ არა, მან „მოყურიადეს“ როლი ამჯობინა, შეუმწინველად და უხმოდ იყო მაშინ, როცა მისთვის საინ- ტერესო საკითხებზე იყითხებოდა ქართველთა მოხსენებები.

ვერ ვიტყვით, რომ ბატონმა ზუპმა ე. წ. სტუმართმასპინძლობის ეტიკეტი დაიცვა და მოერიდა მასპინძლებისათვის „სიმართლის“ თქმას. მაგრამ მისდა უნებურად სიმართლის ძიებაში ხშირად ვარდება წინააღმდეგობაში და ურთ- იერთგამორიცხავ კატეგორიულ მოსაზრებებს გამოთქვამს. თურმე ქართ- ველთა „რომანტიკულობისა“ და „მისტიკურობის“ ბრალია ის, რომ საქართვე- ლო ღვინის აკვანად მიგვაჩინა ქართველებს, მაგრამ, ალბათ ამგავრი ეტიკეტე- ბით შეიძლება შევამკოთ ის უცხოელი ავტორებიც, რომლებიც არ იზიარებენ ზუპისეულ მოსაზრებებს.

ბატონი ზუპი შეგნებულად უვლის გვერდს შულავერის მახლობლად „გადაჭრილ გორაზე“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ გასა-

ოცარ არქეოლოგიურ მასალებს, რომლებმაც შეცვალეს წარმოდგენა ცულ-ტურული ვაზისა და ღვინის წარმოშობის დროისა და ადგილის ძესახებ.

ბატონი ზუპი წერს: „საქართველო არც კულტივირებული ვაზის და არც ღვინის სამშობლო არ არისო“ ამაზე იტყვიან ქართველები „უფრის მწამებოლო მაკვირვებსო“. მაშ რას ნიშნავს ძვ. წელთაღრიცხვის VI-VI ათასწეულებით დათარიღებული კულტივირებული ვაზის წიპნები, თიბის საღვინე ჭურჭელი, რომელიც შემკულია ყურძნის მტევნის სტილიზებული გამოსახულებებით და წარმოადგენს პირველსახეს თანამედროვე ქვევრისას. წითელი ღვინის ნაშთს თიხის ჭურჭლის კედელზე, ყვავილის მტვერს. ეს ხომ უხნევი არქეოლოგიური მასალებია მთელს ევრაზიის კონტინენტზე. გვაქვს კი სხვაგან კულტურული ვაზის წიპნა ამ (ნეოლით-ენეოლითის) პერიოდისა? „გადაჭრილი გორას“ არქეოლოგიური მასალების მნიშვნელობას საკაცობრიო ცივილიზაციისათვის (და არა მარტო საქართველოსათვის) გამოიხატება იმითაც, რომ აქ აღმოჩენილია ხორბლის 9 და ქერის 5 სახეობა. სხვა მარცლეული და პარკოსანი კულტურების ნაშთები. ყველა შინაური ცხოველის ნაშთი, სამინათმოქმედი იარაღები, ალიზით ნაგები ცილინდრული ფორმის საცხოვრისები, რაც მიუთითებს ძვ. წ. VI-V ათასწლეულში სამხრეთ საქართველოში მკვიდრად ბინადარი მოსახლეობის არსებობას, რომელიც ეწევა მრავალდარგოვან მეურნეობას, აქვეა აღმოჩენილი „დედა ღვთაების“ (ნაყოფიერებისა და სიცოცხლის სიმბოლო) მცირე ზომის თიხისაგან გამოძერნილი ქანდაკებები, რაც აქაური ბინადარი მოსახლეობის რელიგიურ ცნობიერებაზე მიგვანიშნებს.

ბატონი ზუპი წერს: „საკამათოა ქვევრის როლი ქართული ღვინის განსაკუთრებული გემოსა და არომატის ჩამოყალიბებაში“. იგი ცალმხრივად აშუქებს საკითხს და შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. ამავე დროს წერს, რომ სიმპოზიუმზე ვერ იქნა დადგენილი, რომელი ნაერთები განაპირობებენ ქვევრის ღვინის განსაკუთრებულ გემოსა და არომატს. გვეჩვენება, რომ ბატონი ზუპი შეგნებულად გვერდს უვლის და არ-რას ამბობს ჩვენს მიერ გაკეთებულ მოხსენებაზე: „ყურძნის კლერტი და ქვევრის კახური ღვინო“, სადაც ილუსტრირებული სახით იყო წარმოდგენილი არომატნარმომქმნელი, სხვადასხვა კლასისა და ჯგუფის აქროლადი და არააქროლადი ნაერთების რაოდენობრივი და თვისებრივი შემცველობის ამსახველი მონაცემები. ანტიოქესიდანტური მაჩვენებლები.

კახური ღვინის ჩამოყალიბებაში ქვევრი ერთ-ერთი, და არა ერთადერთი ფაქტორია.

მაინც რაში გამოიხატება საკუთრივ ქვევრის როლი ღვინის არომატსა და გემოს ჩამოყალიბებაში? უპირველეს ყოვლისა თიხის შემადგენლობაში არსე-

ბული მინერალური ნივთიერებებით. რასაც ბატონი ზუპი არ ან გერი ითვალისწინებს. მინერალური ნივთიერებები ხომ აქტიურ როლს ასრულებენ ღვინის არომატნარმოქმნაში. ეს მეცნიერულად გამოკვლეული და ალიარებულია. გარდა სხვა დადებითი მომენტებისა ქვევრის ამ მხრივაც შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი კახური ღვინის არომატისა და გემოს ჩამოყლიბების. ქვევრის კახური ღვინო ხომ გამორჩეულია თავსი განსაკუთრებული არომატითა და გემოთი.

წერილის ავტორი, ჩვენი აზრით გაზვიადებულად ამახვილებს ყურადღებას ცვილით ქვევრის შიგა ზედაპირის დაფარვაზე. ცვილს ჩვენში ზოგან იყენებენ, ზოგან არა. ბატონი ზუპი ასევე გერდს უვლის სიმპოზიუმზე გიორგი ბარისაშვილის მოხსენებას ქვევრის შესახებ.

ჩვენთვის ერთგვარად გაუგებარია ბატონ ზუპის შემდეგი განაცხადი: „ყველაზე გასაოცარი ამ სიმპოზიუმზე იყო ის გაბედულება, რომელსაც ავლენდნენ საქმად მარჯვე თინა კეზელი და მის ირგვლივ შემოკრებილი სხვა ორგანიზატორები და თვით ქართული მელინიების სინმინდეების მსხვრევასაც კი არ „უშინდებობნენ“. რას გულისხმობს ბატონი ზუპი „მელინების სინმინდეების მსხვრევაში?“ ეს, ალბათ, თავად ბატონ ზუპს და სიმპოზიუმის ორგანიზატორებს უნდა ვკითხოთ.

ბატონ ზუპს მიჩნია, რომ „სიტყვა Wine-Wine-Vin-Vino პროტო-ინდო-ევროპული “win-o”-დან ამოდის“. რაც რასაკვირველია, მცდარი მოსაზრებაა. ჩვენ შორს ვართ კატეგორიული მსჯელობიდან, მაგრამ აღვნიშნავთ, ჩვენის აზრით, ერთ უტყუარ ფაქტის: ინდოევროპელები ძვ. წ. III ათასწლეულიდან გამოჩენდნენ ევროპის ტერიტორიაზე დნეპრისა და ვოლგას შორის მდებარე სტეპებიდან და იყვნენ ნახევრად მომთაბარე ტომები, ამდენად, მათ არ უნდა სცოდნოდათ ვაზის კულტურა და ღვინო. ძირითადად მარცვლეული კულტურების მოყვანით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი. მათ, ევროპაში გამოჩენისას, უნდა დახვედროდათ სიტყვა – „ღვინო“. მათ ესესხებინათ ეს სიტყვა მკვიდრი მოსახლეობიდან და გამოეთქვათ თავიანთი ენის ბუნების შესატყვისად. სიტყვა „ღვინო“ ნოეს მიერ ნარღვნამდელი (ნეოლით-ენეოლითი) ეპოქიდან გადმოტანილად უნდა ვიგულისხმოთ. საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ მოსული ხალხი დამხდურის სახელს მათივე ენიდან იღებს და საკუთარ ენაში ამ ენის ბუნების შესაბამისად ამკვიდრებდა. ასე, მაგალითად, სომხურ ენაში ქართველის - „ივერის“ აღმნიშვნელი სიტყვაა: „ვრაც“, ეს იგივეა, რაც „ივერიელი“. სომხურ ენას კვეცად-კუმშვადი ბუნება ახასიათებს, ამდენად, „ი-ვერი-ელი“-დან მოკვეცა „ი“, შეიკუმშა „ე“ და მივიღეთ „ვრ“ ფორმა, ხოლო „აც“ სომხურში იგივეა რაც ქართულში – „ელი“.

უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი; უელსური (ანუ უფრო სწორად, ვალიური ენა) განეკუთვნება ერთ-ერთ უძველეს თავისთავად ენას საკუთარივე ლექსიკური მარაგით, რომელზეც დღეს უელსელთა შედარებით მცირე ნანილი საუბრობს. ამ ენაზე ღვინის აღმნიშვნელი სიტყვა წარმოიქმნის ქართულის მსგავსად: „გვინ“ ანუ ღვინო. ეს ფაქტიც მშეადამი გამოიყენება ინდოევროპულ ენათა არეალში და შესაძლოა ამ სიტყვის „გვინ“ ფორმა კელტ-იბერთა მეტყველებაში პროტოიბერთა ენიდან შემოსულ და დამკვიდრებულ ტერმინად მოვიაზროთ.

იმის დასტურად, რომ საქართველო არ არის კულტურული ვაზისა და ღვინის აკვანი, ბატონი ზუპი სამ ფაქტორს ემყარება. პირველი ის გახლავთ, რომ ვაზისა და ღვინის ნარმოშობის ცენტრი სამხრეთ ანატოლიაა და საქართველო კი მარტო დღეს ამ კულტურის გავრცელების პირველადი კერა. მეორე ისაა, რომ სომხეთში კლდოვან გამოქვაბულში აღმოჩენილია სანნახელი და ქვევრები, რომლის თარილი ძვ. წ. 3500-3000 წლებით შემოიფარგლება. მესამე ისაა, რომ მაკვოვერნის მიხედვით უძველესი საღვინე ჭურჭელი აღმოჩენილია არა საქართველოში, არამედ ჩრდილო-დასავლეთ ირანში და დაახლოებით 7000 წლისაა. ისმის კითხვა: ზემოთ აღნიშნული მონაცემები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს თუ არა გადაჭრილ გორაზე აღმოჩენილ თიხის საღვინე ჭურჭელს და წითელი ღვინის დანალექს თიხის ჭურჭლის კედელზე? ანდა სად არის მთელს ევრაზის კონტინენტზე უფრო ადრინდელი თარიღით დათარიღებული კულტურული ვაზის წიპრები? ბატონ ზუპის მოსაზრებით „ადამიანის პირველი შეხვედრა *Vitis vinifera*-ს სახეობის ველურ ვაზთან კი, ამაზე ბევრად ადრე მოხდა. ვარაუდობენ, ჰომო საპიენსი პირველად მას 70000 წლის წინ და უფრო ადრეც ლიბანში გადააწყდა, როდესაც ის აფრიკას ტოვებდა“. ჩვენთვის უცნობია, იცის თუ არა ბატონმა ზუპმა, რომ სამხრეთ საქართველოში ადგენის რაიონში გოდერძის უღელტეხილთან ქისათიბის დიატომიტებზე აღმოჩენილი 30 სმ დიამეტრის მქონე გაქვავებული ველური ვაზის შტამპი 15 მილიონი წლითაა დათარიღებული. ხოლო ახალციხის რაიონში ქისათიბის დიატომიტებში აღმოჩენილი ვაზის ფოთლის ანაბეჭდი 10 მილიონ წელს ითვლის. რაც შეეხება „ჰომო საპიენსს“. სამხრეთ საქართველოში (დმანისის რაიონი) აღმოჩენილია ჰომენიდების – მამაკაცისა და ქალის თავის ქალები, რომელთა ასაკი 1,8 მილიონი წლით არის განსაზღვრული. ისინი პირველ ევროპელებად არიან მიჩნეული. შეიძლება ბატონი ზუპი არ იცნობს ან არ ცნობს ამ უძველეს მონაპოვრებს, ისევე როგორც არ ცნობს გადაჭრილი გორას არქეოლოგიურ სიძველეთა მნიშვნელობას, ეს მისი პრობლემაა და არა საქართველოსი.

ბატონი ზუპი ქვევრს ახასიათებს, როგორც „ამფორის ტიპის ჭურჭელს“, რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ ქვევრი ნარმომობილი ყოფილა ამფორისაგან,

ყველაზე რბილად რომ გამოვთქვათ, ამგვარი დასკვნა ვერ ჯდება ვერავითარ ლოგიკურ ჩარჩოში. ქვევრი ამფორა არ არის!

ბატონი ზუპი აღიარებს, რომ „თითქმის ვაზის ყველა ცნობილი ევრო-პული ჯიში ქართული ვაზის ჯიშებიდან მომდინარეობს”, და, ცდილობს ისი წარმოადგინოს საქმე, თითქოს საქართველოს ღვანის უკანადაბლიარების მო-ტივაცია მხოლოდ ამ უტყუარ ფაქტზეა დამყარებული. თასებ, ვადასტურებთ, რომ ეს არის ერთ-ერთი ძლიერი მოტივაცია, მაგრამ არა ერთადერთი.

ბატონი ზუპის დასკვნით, „საქართველო ღვინის სამშობლო არ არის, ის ღვინის, ალბათ, ერთ—ერთი პირველი გაჩერება ნამდვილადაა”. თუკი ბატონ ზუპს ვერმუნებით, ვაზი სამხრეთი ანატოლიიდან შეუამდინარეთამდე მდე-ბარე რეგიონში წარმოიშვა და შემდგომ შევიდა სამხრეთ კავკასიაში, საიდან-აც მოგვიანებით გავრცელდა „ირანში, იორდანიაში, საბერძნეთში, იტალიაში, სამხრეთ-დასავლეთ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოშიც გადავიდა”. ბა-ტონი ზუპი იმოწმებს ბატონ მაკვივერნს და ამბობს, რომ უძველესი საღვინე ჭურჭლის კვალს ირანში მივყავართ და მისი ასაკი დაახლოებით 7000 წელი ყოფილა. ეს როგორ, ბატონი ზუპ?! ჯერ თასის ჭურჭლი და მერე ვაზი, თუ ჯერ ვაზი და მერე ჭურჭლი? ნამდვილი პარადოქსია. ამას მოკლედ მოვლენა-თა და საგანთა აღრევა ჰქვია!

ბატონი ზუპი თვლის, რომ მხოლოდ ქართველებს მიაჩნიათ საქართველო კულტურული ვაზისა და ღვინის სამშობლოდ. მაგრამ ეს სრულებითაც ასე არ გახლავთ. მოვუსმინოთ, თუ რას წერდა ჯერ კიდევ 1872 წელს ფლორასტული და ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ვ. ჰენი: „ვაზის ჭეშმა-რიტი სამშობლო კასპიის ზღვის მახლობლად მდებარეობს. ულრან ტყეებში მკლავის სიმსხო ვაზები უზარმაზარ ხეებზე გადახლართულია და მშვენიერი მტევნებით ხიბლავს ადამიანს. იქ და მის მახლობლად კახეთში, სამეგრელო-ში, სომხითში, სადაც დღესაც შემორჩა უძველესი წეს-ჩვეულებები (რასაც ბე-რძნების და რომაელების თხზულებებიდან ვიგებთ), მოჰყავთ ნარინჯისფერი ბალზამური სიტყვას მეტად არომატული ვაზის ჯიშები. უკეთილშობილესი კახური საფერავი ისეთ მუქწითელ წვენს იძლევა, რომ მანდილოსნები ერთმა-ნეთს მოკითხვის ბარათებსაც კი უნერენ.... აქედან სემიტური ტომების საშუა-ლებით ქვემო ევფრატის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ე.წ. მცი-რე აზიაში ლიდიელებთან, ფრიგიელებთან, მიდიელებთან და ირანელებთან, ხოლო შემდგომში როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე ზღვიდან საბერძნეთის ნახევარკუნძულზე გავრცელდა, ბერძნების ყველაზე ადრინდელ მოგზაურო-ბათა შედეგად ეს დემონური სასმელი იტალიის საზღვრებში მოხვდა, ხოლო აქედან დანარჩენ ევროპაში, ახლა?

ბატონ ზუპი შევახსენებთ, რომ **XX** საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ლონდონში დაარსებული „ვინოპოლისის“ საქართველოს პავილიონის გარეთა კედელზე ქართველებს არ დაუწერიათ: „საქართველო – ღვინის აკვაპი“. ეს ინგლისელებმა გააკეთეს. იმასაც დავძენთ, რომ სამხრეთ კავკასია არაერთი არაქართველი მეცნიერის მიერ მიჩნეულია ვაზის, მარცვლეული ჰუფტურებისა და ხეხილის ფორმათანარმოქმნის ძირითად კერძად.

ვაზის ქართულ გენოფონდში აღნერილია 525 ჯიში და არა 621, როგორც არამართებულად მიუთითებს ბატონი ზუპი.

ბატონი ზუპი წერს, რომ სიმპოზიუმზე საკამათოდ იქცა ის, რომ თუ რომელი ნაერთები განსაზღვრავენ ქართული (იგულისხმება კახური თ.ლ.) ღვინის ბუჟეტსა და არომატს, ჩვენს მოხსენებაში ნარმოდგენილი იყო ნაერთთა კლასები და ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრავენ კახური ღვინის ჩვეულ გემოსა და არომატს და ეს საკითხი არავის გაუქდია საკამათოდ და მათ შორის არც ბატონ ზუპსაც.

გვრჩება შთაბეჭდილება თითქოს ბატონი ზუპი შეგნებულად უვლის გვერდს ქართველ ავტორთა მიერ ნაკითხულ მოხსენებებს ქვევრის ტრადიციული კახური ღვინის განმაპირობებელ ფაქტორებზე.

ბატონი ზუპი თავისი სტატიის მეორე ნაწილში გადმოგვცემს სიმპოზიუმის დღეებში მიღებულ შტაბეჭდილებებს და აღნიშნავს, რომ 2007 წლის შემდეგ ქართულმა ღვინოებმა ერთნახევარი ვარსკვლავით აიმაღლეს ხარისხი და გახდნენ კონკურენტუნარიანი. ეს, რასაკირველია, სასიამოვნო და ფასულია ჩვენთვის. წერილის ეს ნაწილი ობიექტური და კოლეგიალურია, რასაც ვერ ვიტყვით პირველ ნაწილზე, რომელიც აღსავსეა არაკეთილგანწყობილი ტონით, ნაკლები კომპეტენტურობითა და შეფარული ირონით. წერილის დამამთავრებელი, მესამე ნაწილი გაულენთილია ასევე დამრიგებლური, მენტორული ტონით, თუმცა შეიცავს მართებულ დასკვნებს სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით.

ბატონ ზუპის უმთავრესი მიზანდასახულება ჩადებულია სტატიის დასაწყისში და მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული ვაზისა და ღვინის უძველესი და უმთავრესი კერის პრიორიტეტულობის დასაკინებლად და უარსაყოფად ბატონების – პ. მაკვოვერნისა და ხ. ოუილამოსის მოშველიებით. ბატონ ზუპის სტატია ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის და დამსახურების განმაქიქებელთა და გამყალბებელთა ნისქვილზე ასხამს წყალს. ამგვარი მიღვომები მავანთა და მავანთა ინტერესების განხორციელებას ემსახურება.

გამოქვეყნებულია გაზეთ „მარანში“
2011 წლის 23 დეკემბერი, №39 (85)

სად მიგვიყვანს ქართული მეცნახობა-მეცნიერების ეკონომიკა?

„ტყუილმა ისე არსად არ იჩინა თავი, როგორც ჩეტეტურ ღვინის კეთების საქმეში. აქ არამცოუ უცხოძევყნელები გზა-კვალს გვირევენ, თვითონ ჩვენებიც ვი, მათ სახელით და სიტყვით, ბრმად გატაცებულნი და ფეხის ხმის ამყოლნი იმაზე უარესად გვხვევენ მჩვარში ნურავინ იფიქრებს, ვითომც ჩვენ ამით იმის თქმა გვინდოდეს, რომ ჩვენს კეთებას და დაყენებას ღვინისას არა აკლია რა. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით, ბევრი რამ აკლია, ამას თქმა არ უნდა. მხოლოდ იგი ნაკლიჩვენის ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენნი შინაურნი და გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზარისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის, თუ ძალად მაცხონე შინაურ ოსტატების ზედ-მოსევას და ქადაგებას ღვთისა და თქვენის წყალობით გადავურჩით.“

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)



კითხველი ალბათ ამთავითვე იკითხავს რა ფენომენია ქართული მე-ვენახეობა-მეღვინეობის ე. წ. „ევროპიზაცია“, რა მოიაზრება ამ ტერ-მინის ქვეშ და როგორია მისი განხორციელება-დანერგვის მექანიზმი? ზოგადად, მევენახეობაში ეს ხორციელდება ენდემურის სანაცვლოდ უცხოური ვაზის ჯიშების შემოტანით, მეღვინეობაში კი ევროპული ტექნოლოგიების დანერგვითა და ადგილობრივის, ტრადიციულის უარყოფით. როდის დაიწყო და როგორ ვითარდებოდა ეს ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი პრო-ცესები?

1826 წელს საფრანგეთის კონსული შ. გამბა, რომელმაც შეისწავლა საქართველოს ადგილობრივი პირობები და სოფლის მეურნეობის თანამე-დროვე მდგომარეობა, წერდა: „როდესაც ამ მხარეში მინათმოქმედება განვითარდება, როცა სხვადასხვა კასრით შეიცვლება ქვევრები და ტიკები, როდესაც აქ ცნობილი გახდება ბოთლების ხმარება და ღვინის დაყენების ევროპუ-

ლი წესები შემოვა საქართველოში, ამ პროვინციას შეუძლია დიდი რაოდენობის ღვინო გაგზავნოს ბაქოში, საიდანაც ის გადაიგზავნება ასტრაბანს, ხოლო აქედან ვოლგითა და მისი შენაკადებით მოამარაგებს რუსეთის ნაწილსა და ციმბირს, სადაც ეს ღვინოები შეცვლიან მოლდავეთისა და საბერძნეთს. დღი ნოებს.”

როგორც ვხედავთ შ. გამბას – ევროპის წარმომადგენლის მისნოფერები საგვარებით ეთანაწყობა რუსეთის კოლონიზაციონულ პოლიტიკას. ამგვარ მიდგომებში ცხადდება სრული უცოდინარობა და იგნორირება მეღვინეობის დარგში ადგილობრივი, საუკუნეებით გამომუშავებული ტრადიციებისა და ჩვევებისა.

ექსპერტ-სპეციალისტი გ. ი. ლენცი, რომელმაც ათეულ წელზე მეტი იცხოვრა კახეთში, ინუნციდა ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს ვაზის მოვლა პატრონობის და ღვინის დაყენების საქმეში, თუმცა რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ქვევრის ღირსებებს აღიარებდა ევროპული მუხის კასრებთან და ჩანებთან შედარებით და აღნიშნავდა, რომ კახეთში საფერავის, რქანითელი, კახური მწვანისა და მცვივანის ვაზის ჯიშებისაგან მაღალხარისხოვანი ღვინოები დგებოდა. გ. ლენცმა გააშენა კახეთში ორი ვენახი: ერთში თავმოყრილი იყო ევროპული ვაზის ჯიშები, ხოლო მეორეში – კახეთისა. გარდა ამისა, ის ცდილობდა, გაევრცელებინა კახეთში ვაზის მოვლა-პატრონობისა და ღვინის დაყენების ევროპული წესები. მიუხედავად მევენახეობა-მეღვინეობის ევროპიზაციის მცდელობისა, **XIX** საუკუნეში ეს მზაკვრული ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, 1896 წლის მონაცემებით, კახური ტიპის ღვინოს უკვე მოპოვებული ჰქონდა პოპულარობა რუსეთის იმპერიაში, ეს ღვინო სისტემატურად იგზავნებოდა პეტერბურგში, ვარშავაში და იმპერიის სხვა ქალაქებში. ტანინიან ღვინოს შეუჩვეველმა მომხმარებელმა მაღლე აულო კახური ტიპის ღვინოს და მის უპირველეს სასმელად იქცა.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ევროპული ტიპის ღვინოების წარმოების ჩამოყალიბებასა და გაერცელებაში დიდი წვლილი შეიტანა საუფლისწულო მამულებმა, მაგრამ ცნობილი რუსი ენოლოგი, პროფესორი მ. გერასიმოვი არამართებულად მიიჩნევდა ამ მიმართულების დამკვიდრებას ქართულ მეღვინეობაში და **XX** საუკუნის შუახანებში წერდა: „კახური ტიპის ღვინოებს სრული უფლება აქვთ არსებობისა საქართველოს სხვა ხარისხოვანი ღვინოების გვერდით. არ არის მართებული ყოფილ საუფლისწულო მამულებში გაერცელებული ტენდენცია ღვინის ადგილობრივი წესით დაყენების გაუქმებისა და სანაცვლოდ ევროპული ტიპის ღვინოების დანერგვისა. ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ „სამტრესტის“ მისწრაფებას – ხელი შეუწყოს

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კახური ტიპის ღვინის არა მარტივობულშე-ნარჩუნებას, არამედ მისი წარმოების გაფართოებას".

სამამულო მეურნეობის ტრესტი – „სამტრესტი“ 1929 წელს შეიქმნა და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული მელურნებიზ იერსახუბლისარჩუნებასა და განმტკიცებაში. „სამტრესტი“ გახდა მოკავშირუ რესპუბლიკები-სათვის უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა ტიპის „სამარცულოების უმრავე-ლესი მიმწოდებელი. ამ წლების სიმძიმე გაბაშვილებმა, ციციშვილებმა, თარხ-ნიშვილებმა, კანდელაკებმა, მგალობლიშვილებმა და მათმა თანამოაზრებმა მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობითა და მამულიშვილობით სა-კუთარი მხრებით ატარეს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართულ ღვინოპროდუქციაში კახური ტიპის ღვინის წარმოებას. მასხობრივი მომხმარებლისათვის გამოდიოდა ორ-დინარული კახური ტიპის ღვინი – „კახური №8“. იმხანად სწორედ ეს ღვი-ნი მოიხმარებოდა უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისში, ევროპული ტიპის ღვინოების მოხმარების ხევდრითი წილი შედარებით დაბა-ლი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრში კახური ტიპის ღვინის დაყენება მრა-ვალდარგოვანი პროფილის კოლმეურნებებშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო იყო, მაგრამ ეს იყო 60-იანი წლების დასაწყისამდე. ამ პერიოდიდან კი ქართულ მეღვინეობაში თავი იჩინა უარყოფითმა მოვლენებმა, კერძოდ, ღვინის ქარხნებში დაიწყეს მუხის კასრების საამქროებიდან გამოტანა და სა-ნაცვლოდ რკინა-ბეტონის რეზერვუარების დამონტაჟება. ამ პერიოდშივე იყო მცდელობა ქვევრის გაუქმებისა მაღალ წარმომადგენლობით დონეზე, მაგრამ ავტორიტეტულ მეცნიერთა და სპეციალისტთა პრინციპული პოზიციის გამო ეს ვერ განხორციელდა. ამ თათბირის აქტიური მონაწილე თქვენი მონამორჩი-ლიც გახლდათ, იმხანად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკი.

ღვინის ქარხნებიდან კასრების გამოდევნის პროცესი შემდგომ ათწლეუ-ლებში უფრო გააქტიურდა.

ეს მოვლენა გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა უპირატესად სხვადასხვა ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოებას. ამგვარი იყო ზემდგომი ინ-სტანციებიდან მოსული დირექტივები. ამ მოვლენებმა გზა გაუხსნეს ღვინის ფალსიფიკაციას, რომლის მასშტაბმა 70-იანი წლების შუახანებიდან არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

XX საუკუნის 80-90-იანი წლები ქვევრის წინააღმდეგ არნახული ბრძო-ლით გამოირჩევა. ამ პერიოდისათვის მუხის კასრი უკვე აღარ არსებობს ღვინის წარმოებაში, მხოლოდ კონიაკის წარმოებაშ შეინარჩუნა მუხის კასრი და ბუტი, თუმცა ეს ცალკე სასაუბრო თემაა. რამდენიმე წელი „სამტრესტი“

საკავშირო კვების მრეწველობის დაქვემდებარებაში გადავიდა, რამაც დადებითი როლი არ ითამაშა ქართული მეღვინეობის ტრადიციული იერსახის შენარჩუნების საქმეში. მეტროპოლია ითხოვდა მეტ სუფრისა და შემაგრებულ ღვინოებს, რასაც არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არმოქადანა, რასუცმო ჰყვა ფალსიფიკაციის ტემპისა და მასშტაბის გაზრდა, შედეგად შევიღეთ ის, რომ 1990 წლისათვის შემაგრებული ღვინოების ხვედრითი წლილი 75 % იყო. 200 წლის ნინ ქვევრების ნინაალმდევ ჩაფიქრებული ბრძოლა 80-იანი წლების ბოლოსათვის დასრულდა ქვევრების დამარხვით.

ეს დანაშაულებრივი ქმედება მოტივირებული იყო იმით, რომ ქვევრი არქაულია, დრო მოჭამა, რადგან მძიმე შრომას მოითხოვს. მაგრამ, რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, რამდენიმე წლის შემდეგ ევროპელებმა იწყეს საქართველოში ჩამოსვლა და ქვევრების შეძენა კახეთა და იმერეთში. დღეს ეს უცხოელი მეწარმეები ბიზნესს ატრიალებენ ჩვენს ქვევრებში ღვინის დაყენების ტექნოლოგიის გამოყენებით. მყისიერად იბადება კითხვა: ნუთუ უცხოელთათვის ქვევრი არ არის არქაული და შრომატევადი ჭურჭელი? განა თქვენ დაანტერესებთ ევროპელ მეწარმეს ისეთი ტექნოლოგითა და ტევადობით, რომელიც არარენტაბელური და არამომგებიანია?

ქვევრების უარყოფის ფონზე საქართველოში მასობრივად დაიწყეს ევროპული ტიპის ღვინის დაყენება ევროპული (ფრანგული, იტალიური, გერმანული) საფუვრებისა და სხვა დამხმარე მასალების გამოყენების საფუძველზე.

მსოფლიო მეღვინეობის მეტრი პროფესორი რიბერო-გაიონი თვლიდა (და ეს ჭეშმარიტება ყველა გამოცდილმა მეღვინემ იცის), რომ დაუშვებელია ერთი რეგიონის საფუვრების სხვა რეგიონში გამოყენება, მით უმეტეს ეს დაუშვებელი უნდა იყოს ისეთი მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და განსხვავებული ვაზის ჯიშების შემთხვევაში, როგორიცაა ევროპის ქვეყნები და საქართველო.

უცხოური მშრალი საფუვრის წმინდა კულტურის შემოტანა და მათზე რქანითელის, საფერავის, კახური მწვანის, ცოლიკოურის, ალექსანდროულის ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიაში ყოვლად დაუშვებელია. ეს საფუვრები არომატნარმომქმნელი ბუნებისაა და გათვლილია მოკლე დროში რეალიზებადი ღვინოების დასამზადებლად. ეს ჩვენი ღვინის წამოებისათვის მიუღებელია. ჩვენს პრაქტიკაში ამგვარი საფუვრების გამოყენება იწვევს ტყუპისცალებივით ერთგვაროვანი ღვინოპროდუქციის მიღებას სხვადასხვა მიქროზონაში, და თვით ერთი და იგივე ჯიშის ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქციაში. ამდენად გამორიცხულია ურთიერთგანსხვავებული, მაღალხარისხოვანი ღვინოების მიღების შესაძლებლობა, ყველა ზო-

ნისა და მიკროზონის ლვინო ერთმანეთის მსგავსია.. გვაქვს ჩეცნი ქირთული საფუარი? რასაკვირველია, გვაქვს. თითოეული ვაზის ჯიშისათვის თთეული წლების განმავლობაში გამოყენების საფუვრის წმინდა კულტურები ინახება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მიკროპოლოგის ლაბორატორიის საფუვრის კოლექციაში. ისე კი, კახური ტიპის ღვიძებისას დურდობის საფუვრის წმინდა კულტურის დამატების საჭიროება ზრა არსებობს, ბუნებრივ (და არა „ველურ“!) საფუვრებზე დადუღებული ღვინოები გამოირჩევა მდიდარი ჯიშური არომატით, ხილის ტონებით, ფენოლურ ნაერთა შეთანაწყობით ლვინის ერთიან ჰარმონიაში და დავარგებისას კარგად ვითარდება.

დღესაც არსებობს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების სამსახური – „სამტრესტია“, მაგრამ აჩრდილიც კი აღარ არის იმ ძველი „სამტრესტია“, რომელიც ყოველთვის იყო მაღალკავალიფიციური და მევენახეობა-მეღვინეობის დარგის პატრიოტებისაგან შედგენილი მოქმედი და ცოცხალი ორგანიზმი, დღევანდელი „სამტრესტი“ კი არაკომპეტენტური და უმოქმედო, უუნარო ორგანიზაციაა, რომელიც არა თუ მართავს და არეგულირებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგებს, არამედ მათი განვითარების ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება. რას უნდა ნიშნავდეს ისედაც შეჭირვებული ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფა კახეთში ვენახების გასაჩენად? მსგავს ფაქტს ალბათ ვერ მოიძიებს ვერავინ ვერც საქართველოს და ვერც სხვა ქვეყნის ისტორიაში. ეს გადაწყვეტილება სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისაგან დაფარულად იქნა მიღებული. გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ გაჩეხილ ვენახს ჩანაცვლებოდა ახალი ვენახი. მაგრამ რა იგულისხმება ახლით ჩანაცვლებაში? ვაზის ქართული ჯიშებით, თუ ევროპული ჯიშებით ჩანაცვლებას აპირებენ, ეს ბურუსითაა მოცული. ვენახების აჩეხვის გადაწყვეტილების აღსრულება „სამტრესტი“ ჰქონდა დაკისრებული, ჰოდა, აღასრულა კიდეც. მართალია, საზოგადოების აქტიური მოთხოვნით ეს პროცესი შეჩერდა, მაგრამ არავინ უწყის კვლავ როდის განახლდება ეს მზაკვრული ჩანაფიქრი. საქართველოში ევროპული ვაზის ჯიშების გავრცელებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ზოგიერთმა ევროპულმა ჯიშმა (კაბერნე სოვინიონი, პინო, ალიგოტე) ლოკალურად, მხოლოდ მცირე ფართობებზე დაიმკვიდრეს ადგილი, საზოგადოდ, მათ ვერ გაუნიეს კონკურენცია ადგილობრივი ვაზის ჯიშებს. ამდენად, ჩვენი მევენახეობის ევროპიზაციის ეს გზა მცდარია და უკვე პრობირებულია. ევროპული ჯიშები ადგილობრივ, ენდემურ ჯიშებს ვერ ჯობნის. განა „სამტრესტი“ არ ეხება უშუალოდ ის, რომ ხშირად ბოთლებში ჩამოსხმული ლვინოები არც არომატით, არც გემოთი და ტიპიურო-

ბით არ შეესაბამება ბოთლზე გაკრული ეტიკეტზე ალბეჭდილი დასახელება, მით უფრო, როცა საქმე გვაქვს საქვეყნოდ ცნობილი ღვინოების სახელებთან: „წინანდალი”, „ხვანჭკარა”, „ახაშენი”, „მუკუზანი”, „ქინძმარაული”, „კაზური ღვინო” და ა.შ. განა ყველა ამ ღვინოს გავლილი არა აქვს სამტრებოს ”საფუ-გუსტაციო კომისია? პირდაპირ უნდა ითქვას: საქმე გვაქვს არაუოშპეტურუ-რობასა და დაბალ კვალიფიკაციასთან, ჭეშმარიტი ღვინოების არმცნობ და არმცოდნე სპეციალისტებთან.

მეღვინე-სპეციალისტი, ისევე როგორც მისი ზემდგომი და პატრონი უნდა ცდილობდეს ადგილობრივ საფუვრის წმინდა კულტურებსა და ტექნო-ლოგიკზე დააფუძნოს თავიანთი ღვინის წარმოება. ეს ეხება როგორც უცხო-ელ ისე ქართველ მენარმეებს. მეღვინე მაშინ იქცევა ჭეშმარიტ ოსტატად, როცა შეძლებს ვაზის ჯიშს შეუქმნას შესაბამისი პირობები პოტენციური შე-საძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის. როცა, მაგალითად, სა-ფერავისაგან ან ალექსანდრეულ-მუკუზრეთულის ვაზის ჯიშების ყურძნისა-გან დაყენებულ ღვინოებს არა აქვთ არც ჯიშური შეფერვა, არც გემო და არც არმატი, მის დამყენებელს რა კვალიფიკაციას მიანიჭებდით? მოელედ რომ ვთქვათ, არ ჰქვია ამგვარ ღვინოებს ფალსიფიცირებული, მით უფრო, როცა ამგვარი ღვინოები ცნობილი მარკების სახელებს ატარებენ? ყალბი ღვინო მხოლოდ შექარ-წყლის, სპირტისა და სხვა ინგრედიენტების გამოყენებით როდი მზადდება? ყალბი, ანუ ფალსიფიცირებულია ყველა ღვინო, რომელიც არ შეესაბამება ეტიკეტზე ალბეჭდილ სახელს. „წინანდალს“ ასხამენ და „წი-ნანდალი“ არ არის, „ხვანჭკარას“ ასხამენ და „ხვანჭკარა“ არ არის, „საფერავს“ ასხამენ და საფერავი არ არის! წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) თქმისა არ იყოს, „ტყუილმა მართლაც სხვაგან ისე არ გაიდგა ფეხი, როგორც ჩვენებური ღვინის კეთების საქმეში. ის, რაც ხდება დღეს ჩვენში, მართლაცდა ღვინის კე-თებაა და არა დაყენება. უცხოელთა ხმას აყოლილი ქართველები, მართლაც „მჩვარში“ გვხვევენ და გვიმტკიცებენ, ეს თანამედროვე ტექნოლოგით დაყ-ენებული საუკეთესო ქართული ღვინოებია, ქართული მზისა და მიწის ბა-რაქააო. რა შეიძლება ეწოდოს ამგვარ ქმედებებს? რასაკვირველია „მჩვარში გახვევა“ და ოვალებში ნაცრის შეყრა, სხვა არაფერი! სავალალოდ, ჩვენი მეღ-ვინეობის სახე ნახევრადტკბილი ღვინოები – „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაულია“ რაოდენ მაღალხარისხოვანი და სასამოვნო დასალევი არ უნდა იყოს ეს ღვი-ნოები, ისინი დაუდებელი დაუმთავრებელი ღვინოებია და მათი ქართული მეღვინეობის დროშაზე გამოსახვა დეგრადირებული ცნობიერების შედეგია. სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ, როცა კახეთში ალექსანდროულსა და მუ-ჯურეთულს აშენებენ ხვანჭკარის დასამზადებლად. ვაზის უნიკალური კახუ-

რო ჯიშები და კახური ტიპის ღვინის დაყენების ტექნილოგია დაცისტებულია ვერ გაგვირკვევია, რა არის ნამდვილი სახე ჩვენი მეღვინეობისა იმიტომ, რომ „მჩვარში გახვეულები“ ვართ და ვეღარაფერს ვერ ვხედავთ და არცა გვსურს, დავინახოთ. მეღვინეობაში ახალი დროის შემქმნელთ „ნარმა-ფანაზუ კასრი აქვთ ისეთ უნიკალურ ღვინოებზე, როგორიცაა ტიბანის, წარაფის, რქანითელის კახური ტიპის ღვინოები. ქართული მეღვინეობის ეფრაიმი ციცის მესავურებსა ამის შეცნობის სურვილიც კი არ გააჩინათ.

90-იანი წლების შუახანებში O.I.V.-ს ერთ-ერთმა ფრანგმა ექსპერტმა ორი წელი იმუშავა აკურის ღვინის ქარხანაში, მას უნდა ესწავლებინა ქართველი მეღვინეებისათვის საფერავის ღვინის დაყენება. პარადოქსია, არა? მაგრამ მან ფიასკო განიცადა, ქართველმა სპეციალისტებმა მას პირდაპირ განუცხადეს: ქართველები ასეთ ღვინოს არ დალევენ, ეს არ არის საფერავიო. დღესაც, ქართველი სპეციალისტების უფროსმა თაობამ, რომელმაც კარგად იცის, რა არის ყალბი და რა არის ჭეშმარიტი, ხმა უნდა აღიმაღლოს იმ უმსგავსობების წინააღმდეგ, რაც ქართულ მეღვინეობაში ხდება, ხვალ ამის მთქმელიც აღარ იქნება და გვიანდა იქნება თითზე კპენანი.

ჩვენმი მავანნი გვიმტკიცებენ: კახური ტიპის ღვინოს ევროპელები არ მიიღებენ მათვის ეს მძიმე დასალევი იქნებაო. ეს მორიგი ტყუილა ჩვენს „მჩვარში გასახვევად“. მართლაცდა უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ უცხოელებს კახური ტიპის ღვინისადმი? არამც და არამც! მოვიხმოთ ფაქტები: 1972 წელს მიუწენის სახელმწიფო ქიმიური ინსტიტუტის დოქტორმა ალფონს პაჩიმ გერმანულ უურნალში გამოაქვეყნა „წარაფის“ კახური ტიპის ღვინის ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევის შედეგები. იგი წერს, რომ კახური ღვინო თავისი ორგანოლეპტიკური თვისებებითა და ქიმიური შემადგენლობით მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ჩვეულებრივი თეთრი ღვინოებისაგან, მასში დიდი რაოდენობით არის კატეხინები, სორბიტი და ბენტოზები, დუღილის მეორადი პროდუქტები – გლიცერინი და ბუთილენგლიკოლი, PP ჯგუფის ვიტამინები, მასში მცირე რაოდენობითაა უმაღლესი სპირტები. გამოირჩევა მაღალი ბიოენერგეტიკული, სამკურნალო და დიეტური თვისებებით.

2007 წელს ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრებში დაყენებული კახური ტიპის ღვინოს უმაღლესი შეფასება მისცა „ბადაგონის“ ფირმის იტალიელმა მესვეურმა, ბატონმა დონატო ლანატიმ. მან ქვევრში კახური ტიპის დაყენების ტექნილოგიას ზეენოლოგია უწოდა. ეს ღვინო გატანილ იქნა „ვინ-იტალის“ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მან ფურორი მოახდინა. განა სარწმუნო არ არის ეს ორი ფაქტი? რასაკვირველია, სარწმუნოა იმათვის,

ვისაც სურს ჭეშმარიტების გარკვევა და საკუთარი ფასულობების დაცვა -შენარჩუნება. მართებულად წერს წმინდა ილია მართალი: „რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან , სწორედ იგი ნაკლი ღრმებაა ჩვენი ღვინისა, და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო პარანასა; ხმირული ამ ღირსების წყალობით გაიხსნის“ და არა ევროპული ოვინის კეთებითა და უცხოეთში გატანით. რატომ არ სურთ კახური ტიპის ღვინის დაუნება და გატანა უცხოეთის ბაზარზე? ქართველთა შეზედულებით, ამას დიდი შრომა და კაპიტალი სჭირდება, საქართველოში მომუშავე უცხოელ სპეციალისტებს კი, ჩვენის აზრით, არ სურთ ძლიერი კონკურენტის გამოჩენა კახური ღვინის სახით საკუთარ ბაზარზე. ამიტომაც „გვხვევენ მჩვარში“ უცხოელი თუ შინაური ოსტატები, ეს არის და ეს. თუ ასე არ არის, მაშ რატომ ეტანებიან ჩვენს ქვერებსა და ჩვენს ტექნოლოგიას იტალიელი და სლოვენიელი მწარმოებლები?

დროა გონის მოვეგოთ, თორემ ჩვენეულ ქვევრსა და ტექნილოგიას უცხოელები გაითავისებენ და ჩვენ პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩებით. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ევროპიზაციას ეროვნული იერსახის საბოლოოდ წაშლისაკენ მივყავართ. მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარების სახელმწიფო პოლოტიკის არარსებობა ხელს უწყობს ამ მნიშვნელოვანი დარგების შემდგომ ნგრევასა და იავარქმნას. წმინდა ილია მართალი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს: „ვაზს ამ ბოლო ხანებში იმდენი სხვა ახალი ჭირი ზედ დაატყდა, რომ კაცს უნებლიერ ჰგონია, ხომ არ მოვიდა აღსასრულის დღე ვაზისაო წარმოუდგენელია, რამ-სიდიდე უბედურება დაგვატყდება თავს, თუ მართლა ჩვენს ქვეყანაში ამოწყდა ვაზი. მართალია, ჯერ ამაზედ ღვთის მადლით, შორსა ვართ, მაგრამ ჩვენის უთაურობის ამბავი რომ ვიცით, ამ სიშორესაც შევიმოკლებთ, რომ არას დავდევთ და ყველაფერი ღვთის ანაბრობაზედ მიგვიგდია. მაშ, რა კეთილი დაგვეყრება?“



ქართული დვინო ქართველება უდია და აყვინოს!



მგვარი მოწოდება მკითხველს, შესაძლოა პრეტენზიულიან გაზვადებული მოეჩვენოს, მაგრამ ამთავითვე ტრინიშავთ, რომ მევნეობა-
მელვინეობის ქვეყნების მელვინე-სპეციალისტებისა და მეცნიერებისათვის
აქსიომატურია ის ჭეშმარიტება, რომ ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპა-
ნურ ლვინობს ფრანგი, გერმანელი, იტალიელი და ესპანელი მელვინები
უნდა აყენებდნენ. იმ ქვეყნებში ამაზე არ დაობენ. წერილის სათაურიდან და
დასაწყისიდან მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ ჩვენში შესაძლოა სხვაგვარად
ფიქრობენ და სწორედ ამან გამოიწვია საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარი-
ტების შეხსენება. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით ყველა ასე
არ ფიქრობს, მაგრამ სამწუხაროდ უცხოელთა ხელშემყურეობის ტენდენცია
თანდათანობით იკიდებს ფეხს.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ქვეყნები და ხალხები მტკ-
დროდ დაახლოვა ერთმანეთთან და ურთიერთზეგავლენის ალბათობები სა-
გრძნობლად გაიზარდა. ამგვარი ზეგავლენის გაძლიერება პატარა ქვეყნები-
სთვის განსაკუთრებულად საშიში და საფრთხილოა, განსაკუთრებით კი ისე-
თი ტრადიციული მევენახეობა-მელვინეობის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც
საქართველოა, რამეთუ ჩვენი მევენახეობა-მელვინეობის გაევროპელების
რისკი საქართველოსთვის საკმაოდ მაღალია. რა დაცვის მექანიზმები აქვს
საქართველოს თანდათანობით რეალიზებადი გაევროპელების საფრთხისა-
გან? გამოკვეთილი პოზიცია და პოლიტიკა ჩვენში თითქმის არ არსებობს.
ვფიქრობთ, ორი რამ უნდა განაპირობებდეს დამცავი სტრუქტურის შემუ-
შავებას – პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი. მაგრამ ეს ორი უმთავრესი
პოსტულატი რამდენად არის განსხეულებული ჩვენს ყოფიერება-ცნობიე-
რებაში? პირდაპირ ვიტყვით, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან
მომდინარე სატკივარია. ჩვენთვის ეს არახალია, ძველია. წმინდა ილია მართა-
ლი არწმუნებდა და არწმუნებს დღესაც ქართველობას: „თითქმის არც ერთი
ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისალები
დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპიელ მე-
ცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ, რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენა-
ხობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის და ჩვენებური გლეხი ევ-
როპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ, რომ
ადგილის კაცია.“

ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი მეურნის გამოცდილებასა და პრაქტიკულ ცოდნას, რაც საუკუნეთა მანძილზე გროვ-დებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა დახვენილი ტრადიციების სახით. მევენახის საქმიანობას ხეხება თუ მეღვინისას, ილიაზენა პლაზმუა აყენებს ხოლმე „ადგილის კაცის“ – როგორც ფასდაუდებელი მუშაკისა და მიწის ფილ მესაიდუმლის პრიორიტეტს.

ილია ჭავჭავაძე სამეურნეო საქმიანობის წარმატების საწინდრად სწორედ ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინება და გამოყენება მიაჩნია. ჩვენ ვიცით, რომ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში მრავალი ევროპელი და რუსი მოხელე აქტიურ სამეურნეო საქმიანობას ენეოდა, მაგრამ ბევრი მათგანი, რომელიც უგულებელყოფდა ადგილობრივ გამოცდილებას, წარმატებას ვერ აღნევდა. ამის თაობაზე ილია წერდა: „რომელ ევროპელსაც თავის საქმიანობაში წინ არ წარუმძღვარებია ჩვენებური გამოცდილება და თავისი ჭკუით გაუშენებია ვენახი, მალევე ამოვარდნილაო.“ იმის გამო, რომ ჩვენში ზურგი შეაციის მაღალპროფესიონალ გამოცდილ კადრებს და მოხდა მათი ჩანაცვლება გამოუცდელი ახალგაზრდებით, რამაც ერთგვარი წყვეტა გამოიწვია თაობათა შორის, გამოცდილ პროფესიონალს არავინ უსმენს და არად დაგიდევენ მის გამოცდილებას. არადა, მევენახეობა-მეღვინეობა თავისი ბუნებით კონსერვატული დარგებია, სადაც ტრადიციების, გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჩვენში ეს არ შედგა. ამიტომ გამოცდილების შევსება ხშირად უცხოელებზე პასუხისმგებლობის დაკისრებით ხდება, არადა უცხოელ სპეციალისტს არასოდეს ექნება სურვილი და ინტერესი ჩასწვდეს ეროვნულ ტრადიციებს და მასზე დააფუძნოს თავისი საქმიანობა. ქართული ლვინო რომ დააყენო, ქართველი უნდა იყო. მკითხველი ნუ გაგვიგებს ისე, თითქოს ჩვენში არ არიან გამოცდილი და დარგის პატრიოტი სპეციალისტები, რომლებიც უფრთხილდებიან ქართული ლვინის ლირებას, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გაიტანეს ქართული ლვინი და საქამიანოდ წარმატებითაც, მათ დასახელებას მათივე ინტერესებიდან გამომდინარე აქ არ შევეცდებით, მაგრამ სამწუხაროდ მათი რიცხვი მცირეა. საერთო სურათის მიხედვით კი ქართული მევენახეობა-მეღვინეობა ასცდა განვითარების ტრადიციულ გზას და ადვილად ხდება მოძალებული უცხოური გავლენის მსხვერპლი.

ჩვენ, ქართველებს მადლობის მეტი რა გვეთქმის ევროპელი და ამერიკელი სპეციალისტების, ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც გვინვდიან დახმარების ხელს. დიდია მათი დაინტერესება ქართული ვაზის ჯიშებით და ლვინით, ვინაიდან საქართველო მიჩნეულია კულტურული მევენახეობისა და

მეღვინეობის აკვნად. მაგრამ ჩვენ თავად რას ვაკეთიპთ საიმისოდ, რომ ჩვენი ქმედება ადექვატური იყოს ამ დიდი ყურადღებისა? მსოფლიო ბანკის მიერ წამოწყებული ინსტიტუციური რეფორმა წლების მანძილზე წარმატებით ხორციელდებოდა მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში დღეს კი ამერიკელების მიერ შედგენილია ქართული მეცნიერება-მედიცინა-ბის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ქართველმა სპეციალისტებმა ძირითადად უარყოფითად შეაფასეს. ხოლო სამინისტროს ხელმძღვანელობამ ეს გეგმა თაროზე შემოსადებად გასწირა. მართალია ეს გეგმა არ იყო სრულყოფილი, არ ჩანდა მასში სტრატეგიული განვითარების ასპექტები, მაგრამ მართებულად იყო შეფასებული სამეცნიერო-სასწავლო სფეროების არსებული მდგომარეობა და ინსტიტუციური რეფორმების საჭიროება, განსაკუთრებით საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა ამ საქმეში. სამწუხაროდ, „გეგმის“ დადებითი მხარეებიც თაროზე იქნა შემოდებული. ამ დაწუნებული პროექტის შედგენაში რომ სოლიდურ თანხას გადაუხდიდა უცხოელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეჭვგარეშეა. საინტერესოა, რას ემყარება არჩევანი იმ ადამიანებისა, რომლებსაც ესოდენ სერიოზული პროექტის შედგენას ვანდობთ? უნებლიერ გვახსენდება, თუ რა ბედი ენია „Tasis“-ის მიერ 1993-94 წლებში შედგენილ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამას. ეს პროექტი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სერიოზული განხილვის გარეშე ასევე დაინუნა. სოლიდური თანხა მაშინაც უშედეგოდ დაიხარჯა. მევენახეობა სოფლის მეურნეობის განუყოფელი და ორგანული ნაწილია, მთლიანი ორგანიზმის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. მაშინ, როცა სოფლის მეურნეობა დაძაბუნებულია და ფეხზე ვერ დგება, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მისი ერთი ნაწილის გამოცოცხლება და გაჯანსაღება? ჯერ სოფლის მეურნეობა უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის ობიექტი, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სოფლის მეურნეობისა და კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინებისათვის რეალური გზების გამოძებნა. მაგრამ ჩვენი გულისტკივილი იმაშია, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს ქართველები არ თავობენ. ჩვენი პრობლემები, ჩვენი სატკივარი, ჩვენი ტრადიციები განა ჩვენზე მეტად ამერიკელმა იცის? ვერც ერთ უცხოელს ვერ ექნება მევენახის ის გენეტიკური კოდი, რომელიც ქართველ მევენახე-მეღვინეს აქვს. ეს ყველაფერი რომ გაგაჩნდეს, ქართველად უნდა დაიბადო, ქართულ წიაღში აღმოცენდე და შენი, ათასნერების ჩამოყალიბებული ვაზი შვილივით უნდა გიყვარდეს. ჩვენ, სამწუხაროდ, დავკარგეთ ინიციატივა, „ადგილის კაცის“ ფუნქცია და სხვადასხვა ინტერესებით მოსული უცხოელი

საითკენაც სურს, იქითკენ მიგატრიალ-მოგატრიალებს. ჩვენ კი მცონარობის განცხრომაში ვიმყოფებით.

ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის მტკიცებული თემაა „კანონი ვაზისა და ლვინის შესახებ“, რომელიც 1998 წელს დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტმა. მას შემდეგ ათ წელზე მეტმა განვდღო, მაგრამ თითქოსთა ძალაში შესული კანონი უილაჯო გამოდგა, კანონის მოთხოვნებიარსულდება, გარდა და ამისა, ამ ათი წლის განმავლობაში ვისაც როგორ მოესურვა, ისე შეცვალა, გადააკეთ-გადმოკეთა კანონის მუხლები. საბოლოოდ მივიღეთ ის რომ, კანონში დაფიქსირდა ერთმანეთის გამომრიცხავი პოზიციები და მოთხოვნები, რაზედაც სხვათა შორის, სამართლიანად მიუთითებენ „სტრატეგიული განვითარების გეგმის“ შემქმნელი ამერიკელი სპეციალისტები. ამავე დროს კანონში დაშვებულია ჩვენი მეღვინეობისათვის მიუღებელი, ყოვლად გაუმართლებელი მოთხოვნები და პარამეტრები. ასე, მაგალითად, კანონში თავდაპირველადვე იქნა დაშვებული სუფრის ლვინისათვის მოცულობითი სპირტშემცველობის ქვედა ზღვარი – 9 მოც.-% - ოდენობით. ამ სპირტშემცველობის ლვინის მისაღებად ყურძნის შაქრიანობა უნდა იყოს 15.0-15.5 %, რაც ხარისხოვანი ლვინობის მქონე ქართული მეღვინეობისათვის ნონსენსია. სად იკრიფება საქართველოში 15 %-იანი შაქრიანობის დროს ყურძენი, თუკი დაიკრიფა კიდეც, ყურძენი არაკონდიციური იქნება და მისი გადამუშავებით მიღებული ლვინო კი ასევე არაკონდიციური და უხარისხო დადგება.

წყნარი ლვინობისათვის დასამვები საქართვის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს, ახალი ნორმით, 6 გ/ლ-ს. რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართვის ზღვრული შემცველობის დამდგენი და დამამტკიცებელი ნაკლებად ერკვევა ან საესებით არ იცნობს ლვინის ქიმიურ შემადგენლობას. საქართვის ამ ნორმის დადგენა მოასწავებს საქართვის გამოყენების ალბათობის ზრდას ფალსიფიცირებული ლვინობის დასამზადებლად.

დაყვანილი (უშაქრო) ექსტრაქტის შემცველობის მინიმალურ ზღვრად დადგენილია 15 გ/ლ. გაუგებარია ექსტრაქტის შემცველობის ზღვრული მაჩვენებლის ესოდენ შემცირება. ქართული მეღვინეობისათვის ეს ნორმა ძლიერ დაბალია და შესაძლოა ფალსიფიკაციის ხელშემწყობ ფაქტორად იქცეს. გარკვეულ ეჭვს იწვევს აგრეთვე აქროლადი მუავიანობის შემცველობის მეტად დაბალი მინიმალური რაოდენობა – 0.12 გ/ლ.

47 წლის ნინ საქართველომ უმასპინძლა მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესს, იმხანად ბევრი ჰქონდა საჩვენებელი საქართველოს და ლვინო ლვინობდა კიდეც, 2010 წელს საქართველოში ტარდება მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიო კონგრესი. ამ ხნის მანძილზე ქართულმა

მეცნიერება-მელვინეობამ კატასტროფა განიცადა, რა უნდა ვაჩვენოთ დღეს მაღალი რანგის უცხოელ სპეციალისტებს, გაპარტაზებული და შოკში მყოფი მეცნიერება-მელვინეობა, უილაჯო მეცნიერებებისა და უმოძრო ლვინით სავსე საწარმოები თუ ფრთებშეავეცილი, ქონებაზართმეული და დამუცრობილი ეროვნული სამეცნიერო ცენტრი – მებალეობის, მეცნიერეობისა და მელვინეობის ინსტიტუტი, გაუქმებული ვაზისა და ლინისის სტორიულ-ეთოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმი თუ გაყიდული მეცნიერება-მელვინეობის თელავის საცდელი სადგური? გავერანებული, აჩეხილი ხეხილისა და ვაზის ვაშლაჯვრის ექსპერიმენტული ბაზა, სადაც გენოფონდის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით გაშენებული იყო ქართული ვაზის გენოფონდი – 400-მდე აბორიგენული ვაზის ჯიშით, დღეს აღარ არსებობს არც ბაზა და არც ვაზის კოლექცია. არის კი მზაობა იმისა, რომ მებალეობის, მეცნიერეობისა და მელვინეობის ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალი ღირსეულად იქნას ნარმოდგენილი ვაზისა და ლინისის საერთაშორისო კონგრესზე?

ქართული მელვინეობის უმტკივნეულესი საკითხია სიახლეთა უკონტროლო შემოტანა და ხმარება ლვინის ნარმოებაში, მათ შორის ხაზგასას-მელია საფუვრის წმინდა კულტურები, ენზიმური პრეპარატები, დამწმენდი საშუალებები, ექსტრაქტები და სხვა მასალები. ჩვენში ბევრს ჰგონია, რომ რადგან პრეპარატი უცხოურია, ის აუცილებლად კარგი იქნება და იყენებენ მასობრივად ყოველგვარი შეფასებისა და შემონმების გარეშე. უცხოურმა (ფრანგულმა, გერმანულმა, იტალიურმა) საფუვრის წმინდა კულტურებმა დაუკარგა ჩვენს ლვინოებს ჩვეული, ორიგინალური არომატი და გემო, რამაც ჩვენს მომებარებელს დაუქვეითა ჭეშმარიტი ლვინის შეცნობისა და შეფასების უნარი. დღეს ერთგვარ მოდად იქცა ლვინის დაყენების ევროპული წესების შემოტანა და დანერგვა. ასე გასინჯეთ, აკაციის კასრებშიც კი ავარგებენ ქართული ვაზის ჯიშების ყურძნისაგან მიღებულ ლვინოებს, ვითომდა მათი გაკეთილშობილების მიზნით. ამგვარი მცდარი გზა ჩვენში უკვე გამოვლილია. გ. ი. ლენცი 1836-1846 წლებში ასევე ცდილობდა გაეკეთილშობინებინა რქანითლის, კახური მწვანის, მცვივანის ლვინოები და მათში ურევდა ევროპული მუსაკატური ჯიშების ყურძენს, მაგრამ ის რუსი მოხელე იყო და როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ ჩასწვდა ქართულ სინამდვილეს და ვერ გაერკევა ამგვარი ქმედების უაზრობაში. მაგრამ ქართველებს რა გვემართება? სწორედ ამაზეა ნათქვამი: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა მაჟალოსო“.

როცა წმინდა იღია მართალი ქართულ სინამდვილეში ევროპულ სიახლეთა გადმოტანის საჭიროებაზე ლაპარაკობდა, იგი ორ ასპექტში განიხილა - ვდა ევროპელ მეცნიერთა საქმიანობას: 1. გადაჭრით უარყოფდა მათს ცდებს

ყურძნის ღვინოში გარეშე ნივთიერებების შეტანის თვალსაზრისით, რასაც გაყალბებად, ფალსიფიკაციად თვლიდა. ამდენად ეს მხარე ევროპულ მეცნიერთა მოღვაწეობისა ქართული სინამდვილისათვის მიუღებლად მიაჩნდა.

2. დადებითად აფასებდა ევროპულ მეცნიერთა იმ მიზნებსა, რომელთა დანერგვა ჩვენში გაამარტივებდა და გააიოლებდა სასოფლო-სამეურნო ორგანიზების წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს „შეამსუბურებდა უმუალო მნარმოებლის, მინათმოქმედის შრომას და ეფექტის გახდიდა სასოფლო-სამეურნო წარმოებას. სწორედ ამ თვალთახედვით აკრიტიკებდა წმინდა ილია მართალი უცხოთა ბრმად მიბაძვის ტენდენციას აყოლილ ჩვენებურ მეცნიერებს. როგორც წმინდა ილია მართლის დარიგებებიდან ვგებულობთ, წარმატებული სამეურნეო საქმიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია მცოდნე და გამოცდილ ადამიანებს, „ადგილის კაცებს”, უცხოურ სიახლეთა გონივრულ გამოყენებას.

ქართულ მინათმოქმედებაში სიახლეთა შემოტანის მსურველთ ილია აფრთხილებდა, რომ ზედმინერნით შეესწავლათ და გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი მინათმოქმედების გამოცდილება, დაკვირვებოდნენ, როგორ ბუნებასა და ხალხთან ჰქონდათ საქმე და ამის შემდეგ აენონ-დაენონათ თავიანთი განზრააჭვისა და სურვილის განხორციელების მიზანშენონილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში „ერთ ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამენ”.

სამწუხაროდ, წმინდა ილია მართლის დარიგებები დარჩა „ხმად მღალა-დებლისა უდაბნოსა შინა.”

გამოქვეყნებულია გაზეთ „ბანკები და ფინანსებში”
2009 წლის 24-30 მარტი, №10 (186)





ქვევრი ამფორა არ არის!

დავიცვათ ჩვენი ეროვნული საგანძურო

აიუხედავად იმისა, რომ ქვევრი კავკასიის რეგიონში ოდითგანვე გავრცელებული იყო როგორც ღვინის დასადუღებელი და შესანახი ჭურჭელი, ის მეზობელ ხალხთა ენაში ქართულიდანაა შესული. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვევრი საკუთრივ ქართული მოვლენაა. ქვევრის არქაულობას საქართველოში ადასტურებს შულავერის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ყურძნის მტევნების სტილიზებული გამოსახულებით შემჯული თიხის დერგი (**VI-V** ათასწლეული ძვ. წ.). ყურძნის მტევნებით შემკული თიხის დერგისა და თიხის ჭურჭლის ნატებზე აღმოჩენილი ნითელი ღვინის ნაშთი მეტყველებს იმაზე, რომ **VI-V** ათასწლეულებში (ძვ. წ.) დერგი საღვინე ჭურჭელი იყო. ეს დერგი უნდა იყოს პირველსახე ქვევრისა და ამფორისა. დერგისა და ნითელი ღვინის ნაშთები ნეოლიტური, ნარლვნამდელი პერიოდისაა, იგი პროტობერიული, ანუ მედიტერანული კულტურის ნაშთია, ხოლო ამფორა წარლვნისშემდგომ პერიოდში უნდა იყოს შექმნილი. და ის კლასიკურ, ანტიკურ ჭურჭლად არის ჩამოყალიბებული.

ბრტყელირიან ამფორასთან ერთად ევროპის ტერიტორიაზე (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი) გავრცელებული იყო უყურო, წაწვეტებულძირიანი ამ-

ფორებიც. და ზოგიერთ ადგილას ამგვარი ამფორები დღესაცაა შემონახული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ამფორები ზეთის სახდელ ნარმოებაში მოიხმარებოდა, მასში ზეთს ასხამდნენ. ამფორები მოიხმარებოდა, აგრეთვე, როგორც ლვინის შესანახი და გადასატანი საშუალება ხოლო ქვევრს უთ-გორც ყურძნის დურდოს დასადუღებელ და დასავარგვებელ ჭურჭელს საქა-რთველოში უძველესი დროიდანვე მოიხმარდნენ. ქვევრი ამფოროსაგან იმი-თაც განსხვავდება, რომ მას ყელის გარშემონერილობა უფრო ფართო აქვს, რაც თავსახურის მჭიდროდ დაფარებასა და ლვინის დავარგების პროცესში ქვევრის ჰერმეტულობის შექმნას განაპირობებს. სიტყვა — „ქვევრი“ თავად ქართულ სამყაროში წარმოქმნილი ტერმინია. თვით სახელი მიგვანიშნებს იმას, რომ ის განკუთვნილი იყო მინაში დასაფლავად, რაზედაც მეტყველებს სიტყვა „ქვევრი“-ს პირველი სამი ასო — ნიშანი: „ქვე“. ის მიანიშნებს მოქ-მედების შედეგს, ანუ ქვევრის მინაში დაფლავას. ა. ცინცაძის მოსაზრებით შემდეგი ორი ასო — ნიშანი მთავარია. „ვ“ ასომთავრულის მექქვე ასო — ნი-შანი „ვინ“-ი ადამიანის აღმნიშვნელია (ამიტომაც ადამიანზე ისმის კითხვა: ვინ?), ხოლო „რ“ — მზის ღმერთის — „რაე“-სა პორკოფია. სიტყვაში მოცემუ-ლი მზის, ღმერთისა და ადამიანის ერთობა სემანტიკურადაც იმდროინდელი იძერილისთვის ქვევრის სარიტუალო სიმრავლეში უნდა მოვიაზროთ.

რაც შეეხება სიტყვას — „ქვევრი“, იგი მისი საყოფაცხოვრები რიტუალ-ური დანიშნულებიდან მომდინარე, იძერიული მისტერიული სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი არსის მატარებელი სიტყვა უნდა ყოფილიყო. ამიტომაც სავარაუდოდ ეს სიტყვა ათეულამდე დამრგვალებულ რიცხვულ არსა უნდა იძლეოდეს. სიტყვის მთლიანი რიგითი ჯამია — 60. იგი მართლაც 10 ჯერადი რიცხვია. „6“ ადამიანის რიცხვია, ხოლო „0“ ბოლოში ლვთიურ თვისებრივ ცვ-ლილებას გვაჩენებს. ქვევრი მიგვითითებს ობიექტზე, რომელიც ადამიანური წარმოშობისაა და ლვთიური თვისებრივი ცვლილებების შემძლეა. ამგვარად, ქვევრის მთელი ტექნოლოგიური შესაძლებობები სიტყვის სემანტიკურ არს-შია ჩადებული. ჩევნი მოსაზრებით, ქვევრში კახური ტიპის ლვინის დაყენების ტექნოლოგიაში განსრულდება მსოფლიო კანონზომიერული მოვლენა: ქაოსი-საგან წარმოშობა წესრიგი. ქვევრში ყურძნის ჩაჭყლეტვა და ალკოჰოლური დუღილი ქაოსია, რომელშიც ადამიანი აქტიურად მონაწილეობს, ხოლო შემდ-გომად მყარდება აბსოლუტური წესრიგი — ახლადნარმოქმნილი ლვინის დან-მენდისა და დავარგება-სრულყოფის პროცესი, რომელიც ადამიანის ხელისა და თვალისაგან დაფარულად, ღმრთის ნებით ხორციელდება. სიტყვა „ქვევრ-ი“-ს ორი ასონიშანი — „ვრ“ სწორედ ამ ორი მოვლენის მთლიანობის, ერთობის დაქარაგმებული, გასიმბოლობული გამოხატულებაა. ქვევრი (ჭური) დღესაც

მოქმედი საღვინე ჭურჭელია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ქვევრის განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოჩენილია ვახური ტიპის ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიაში, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ტერმინ - „ქვევრის“ დამკვიდრება სხვა ენტეზი, გრძელებულობრივი კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენტეზი.

სამწუხაროდ, უკანასკნელ 10 წლეულებში საქართველოში საგომბობია ერთგვარი ნიჰილიზმი და უარყოფითი დამოკიდებულება ქვევრისადმი, თუმცა ამგვარი პოზიცია ქვევრის მიმართ არახალია, ძველია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20 წლებიდან იღებს სათავეს ქვევრის იგნორირების ტენდენცია. 1828 წელს შ. გამბა ახმანებდა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიზანდასახულებას — შეცვალა მევენახეობა-მეღვინეობის (და არა მხოლოდ ამის!) ადგილობრივი, ტრადიციული წეს-ჩვეულებები და მიუხედავად იმისა რომ აღიარებდა კახური ღვინოების მაღალ ხარისხს, აღნიშნავდა, რომ ქვევრები სამომავლოდ უნდა შეცვლილიყო კასრებით და საზოგადოდ, ადგილობრივის სანაცვლოდ უნდა დამკვიდრებულიყო ევროპული ტექნოლოგიები. ამგვარი პოლიტიკა ქვევრის მიმართ არც XX საუკუნეში არ შეცვლილა, განსაკუთრებით გაძლიერდა ჩვენში ეს პროცესი 60 წლებიდან, 80 წლებში კი კულმინაციას მიაღწია. ქვევრები მიწით ამოავსეს მეღვინეობის საწარმოთა მარნებში. ცდილობდნენ, დაენერგად მოსაზრება, რომ ქვევრი თურმე ანტისანიტარიისა და სიბინძურის წყარო იყო. მაგრამ მოხდა ყოვლად მოულოდნელი რამ, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ევროპელი მენარმეები ძლიერ დაინტერესდნენ ქვევრით, ზოგიერთმა მათგანმა ათეულობით შეიძინა კახური და იმერული ქვევრები და საკუთარ ქვეყნებში დაიწყეს საქვევრე მარნების მოწყობა და ქვევრში ღვინის წარმოებას ჩაუყარეს საფუძველი.

ჩვენში ქვევრის იგნორირების მედავენი ცდილობენ თავიანთი პოზიციის დასაბუთებას იმით, რომ ქვევრი მეტად შრომატევადი და ამდენად ნაკლებად ეკონომიკურია. ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ კი ქვევრი ქართველი მენარმისათვის მიუღებელია მისი ე.წ. უარყოფითი მხარეების გამო, როგორ გახდა ქვევრი უცხოელი მენარმეებისათვის, როგორც ერთობ პრაგმატული მეურნისათვის, მომგებიანი და რენტაბელური?

სწორედ ერთ-ერთი ევროპელ მეურნეთაგანია ბატონი იოშკო გრავნერი — იტალიური ღვინის ბრენდის — „გრავნერის“ მფლობელი, რომელმაც რამდენიმე წლის ნინ საქართველოში, შეიძინა ქვევრები და იტალიაში მოაწყო საქვევრე მარანი, რის შესახებაც მკითხველს აუწყა გაზეთმა — „ქვევრმა“ 2009 წლის იანვრის ნომერში. ქვევრის ევროპაში გატანის ფაქტი ჩვენთვის სასიამოვნო და საამაყოც უნდა იყოს, რამე თუ ეს მოვლენა ქართული ქვევრის

უნიკალურობასა და უნივერსალურობის დამადასტურებელია, მაგრამ ამ პუბლიკაციაში რომლითაც ბატონ — გოგა დაქიმვილის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე მოამზადა უურნალისტმა მაიკო კაციტაძე ცოტა შეგვაფიქრიანა, არასასიამოვნო ფიქრები წარმოგვიჩინა. ჩეუნიკეშვილთვის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ევროპაში გატანილი ქვევრის სახელი პირველივე შემთხვევისთანავე დაიკარგა და იტალიაში ამფორად ექნა წოდებული. უფრო მეტად სამწუხაროა ის, რომ გაზეთი „ქვევრი“ ქვევრს ამფორად მოიხსენიებს. ქვევრი ამფორა არ არის. აკაკი გელოვანის მიერ გამოცემულ „მითოლოგიურ ლექსიკონში“, რუსულ ენაზე გამოცემულ „მევენახეობის ენციკლოპედიაში“ (ტ. 2) და იტალიურ ენაზე გამოცემული „ვაზისა და ღვინის ენციკლოპედიაში“ ამფორა განმარტებულია, როგორც (ორმაგსაზიდი, ორყურა), ორსახელურიანი მსხვილი ჭურჭელი ვაზების ტიპისა, თიხის ძეირფასი ნანარმი, მოხატული ან უსურათო, ხშირად ორნამენტიანი თიხის, ხის ან ლითონისა . . . ზეთის, ღვინის ან თხიერის სათავსო (საწყაოცაა 40 ლიტ-რამდე). ამასთანავე, ამფორა ზოგიერთ შემთხვევაში ბრტყელძირიანი, ქვევრი კი წანვეტებულბოლონიანია. როგორც ეხედავთ, ამფორა თავისი აგბულებითა და დანიშნულებით მკვეთრად განსხვავდება ქვევრისაგან. მაშ, რატომ უნდებს პუბლიკაციის ავტორი საქართველოში დამზადებულ ქვევრებს ამფორებს? ქვევრი ქართული სიტყვა და ის ასევე მოიხსენიება სპეციალურ ლიტერატურაში. შემდეგ ავტორი გვამცნობს, რომ თურმე ბატონ გრამნერის საქმიანობა ქვევრებთან დაკავშირებით „მივიწყებული ტრადიციების კვლავ მიგნებას ჰგავდა.“ გაუგებარია რომელი მივიწყებულ ტრადიციების კვლავ მიგნებაზეა ლაპარაკი, მაშინ, როცა იტალიელმა რამდენიმე წლის წინ შეიძინა ქართული ქვევრები და ხელი მიჰყო ქვევრში ღვინის დაყენებას?

პუბლიკაციის ავტორს რატომლაც მიაჩინა, რომ ქვევრი და თიხა რომლისგანაც დამზადებულია ეს ჭურჭელი, კავკასიურია, ხოლო ეს კავკასიური თიხა თურმე „კეთილშობილი თიხა ყოფილა“, არსებობს კი „თიხა კეთილშობილი?“ ყოველივე ეს იმ შემთხვევას გვაგონებს, როცა ქართული ნაგაზი ჯერ კავკასიურ ნაგაზად, შემდეგ კი მოსკოვურ ნაგაზად მონათლეს. რას მოასწავებს „ქართულის“ „კავკასიურით“ შეცვლა? ყველაფერს კონკრეტული ადგილის სახელი უნდა ეწოდოს. როგორ უნდა მივიჩინოთ ქვევრი ზოგადკავკასიურ სახელად, მაშინ როცა ქვევრში დაყენებული კახური ტიპის ღვინის ბადალს საქართველოს გარდა ვერსად ნახავთ.

ის ფაქტი, რომ კახეთი და იმერეთი კავკასიაში მდებარეობს, ხომ არ მოასწავებს იმას, რომ აქ მოპოვებული თიხა და მისგან დამზადებული ქვევრი კავკასიურად მოვნათლოდ? გაუგებარია, რა მიზანი ამოძრავებს გაზეთ

„ქვევრს”, მაშინ როცა ეს გაზეთი პირველი დამცველი უნდა იყოს ჩვენი სა-
განძურის — ქვევრის სახელისა. მკითხველისთვის, ალბათ, საიმტერესო იქნე-
ბოდა იმის განმარტება, თუ როგორი ტექნოლოგიით მიმდინარეობს იტალიაში
დუღილი ქვევრში, სრულ თუ ნანილობრივ ჭაჭაზე, კურატიონთუ უფლებულობა.

შესაძლოა, ყურადღება არც კი მიგვექცია გაზეთ „ქვევრის” ცურავკა-
ციისათვის რომ არა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემობა. საკითხი ესება
ქვევრის როგორც იშვიათი და სრულყოფილი ტექნილოგიური ჭურჭლის სახ-
ელნოდების შენარჩუნება-დაცვას ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით, ქვეყ-
ნის გარეთ.

ქვევრის უცხოეთში გატანის პირველივე შემთხვევაში მას უნდა გაჰყვეს
თავისი საკუთარი სახელი, თუ კი რუსულმა ენამ შეითავსა და ქართული ტრან-
სკრიფციით დაამკვიდრა რუსულ ენაში ეს სიტყვა, ქვევრის სახელის გაშინაუ-
რება არც ევროპულ ენებს არ გაუჭირდებათ. ამგვარი პრიორიტეტულობისა
და პრესტიულობის დამცველი უპირველესად უნდა ვიყოთ ჩვენ, ქართველე-
ბი. ქვევრი ჩვენი მატერიალური კულტურის დიდი საგანძურია და მისი სახე-
ლის ევროპული სახელით შეცვლა ყოვლად შეუწყნარებელია, ქვევრის სახელი
ისევე უნდა დამკვიდრდეს ევროპულ და სხვა კონტინენტის ენებში როგორც
ეს მოხდა რუსულ ენაში.

თუკი ფხიზლად არ ვიქწებით, დავკარგავთ არა მარტო ქვევრს არამედ
ქართულ ტექნოლოგიებსაც და ალარაფერი შეგვრჩება ხელში. ხომ გაგიგო-
ნიათ: „უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონენო”. ყურები გამოვიბერ-
ტყოთ, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის!

და ბოლოს იმასაც ალვნიშნავთ, რომ მეღვინეობის საკითხებზე წერა არ
არის აგრე მარტივი და სალალობო საქმიანობა, რამეთუ ამ საქმეს მაღალი
პროფესიონალიზმი, დახვეწილი წერის კულტურა იმის ცოდნა სჭირდება, რომ
მევენახეობა-მეღვინეობის ინტერესების დაცვა ჩვენი ქვეყნის სახელისა და
პრესტიულობის დაცვაცაა!

გამოქვეყნებულია გაზეთ „ბანკები და ფინანსებში”
2009 წლის 27 მაისი, №17 (193)

პირველი ერთხული სუფრის ფენომენზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან და საღლეგრძელოს შესახებ



ოცა ქართული სუფრის ფენომენზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ტრადიციული და დღევანდელი სუფრის რიტუალისა-რამდენადაც ეს უკანასკნელი დეგრადირებული ფორმით და შინაარსით კარ-დინალურად განსხვავდება ტრადიციული ქართული სუფრის რიტუალისა-გან. თუმცა აქვე ალვნიშნავთ, რომ ამგვარი გადახრები ტრადიციულისაგან, ყოველთვის როდი გვხვდება ჩვენს ყოფიერებაში. ამგვარმა მდგომარეობამ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს მისცა საბაბი ქართული ტრადიციული სუ-ფრის წესების განქიქებისა და დაკნინებისა. ამგვარი ნიჰილისტური მიდგომა გამომეუღლავნდა ჯერ კიდევ 2000 წლის 8 აგვისტოს ჩატარებული დისკუსიის დროს. რასაც წინ უძლოდა 90-იანი წლების მიწურულს გაზეთ „არილში“ ბა-ტონ ლ. ბრეგაძის მიერ გამოქვეყნებული წერილები. შემდგომში დისკუსიის მასალები დაიბეჭდა წიგნ-ბროშურაში: „ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც გამოსცა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითა-რების ინსტიტუტიმა“, ამ ლონისძიებების ინიციატორი ბატონი გია ნოდია იყო.

ამ გამოცემის ძირითადი მიზანდასხულობა ის გახლდათ, რომ დაერნ-მუნებინა მკითხველი: ქართული სუფრა არ არის უძველესი ტრადიციული ფენომენი და სადღეგრძელო ქართულ სუფრაზე საქართველოში რუსების დამკვიდრების შემდეგ გაჩნდა, ანუ ქართველებმა სადღეგრძელო XIX საუკუ-ნემდე არ ვიცოდით. ამგვარი მიდგომა, ბუნებრივია, ეჭვევეშ აყენებს თამადის ფუნქცია-მოვალეობებსა და როლს ქართულ სუფრაზე.

ყოველგვე ზემოაღნიშნულ ჩვენ გამოვხმაურეთ გაზეთ „ახალ ერაში“ (2001 წ., 13-16 თებერვალი) გამოქვეყნებული წერილით: „როცა ეროვნულ ტრადიციებს ნიჰილიზმის თვალით ვუმზირთ“, რომელიც შემდგომ შევიდა 2002 წელს გამოცემულ წიგნში: „ხმა მღალადებლისა“.

ლიტერატურული და ბიბლიური წყაროების მოშველიებით, ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხი გავეცით ქართული სუფრის ტრადი-ციების განმაქიქებლებს, ამდენად ალარ მიგვაჩნდა საჭიროდ, კვლავ მივბრუ-ნებოდით ამ თემას, რომ არა სულ ახლახანს ტელეკომპანია – „რუსთავი-2“-ის ეთერით გაუღერებული კიდევ ერთი მცდელობა კვლავ დაეკნინებინათ ქარ-თული სუფრის ტრადიციები. ძირითადი აქცენტი ამ შემთხვევაშიც ქართულ სადღეგრძელოზე გაკეთდა. ალბათ, ამჯერად, თავს შევიკავებდით გამოხმაუ-რებისაგან, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. უკანასკნელი თერთ-

მეტი წლის განმავლობაში ცხოვრების ასპარეზზე არაერთი თაობა გამოიყოდა. მათი ძირითადი თუ არა, რაღაც ნაწილი ხომ უყურებს და უსმენს ტელუკომპანია – „რუსთავი-2“-ის გადაცემებს, ჰოდა, ეს ეთერი გახლავთ სწორედ ეროვნული ტრადიციებისადმი ნიჭილისტური დამკუიდებულების ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალება, მით უფრო, თუ ამაზ საზოგადოების „ავტორიტეტული“ ნარმომადგენლები ქადაგებენ.

საიდან გაიგებს ცხოვრების ასპარეზზე ახალფეხშემოფენებული ახალგაზრდა კაცი ჭეშმარიტი ტრადიციების შესახებ, როცა დღევანდელი სუფრის რიტუალი, (ჭირისა და ლხინის დეგრადირებულია, თალხი თუ სალხინო სუფრა დღეს თითქმის აღარ განსხვავდება ერთმანეთისაგან. დაკნინდა სუფრის ზნეობრივ-ეთიკური მხარე და ადგილი კუჭის ფსიქოლოგიამ, გართობისა და უგვანო ჭამა-სმის ასპარეზად გადაიქცა). და აი, სწორედ აქ არის საჭირო შეძახილი. ქართული სუფრის ტრადიცია სიცრუეა, მოგონილია და სადღეგრძელოც კი არ ვიცოდითო ქართველებმა.

ჩვენ ბოდიშს ვუხდით მკითხველს იმისათვის, რომ დაგვჭირდა ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს მითითება და ერთგვარად გამეორება ერთხელ უკვე ნათქვამისა.

მაშ, ასე, იცოდნენ თუ არა საქართველოში სადღეგრძელო?

იმის დასასაბუთებლად, რომ სადღეგრძელო არ არის ქართული სუფრების უძველესი ტრადიცია და ის სულ რაღაც ორ საუკუნეს თუ ითვლის, „რუსთავი-2“-მა მოაწყო გადაცემა, რომლის წამყანა-უურნალისტს კვესელაძეს რესპონდენტები სამ კატეგორიად ჰყავს წარმოდგენილი: მეცნიერები, სუფრის ექსპერტები და სუფრის წევრები. ალბათ სუფრის მთავარი ექსპერტის კატეგორიაში ბატონი გ. ნოდია მოიაზრება, მაგრამ ის ხომ პოლიტოლოგის ტიტულით არის წარმოდგენილი? არსებობს კი „სუფრის ექსპერტის“ ტიტული და ნეტავ რა ნიშნით ენიჭებათ ადამიანებს „სუფრის ექსპერტი“-ს წოდება?

საესებით მართებულად მიგვაჩნია მეცნიერი ისტორიკოსების ქალბატონ ხათუნა იოსელიანის და ბატონ გიორგი გოცირიძის შეფასებები ქართული ტრადიციული სუფრისა და სადღეგრძელოების შესახებ, რაც შეეხება გადაცემის მონაწილე ისტორიკოსს იგორ კვესელავას, იგი არსებითად არაფერს ამბობს სუფრის, თამადის და სადღეგრძელოს უძველეს ტრადიციებზე.

პოლიტოლოგ გ. ნოდიას მიაჩნია, რომ სადღეგრძელო და ზოგადად ქართული სუფრის ტრადიცია არ არის უძველესი მოვლენა, ის მე-**XIX** საუკუნეში იღებს სათავეს, ხოლო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს – პროფესორ ავთანდილ არაბულის დასკვნით სიტყვა სადღეგრძელო საქართველოში მე-**XVIII** საუკუნემდე არ მოიაზრება, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სი-

ტყვეა „სადლეგლძელო“ არ არის აღნიშნული. თუკი სიტყვა „სადლეგრძელო“ ამ ფორმით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არ ფიქსირდება ეს არ ნიჩნავს იმას, რომ მე-**XVIII** საუკუნემდე დღეგრძელობის ტრადიცია საქართველოში არ არსებობდა. მაგრამ ამასთანავე ბატონი არაბული ჩირზემებს ჩა: წერეთლის სიტყვებს, რომ ძველად საქართველოში რამდენიმე სადლეგრძელო (ოთხი და არა სამი, როგორც ამას თავად ბატონი ა. არაბული აუნიშნავს) ისტობოდა. ბატონი ა. არაბული ასევე აღიარებს იმას, რომ გრ. ორბელიანს პოემაში – „სადლეგრძელო“ მოცემული აქვს რამდენიმე სადლეგრძელო. მაგრამ რა არის კამათის საგანი არსებითად, ის, რომ ტერმინი – „სადლეგრძელო“ XIX საუკუნემდე არ არსებობდა, თუ ქართველებს სუფრაზე დღეგრძელობის ტრადიცია არ ჰქონდათ და ის მხოლოდ **XIX** საუკუნეში გამოჩნდა? მოსალოდნელი იყო ის, რომ საკითხის უფრო ნათელობისათვის ბატონი ა. არაბული უფრო ადრინდელ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ეცდებოდა თავისი მოსაზრებების გაცნობას ტელემაყურებლისათვის, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა.

აკაე წერეთელი გვიდასტურებს იმას, რომ ქართველ მეცენებს ჰქონდათ ჩვეულება მშვიდობიანობის უამს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნარმომადგენლებთან ერთად დიდი ლხინი გადაეხადათ, სადაც ქართველები იღენდნენ და მესახებდნენ „ერთხმად მრავალუამიერსა“. განა ეს ქართველთა ტრადიციად ქცეულ ჩვეულებაზე არ მეტყველებს?

პოეტი ასევე გვიდასტურებს იმას, თუ რაოდენ ზნეობრივ-ეთიკური იყო ქართველთა ლხინი: ქართველებმა „მოვრალობა და სადლეგრძელო სათითოო არ იცოდნენ, ჩვენი ლხინი რომ ენახათ სირცხვილითაც დაიწოდნენ.“

რატომ უნდა დამწვარიყვნენ სირცხვილისაგან ჩვენი წინაპრები „სათითოო სადლეგრძელოს“ მოსმენისაა? თავმდაბლური ბუნება ქართველი კაცისა არ მოიაზრებდა დავანლისა და დამსახურების განდიდებასა და გაფეტიშებას, კეთილი და საქეცენო, საერო საქმენი თავმოდრეკილობითა და სიმდაბლით სრულდებოდა, ამდენად ნარსულში მიუღებელი უნდა ყოფილიყო სუფრასთან ერთმანეთის ქება-დიდება, „თუმცა მათში მეტი იყო, საქები და სასახელო.“

აი ეს კი **XIX** საუკუნეში რუსული მმართველობის წლებიდან ნარმოჩენილი მავნე, არატრადიციული ჩვეულებაა, მაამებლური ლიქნის დამლით ალბეჭდილი, რაც ზნეობრივ-ეთიკური დეგრადირების უპირატესი გამოხატულება იყო. ეს არ იყო ქართველთა ადრინდელი ჩვეულება, ამდენად აკაკისავე თქმით ქართველთა წინაპრებს „ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწოდნენ.“

განა დიდი აკაკის თანამედროვე არ იყო გრიგოლ ორბელიანი, გავიხსე-

ნოთ მისი „სადლეგრძელო”, ანუ ომის შემდგომ ლამე ლხინი ერევნის ჰიახლო-ვეს. რა სადლეგრძელოებს სვამდნენ ქართველები? ესაა: დაღუპული მეომრების, წინაპრების, ხელმწიფის, მამულის, მეგობრობის, სიყვარულის და მომავალი გამარჯვების სადლეგრძელო. სულ შვიდი ჲადლეგრძელო. მაგრამ რაც უნდა ნიშნავდეს პოემის დასაწყისში მოტანილი ხატყვები: „ძმანი, ზორიგის სავსე ფიალით, ჩვენცა მოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს ...” ეს ზომ მიმწვდეს იმას, რომ ლხინისას „მორიგი ფიალის” წინ სხვა სადლეგრძელოებიც წარმოუთქვამთ მეომრებს?

სუფრობა, ნადიმი, ლხინი ქართველთათვის მნიშვნელოვანი ყოფით-ზეობრივი რიტუალი იყო როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ ეპოქებში. არა ერთი ლიტერატურული წყაროს მოშველიება შეიძლება იმის დასტურად, თუ როგორ ილენდნენ და ნადიმობდნენ ქართველები ძველად.

„ქართლის ცხოვრება” (ტ. IV, გვ. ...)

„ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ ... სმიდიან ღვინოსა ...” გვ 24.

„ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა ...” გვ 24

„ნადიმობდნენ მეფეთა თანა და ურთიერთანა....” გვ 24

„უმეტესი დიდი იყო დღესასწაული არმაზისა და შემდგომად თაყვანი-სცემისა პყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმი-თა....” გვ. 25

მე-XI-XII საუკუნეების მიჯნა – „ამირან დარეჯანიანი”:

„...გარდახდა პურობა.....დედოფალმა მოახსენა: თქუენ ყრმანი ხართ და ღმერთმა ათას წელ ცოცხლენ მეფობა თქვენი...” გვ. 88

„... პური ვჭამეთ და ღვინო ვსვით, მერმე აავსო ჭიქა ერთმან, ზე ადგა და ეგრე თქვა: ადიდენ ღმერთმან სეფედავლე იგი დარისპანისძე....” გვ 105

„.... და ღვინოს სმიდეს მრავალგან და ყველანი სეფედავლეს მზესა ფი-ცევდეს და ლოცვიდეს...” გვ. 105

„კვლა აასო ჭიქა და მე მომცა და ეგრე მითხრა: „დალოცე შენცა სეფე-დავლე დარისპანისძე და მაშინ შესვიო” გვ. 206

მე-XII საუკუნე – „ვეფხისტყაოსანი”:

„შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა, სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა ჯამი და ჭიქა-ყველაი, ფეროზისა და ლალისა, არვისი ბრძანა მეფემან, არცა გაშვება მთვრალისა.” 476

„კვლაცა დაჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მღერა, კვლა გაგრძელდა ნა-დიმობა ბარბითი და ჩანგთა უღერა” 482

„სმა, პურობა, გახარება ქმნეს, ჯალაბი გაადიდეს ვითარცა ქორნილობა ხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს.”

დედოფალი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილზე ასე მიმორთავს მექორნილეთ: „ულოცეთა დღეგრძელობა, ესე ღმერთსა შევედრენით.“

ლხინი, პურობა, ნადიმი რიტუალი ქართველი კაცის ყოფიერ-ცნობიერი სამყაროს განუყოფელი და განმაპირობებელი რამ იყო დღეწიადაც ამასა ცხადად გვიდასტურებს შოთა რუსთაველი ტარიელის სოცევებით „შევიდი, შევემნი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან.“ „ნადიმის შექმნა“ მოიაზრებს ყოველივეს რაც კი ნადიმს ქმნის და აყალიბებს, როგორც მრავალასპექტიან შემოქმედებით პროცესს.

სტრიქონის პირველი ნაწილი სწორედ მისი შემოქმედებითი ბუნების გამომხატველია, მას ძალუს შექმნას ნადიმი თავად შოთა რუსთაველი ხომ „ქმნას“ განიხილავს როგორც შემოქმედებით პროცესს: „რომელმან შექმნა სამყარო“. ამდენად, ნადიმის შექმნაც შემოქმედებითი ქმნადობის შედეგია. სტრიქონის მეორე ნაწილი კი: „ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან“ პირდაპირ მიგვანიშნებს იმას, რომ დღიდან გაჩენისა ქართველი კაცისათვის ლხინი, გახარება მისი ბუნების, მისი ხასიათის განუყოფელი, თანამდევი თვისებაა.

ბიბლიასა და ძველ ქართულ ხელნაწერებში მრავლადაა სიტყვა-ცნებები: „დღეგრძელი“, „დღეგრძელყოფა“, „დღეგრძელობა“, „დღეგრძელება“, „დღემრავალი“, „დღემრავლობა“, „მრავალდღეობა“. (ი. აბულაძე ძვ. ქართული ენის ლექსიკონი 1973 წ. გვ. 144): „რაითა იდღეგრძელოთ ქვეყანასა ზედა“, „რაითა დღეგრძელ იყვნენ ქვეყანასა მას ზედა“, „ამის მიერ დღეგრძელობდეთ ქვეყანასა ზედა“, ამათ სიტყუათა გამო დღეგრძელ იყვნენ ქვეყანასა მას ზედა.“

მეტად საინტერესო ცნობებს ქართული სუფრისა და სადღეგრძელოს შესახებ გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი თავის წიგნში: „ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) 1975 წ.“

ჟან შარდენის აღწერით, საქორწინო ნადიმზე დამსწრე უცხოელი სტუმრები აღფრთოვანებულები იყვნენ ქართული სუფრით: „კერძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროდ შემოჰქონდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობდა, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ას ორმოცდათი კაცი. ამ საუცხოო წესრიგის შემდეგ, ყურადღებას ყველაზე მეტად ჭურჭლეულობის სიმრავლე იქცევდა“.

„.... ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სადღეგრძელო ყველას არ შემოივლიდა“ გვ. 347

„.... ახალი სადღეგრძელო რვა უფრო მოზრდილი სასმისით ისმებოდა ...“ გვ. 347

„... გამომშვიდობებისას მან მკითხა, როგორ ბრძანდება ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღე-გრძელო ...” გვ.349

„... სმის დაწყებისთანავე საკრავებიც აუღერდნენ და ხიმურაც დაწულ ...” გვ. 348

ქართულ ენაში სიტყვა – „თამადის“ და „თამაზებიანის“ რაერთი სინომი, მი გვხვდება – წინამდლვარი, სუფრის თავი, პურის მტე, სუფრის უფალი, სუფრის გამრიგე. რაც შეეხება თავად ტერმინ – „თამადას“ პირველად ის მოხსენიებულია დავით ჩუბინაშვილის მიერ 1887 წელს სანტ-პეტერბურგში გამოცემულ ქართულ-რუსულ ლექსიკონში. დ. ჩუბინაშვილი თამადობას განმარტავს, როგორც „თუმანჯობას“, „თუმაჩიანობას“, უფროსობას ან თავობას, მაგალითად ღვინის სმაში. ჩვენ არ შევჩერდებით იმაზე, თუ რა შესაძლო გზით შეიძლებოდა „თუმაჯობა“ „თამადობად“ ქცეულიყო, მაგრამ ხაზს გავუსვამთ ერთ გარემობას „თამადობა“ ქართულ წიაღში წარმოშობილი სიტყვაა და იგი უთარგმნელად არის შესული მეზობელი ხალხების ენებში.

დღეს უკვე მეცნიერულად დადასტურებულია ქართველებისა და ბასკების ნათესაობის საკითხი. როგორია ბასკურ ენასა და ყოფაში თამადობისა და სადღეგრძელოთა ხასიათი? ბასკურად თამადას „მაიბურუ“ ეწოდება (მაი-მაგიდა, ბურუ-თავი). მაშასადამე, სუფრის თავი. გავიხსენოთ ქართულში თავის შებურვა, მობურვა. ბასკური სუფრა იწყება მშვიდობის სადღეგრძელოთი, ისევე როგორც გურიაში, ხოლო სუფრის გასრულების წინ, ბოლოს წინა სადღეგრძელო ღვინისაა. საინტერესოა, ეს სადღეგრძელოები გურიასა და ბასკეთში ერთდროულად კავკასიაში რუსების შემოსვლის შემდეგ წარმოიშვა?

მეტად მნიშვნელოვანია ისო ზირაქის სიბრძნის ის ნაწილი, რომელიც ნადიმის წინამდლვრის ფუნქცია-მოვალეობებს ეხება. თუკი ყურადღებით გავაანალიზებთ და გავაცნობიერებთ ისო ზირაქისეულ სიბრძნეს, დავრწმუნდებით, რომ მისი პრინციპებით წარმართული სუფრა სხვა არა არის რა, თუ არა ლხინი ტრადიციული ქართული გაგებით. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია უპირველესი წიგნი იყო და არის მსოფლიოს არაერთი ერისათვის, არცერთ მათგანს (განსაკუთრებით კი მევენახეობა-მეღვინეობის მიმდევართ) სარიტუალო-ყოფით სამყაროში არ ჩამოუყალიბებია ისე სრულყოფილად და ამაღლებულად ზირაქისეული პრინციპები სუფრის გაძლოლისა, როგორც ეს ქართულ სამყაროში მოხდა. რაც შეეხება თამადობის დახვენილ ინსტიტუტს, მისი ჩამოყალიბება სწორედ ქართველურ სამყაროში უნდა მომზდარიყო, გრანაიდან ვაზისათვის ქართული მინა ადგილის დედაა, ამასთანავე, არ უნდა გამოვრიცხოთ შესაძლებლობა, რომ ზირაქისეული სიბრძნის მატერიალური

საფუძველი ქართველური ყოფითი სამყაროდან მომდინარეობდეს.

ქართველურმა ყოფითმა კულტურამ შეძლო დღევანდლამდე შემონახა სუფრის ორგანიზაციული სტრუქტურის ბიბლიური იერსახე, ყოველივე ეს მეტყველებს ქართული ცნობიერების უძველესი, ბიბლიორი საწყისითან მომდინარეობასა და მის წარუვალობაზე.

განა ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ტილევ პირტკოცი, რომ საქართველოში სუფრის წარმართვის, თამადობის და სადღეგრძელოების ტრადიცია არ არსებობს, რომ ამ ტრადიციებს ისტორიული ფესვები არ გააჩნია.

უკეთუ ბატონ გ. ნოდიას ჩვენი ადრინდელი გამოხმაურება 2000 წელს გამართულ დისკუსიაზე არ წაუკითხავს ეს მისი პრობლემაა და არა ჩვენი, მას, როგორც „ყოვლისმცოდნესა და ერუდიტს“ უნდა სცოდნოდა ჩვენი გამოხმაურების შესახებ. თუ არა, იმ წყაროების შესახებ მაინც, რასაც ზემოთ აღვნიშნავდით. შესაძლოა, მას ეს ყოველივე არ სცოდნოდა, ამ შემთხვევაში კი მისი კომპეტენცია ეჭვის ქვეშ დგება.

გაუგებარია თავის მოსაზრებების ჩამოყალიბებისას ბატონი ა. არაბული რატომ არ დაეყრდნო ძველ ქართულ წყაროებს.

ვის წისქვილზე ასხამს წყალს ტელეკომპანია – „რუსთავი-2“-ის გადაცემა, კერძოდ კი, ბატონ გ. ნოდიას რადიკალური განცხადებები? უეჭველია იმათ წისქვილზე ვისაც სურს ფერფლი დააყაროს, დააკინოს და გააყალბოს ქართველების ათასწლეულთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციები მატერიალური და სულიერ-ზნეობრივი კულტურისა, ნუ დაგვავინყდება, რომ ქართული ვაზის ჯიშები, ქართული სუფრა თამადითა და სადღეგრძელოებით არ არის მხოლოდ ქართული კულტურის ხელთუქმნელი განძი, ეს ყოველი მსოფლიო კულტურის ერთი კოლორიტული და განუმეორებელი ნაწილიცაა.

გამოქვეყნებულია გაზეთ „მარანში“
2012 წლის 10 თებერვალი, №43 (90)

პოლოთა



ველი თაობის მკითხველს, ალბათ ემახსურება წიგნია „ხრუმერიკას“ ჩამობრძანება საქართველოში. საბჭოთა იმპერიის იმუაზინდელმა ლი-დერმა კახეთში სტუმრობისას გვირჩია: ვენახი წერეთ და სიმინდის ნარმო-ბას მიჰყავით ხელი, უფრო მომგებიანია. მასპინძელ პარტიულ ელიტასთან ერთად იქ იმყოფებოდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მელ-ვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნი-კოლოზ ხომიზურაშვილი, გამოჩენილი მეცნიერი და უაღრესად პრინციპული ადამიანი. ბატონმა ნიკოლოზმა წინააღმდეგობა გაუწია საბჭოეთის პირველ პირს და დაასაბუთა ამ წინადადების მიუღებლობა. ყველანი სახტად დარჩ-ნენ მისი გაბედულებით. მას მოუსმინეს და დაუჯერეს. ბატონი ნიკოლოზის ამ პრინციპულმა პოზიციამ გადაარჩინა საქართველოს ვენახები იავარქმნი-საგან. როგორც ვხედავთ, საბჭოეთის ეპოქაშიც კი მეცნიერს უსმენდნენ და უჯერებდნენ, დღეს კი საქართველოს წინა ხელისუფლება მეცნიერებს, არა-თუ არ უსმენდა, იგნორირებას უკეთებდა.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დისკრედიტაციისა და დაკინება-იავარქმნისაკენ მიმართული შეფარული თუ აშკარა ბრძოლა არახალია, ძვე-ლია.

შაპ-აბასისა და სხვა მომხდურ მტარვალთა მიერ ვაზისა და ღვინის წი-ნააღმდეგ დაწყებული ბრძოლა რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ გა-აგრძელა კავკასიაში ფეხის მოვიდებისთანავე, მხოლოდ ეს ბრძოლა უფრო შე-ფარული და ვერაგული იყო. მაგრამ გავიხსენოთ, თუ რითი დამთავრდა ეს კო-ლონიური ზრახვები: ქართული ვაზის გამარჯვებით! აი, რას ნერდა 1896 წელს ცნობილი სპეციალისტი მიხაილ ბალასი: «Главная задача новь устроенных рассадников должна была заключаться в том, чтобы помимо ознакомления местного населения с улучшенными приёмами виноградарства, безденежного раздачею заграничных виноградных лоз, побудить местных виноделов заменить лучшими иностранными сортами местные и, как тогда полагали, грубые сорта...»

После целого ряда неудовлетворительных результатов применения европейских приемов выделки вина, здесь вина стали приготовлять по местному способу

В Кахетии по словам почтенного пионера Ленца, много лет потрудившегося на поприще применения европейских приемов виноделия в этом районе, уже в 1846 года обширная алазанская долинна ... было покрыта виноградными садами...

Воронцов выслал сюда сотни тысяч лоз из Крыма бесплатно, но повидимому, эти сорта здесь не привились, да в них и особенной надобности не представлялось в виде несомненных превосходных качеств местных сортов винограда.

Ленц, изучив местные почвенные условия и испытав в течении 10 лет более 26 иностранных сортов винограда выписанных из Крыма, отдает преимущество местным сортам – Саперави, из коего выделяется здесь прекрасного качества красное вино, полное букета и крепости и белый – Мцване, Ркацители и Мцюани».

და კიდევ ერთი, თუ როგორ შეაფასა გ. ლენცმა ქვევრი: „Неоспоримое преимущество квеври перед европейскими бочками и чанами”. ეს ხმა ქართული ვაზის ჯიშების ღირსებებისა და ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიის საქვეყნო აღიარებაა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ცარიზმის რუსეთში, ორ გუბერნიად დაყოფილ საქართველოშიც კი მოქმედებდა პროფესიონალიზმისა და შეფასების ობიექტურობის პრინციპი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ვაზის ქართული ჯიშებისა და ქვევრის უდავო უპირატესობის აღიარება ეპროპულ ჯიშებთან და მუხის კასრებთან შედარებით, მაშინ, როცა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ევროპულ საწყისებზე დამყნობის მცდელობა და სურვილი ანუ ევროპიზაცია სახელმწიფო პოლიტიკის მიზანდასახულებად მოიაზრებოდა არა მარტო დენ უკანასკნელ წლებში. სამწუხაროდ და ჩვენდა სავალალოდ უკანასკნელ წლებში მევენახეობა-მეღვინეობის ევროპიზაცია კვლავ სახელმწიფო პოლიტიკად რჩებოდა, რაც ჩვენში პროფესიონალიზმის, ობიექტურობისა და ეროვნული ცნობიერების დაბალ დონეზე მეტყველებს.

თუკი XIX საუკუნეში უთანასწორო ბრძოლაში ჩვენი ტრადიციული მეღვინეობა გამარჯვებული გამოვიდა, **XX** საუკუნეში ამ დარგებში უმნივესმა, თითქმის გამოუსწორებელმა პრობლემებმა იჩინა თავი, აქ აღარ შევჩერდებით იმ შეფარულ თუ აშკარა მეთოდებსა და ხერხებზე, რომლითაც ხდებოდა ვაზის ქართული გენოფონდისა და ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიების იგნორირება და იავარქება, რაზედაც ზემოთ უკვე აღვნიშნავდით. საბედნიეროდ, ამჯერადაც ვაზის ქართულმა ჯიშებმა, ქვევრმა და ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციულმა ტექნოლოგიამ გარესამყაროს აღიარებინა ისინი ქართული (და არა მხოლოდ მისი) მატერიალური და არამატერიალური კულტურის შედევრებად. დედა ეკლესიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ამ ზეალმავალ პროცესში. იგი კვლავ აღმოჩნდა ერთადერთი შემფარებელი და გადამრჩენელი ეროვნული კულტურული ფასეულობებისა. აღსრულდა წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) წინასარმეტყველური შეგონება: „იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან.., სწორედ

იგი ნაკლი ლირსებაა ჩვენის ღვინისა, და თუ ჩვენი დვინო იდესმე გზას გაიხს-ნის საქვეყნო პაზრისას, სწორედ ამ ლირსების წყალობით გაიხსნის".

სასიხარულო და ამავე დროს სამწუხაროც არის გითარება, როცა უცხოე-ლი კარგად ჭვრეტს და აფასებს ჩვენს ტრადიციებსა და ლირსებებს, ჩვენ უამ დროს თვალებს ვიბრმავებთ და ვასამარებთ ჩვენივე ისტორიას.

ყოველივე გუშინდელის, როგორც დრომოქმულოსა და გამოუდია-რის უარყოფასა და ახლით შეცვლას საქართველოს ჩინა ხელისუფლება რე-ფორმატორული სამოსელით ფუთავდა. ე.წ. „რეფორმები" თავისი არსით იყო ყველაზე უფრო ვერაგული და დამანგრეველი, რაც კი ქართულ მევენახეობა-მელვინეობას გადაუტანია მრავალი საუკუნის განმავლობაში. თუ ობიექტუ-რად და რეალურად რა შეიძლება ეწოდოს ხელისუფლების ამგვარ რეფორმა-ტორულ გარდაქმნებს. მკითხველი, აღბათ, წიგნში მოწოდებული მასალების გაანალიზებითაც კარგად მოიაზრებს. შედეგი თავად მეტყველებს ამგვარი წიაღსვლების ჭეშმარიტ მიზეზსა და მიზანზე. დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: აგრარული მეცნიერების, კერძოდ კი მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო სფეროს უარყოფა, იგნორირება, დანგრევა და იავარქმნა იყო უმთავრესი მიზ-ანდასახულება. რატომ? მოდით და, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველს მივანდოთ.

2005-2012 წლები ქართული აგრარული განათლების და მეცნიერები-სათვის ჩამავალი მზეა, უკუნია. რამაც ჩაქლა აგრარიკოს-პრაქტიკოსთა და მეცნიერთა ახალგაზრდა თაობების აღზრდა-ჩამოყალიბების პროცესი. მოხ-და დიდი წყვეტა წარსულსა და მომავალს შორის, სამწუხაროდ, 2005 წლამდე გასული პერიოდი წარსულად იქცა, რომელსაც გაგრძელება აღარ ჰქონია.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რომ თბილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტი **XX** საუკუნის 30-იან წლებში სამი წელი გაუქმდილი იყო, მაგრამ მალევე აღდგა. თუმცა დღეს უფრო რთულ პირობებში იმყოფება ქართული მეცნიერება.

დღეს აგრარული მეცნიერების მზე ჩაესვენა, მაგრამ მზე იმისათვის ჩა-დის, რომ ხვალ დილით კვლავ აღმობრწყინდეს მთელის დიდებულებით და დაძლიოს ბნელი. აგრარული განათლება და მეცნიერება კვლავ ფენიქსისებრ აღდგება! ამის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

შინაარსი



3

წინასიტყვაობა.....	3
უთანასწორო ბრძოლა ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის იწყება	17
საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მედიკოსის სამუცნიერო -კულტურითი ინსტიტუტის მეცნიერთა, ასპირანტ-მაძიებელთა და სამეურნეო დარგის მუშაკთა ერთობლივი განცხადება.	20
მსოფლიო ბანკის სარეკორდო წერილი საქართველოს მთავრობას	28
ხელისუფლების მხარდაჭერის მოლოდინში	32
მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – ნინო ბურჯანაძისადმი.....	33
ბრძოლა გრძელდება	36
მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – ნინო ბურჯანაძისადმი.....	38
ძალმომრეობა იმარჯვებს	42
2010 წელს საქართველოში ვაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესი გაიმართება. გაუქმებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეცნიერო მუზეუმი უნდა აღდგეს!.....	43
„ვითარცა ჭიგო ვაზისა“	48
რუსეთმა ილიასაკენ მიგვახედა ანუ ქართული მედვინეობის დიდი ღამე გრძელდება.....	57
გამოძახილი ოკეანისგაღმელი კოლეგისადმი ანუ ვის აძლევს ხელს ქართული ღვინის პრიორიტეტულობის უარყოფა?	67
სად მიგვიყვანს ქართული მეცნიერება-მედვინეობის ევროპიზაცია?	74
ქართული ღვინო ქართველმა უნდა დააყენოს!	82
ქვევრი ამჟორა არ არის!	88
კიდევ ერთხელ ქართული სუფრისა და სადლეგრძელოს შესახებ.	93
ბოლოთქმა	100

13/1869



TEIMURAZ GLONTI

Vine, Wine and Problems

Letters

2005-2012

Tbilisi 2012



ТЕИМУРАЗ ГЛОНТИ

Лоза, Вино и проблемы

Писма

2005-2012

Тбилиси 2012

K286 909
30v

9286-909
30v



ქვევრის ფონდი